რუსეთ-ჩინეთის ეკონომიკური ფორუმი

A2

გადატვირთული თბილისი უცხოელი ურბანისტების მოლოდინშია

A3

შსს არასრულწლოვანთა გათავისუფლებას ითხოვს

A4

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ხუთშაბათი, 23 მარტი, 2006 წელი. №62 (1214) ფასი 50 თეთრი

საზოგადოება

უსინათლოების პროტესტი

2006 წლისთვის პენსიების მატების შესახებ მთავრობამ ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში, 2006 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისთანავე გვამცნო. იმთავითვე ითქვა, რომ სოციალური პენსია მარტიდან 5 ლარით, ხოლო სექტემბრიდან კიდევ 5 ლარით გაიზრდებოდა.

A3

სამართალი

ფსიქიატრიული კლინიკის ნაცვლად - სასამართლოში

ხვალ ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში განახლდება სასამართლო პროცესი, სადაც განსასჯელის სკამზე მჯდომი დავით ჯაში, წესით და რიგით, სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ფოთის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უნდა იმყოფებოდეს.

A4

სამართალი

კიდევ ერთი მოგებული პროცესი მიხეილ ქარელის წინააღმდეგ

არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" შიდა ქართლის რწმუნებულს მიხეილ ქარელს სასამართლო პროცესი კიდევ ერთხელ მოუგო.

A4

სპორტი

"ეს იქნება ისლამისტ ტერორისტებთან ბრძოლა"

შეხვედრა მიმდინარეობს კაფეში, რომელიც ჰიტლერის სახლიდან რამდენიმე ნაბიჯზეა. ფაბრიციო (იგი ამ გამოგონილი სახელით წარუდგა ჟურნალისტს) მომცრო მაგიდას მისჯდომია. იგი ჟურნალისტს ხვდება ფრაზით: "აქ ყველაფერი ისტორიაა".

A6

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

ამინდი

	23/03	24/03
თბილისი	21	18
ქუთაისი	19	19
სოხუმი	20	24
გორი	16	16
ონი	12	12
ზუგდიდი	22	25

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8275
ევრო	2.2080
ბირვანქა სტერლ.	3.1978
რუბლი	0.0659

ამბები	A 2
საზოგადოება	A 3
სამართალი	A 4
პროექტი	A 5
სპორტი	A 6
ტენდერი	A 7
სხვადასხვა	A 8

ქარის დამთესავ უმრავლესობას ოპოზიცია ქარიშხლით ემუქრება

გიორგი ასანიშვილი

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი, პარლამენტის ბიუროს დავალებით, იმის გარკვევას იწყებს, ეწევა თუ არა ოპოზიციონერი დეპუტატი ვალერი გელაშვილი სამეწარმეო საქმიანობას, რაც პარლამენტარის სტატუსთან შეუთავსებელია და კანონის დარღვევას წარმოადგენს. გუშინდელი საკომიტეტო განხილვის დროს დაზუსტდა იმ ორგანიზაციებისა და პერსონების ნუსხა, რომელთაგან ინფორმაციის მიღებაც ბიუროს დავალების შესასრულებლად არის საჭირო.

გაგრძელება A2 გვერდზე

საპროცედურო კომიტეტის სხდომა კომპრომატებით მუქარის ფონზე წარიმართა.

ირაკლი ლილუაშვილის ფოტო

სკანდალი "პარმალატის" ირგვლივ

რამ გამოიწვია კორპორაციის მსხვრევა

B

საქართველოს ეროვნულ ბანკში მუშაობა დაასრულა საერთაშორისო აუდიტორულმა კომპანიამ "დელოით ენდ ტუშმა", რომლის ექსპერტებმაც 2005 წელს ეროვნული ბანკის ფინანსური ანგარიშგების გარე აუდიტი განახორციელეს. ამ ცნობილმა კომპანიამ საქართველოში კიდევ რამდენიმე მსხვილ ორგანიზაციას გაუწია მომსახურება. "24 საათი-ბიზნესი" გთავაზობთ ახლო წარსულში ბიზნესის სამყაროში მომხდარი "პარმალატის" საქმის" სახელით ცნობილი სკანდალის ისტორიას, რომელშიც "დელოით ენდ ტუშის" სახელი აქტიურად ფიგურირებდა.

"პარმალატის" დამცველი აქცია.

საფრანგეთში მასობრივი პროტესტი გრძელდება

პრემიერ-მინისტრი გარკვეულ დათმობებზეც მიდის

შრომის ახალ კანონთან დაკავშირებით საფრანგეთში ვნებათაღელვა არ ცხრება. "პირველი დასაქმების ხელშეკრულების" მოწინააღმდეგე ახალგაზრდობა პოზიციებს არ თმობს, სამაგიეროდ უკან იხევს ხელისუფლება. როგორც ჩანს, პრემიერ-მინისტრი დომინიკ დე ვილპენი მხოლოდ სიტყვიერ დაპირებას ვეღარ დასჯერდება და უფრო ქმედითი ზომების გატარება მოუწევს.

ვილპენის თქმით, ხელისუფლება შეეცდება, შეამციროს ორწლიანი გამოსაცდელი ვადა, რასაც "პირველი დასაქმების

გაგრძელება A2 გვერდზე

საფრანგეთი კვლავ სტუდენტთა მღელვარებითაა მოცული.

მორიგი უტოვია კოკოითისაგან

თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ლიდერი მირიგი ინიციატივით გამოდის და რესპუბლიკის რუსეთის შემადგენლობაში მიღების თაობაზე ამჯერად რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავს. თუმცა, თავად ამ ორგანოში კოკოითის ინიციატივას სკეპტიკურად უყურებენ და ის უტოპიად მიაჩნიათ.

"უახლოეს მომავალში ვაპირებთ სარჩელი შევიტანოთ რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოში, რადგან არსებობს დოკუმენტი 1774 წელს რუსეთის შემადგენლობაში ერთიანი ოსეთის შესვლის შესახებ, და არ არსებობს დოკუმენტი მისი არც რუსეთის იმპერიიდან, არც რუსეთის ფედერაციიდან გამოსვლის თაობაზე. რატომ უნდა დავსვათ ახლა საკითხი რუსეთის შემადგენლობაში შესვლაზე, თუ იქიდან არც გავსულვართ?", - დაბნეულად განმარტა კოკოითმა და იქვე გაიხსენა, რომ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის 95 პროცენტი რუსეთის მოქალაქეა. თუმცა, მას არ უხსენებია კონკრეტული დოკუმენტი, რომლის წარდგენასაც სასამართლოსთვის აპირებს.

რუსულ მედიას მოჰყავს ანონიმური წყაროს რეაქცია რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოდან კოკოითის ამ განცხადებაზე. სასამართლოში ვერ წარმოუდგენიათ, რომელი დოკუმენტის კონსტიტუციურობის შემოწმების მოთხოვნას აპირებს კოკოითი. რუსეთის კანონმდებლობის თანახმად, რუსეთის რიგით მოქალაქეებს, რომლებსაც ედუარდ კოკოითიც მიეკუთვნება, საკონსტიტუციო სასამართლოში ამა თუ იმ კანონის გასაჩივრება შეუძლიათ, რომელიც უკვე გამოყენებულ იქნა კონკრეტულ სასამართლო დავაში. ამგვარი კანონი, რომელიც კოკოითის, როგორც მოქალაქის, უფლებებს შელახავდა, არ არსებობს. და საკონსტიტუციო სასამართლოში ეჭვი ეპარებათ, კოკოითის იურისტებმა რაიმე ასეთი კანონი აღნოაჩინონ. "ისტორიულ დოკუმენტებზე" დაფუძნებულ სარჩელს კი სასამართლო არც განიხილავს.

გაგრძელება A2 გვერდზე

"მზიურის" ტერიტორია იჯარით გაიცემა

გუშინ თბილისის მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც, ბავშვთა ქალაქ "მზიურის" ტერიტორიაზე 263 ათას კვ.მ მიწის ნაკვეთი იჯარის წესით გაიცემა. საკონკურსო პირობები ჯერ არ არის ცნობილი, თუმცა ქალაქის ხელმძღვანელობა ამტკიცებს, რომ "მზიური" სარეკრეაციო ფუნქციას შეინარჩუნებს და საპარკო ზონად განვითარდება.

თამარ დვალი

ცოტა ხნის წინ, თბილისის ურბანულმა სამსახურმა "მზიურში" საპარკო ტერიტორიის მოწყობაზე კონკურსი გამოაცხადა. ოთხი პროექტიდან ჟიურიმ უპირატესობა მიშა ბუჯიაშვილის პროექტს მიანიჭა. როგორც თბილისის ურბანული სამსახურის უფროსმა ნიკოლოზ ჩხაიძემ განაცხადა, კონკურსის მეშვეობით, მერიამ სპეციალისტებისგან მხოლოდ იდეები შეისყიდა. **"კონკურსის გამოცხადებით, პროფესიონალებს მივეცით შესაძლებლობა, გამოეთქვათ თავისი შეხედულებები. კონკურსი სარეკრეაციო ტერიტორიის მოწყობაზე გამოცხადდა და არა განაშენიანებაზე,"** - განაცხადა ჩხაიძემ.

გამარჯვებული პროექტის მიხედვით, პარკის ტერიტორია უნდა დაიტვირთოს შემდეგი რეკრეაციული ფუნქციებით: "აკვაპარკი", ღია და დახურული სპორტული მოედნები, ფართოპროფილიანი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები, სპეციფიური ბიბლიოთეკები, მუზეუმები, საგამოფენო და სადისკუსიო დარბაზები და ა.შ.

დამატებით ტერიტორიაზე განვითარდება აღნიშნული ფუნქციების შესაბამისი ინფრასტრუქტურა - კვების, ვაჭრობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტები. იგივე პროექტის მიხედვით, უნდა მოხდეს ჭავჭავაძის გამზირისა და 26 მაისის მოედნის დაკავშირება სატრანსპორტო გზით.

აღსანიშნავია, რომ სანამ მერია "მზიურის" სარეკრეაციო ტერიტორიის მოწყობაზე კონკურსს გამოაცხადებდა, თბილისის საკრებულოს 7 ოქტომბრის დადგენილებით, "მზიურის" ტერიტორიის გარკვეულ ნაწილს რეკრეაციულის ნაცვლად, საქმიან-საზოგადოებრივი ზონის სტატუსი მიენიჭა.

გაგრძელება A3 გვერდზე

სახალხო დამცველი ყოფილი კოლეგის მუშაობით უკმაყოფილოა

ბოლო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატის მუშაობის გააქტიურება და, მეტიც, თავად ომბუდსმენის განცხადებების გამკაცრება აშკარად შეიმჩნევა. გუშინ სოზარ სუბარმა ყოფილ მოადგილეს ციხის უფროსის გათავისუფლება მოსთხოვა, თუმცა, ჯერჯერობით, უშედეგოდ.

ბოლო დროს სახალხო დამცველის აპარატი სასჯელაღსრულებით სისტემაში არსებულ დარღვევებზე დუმილს ამჯობინებდა.

დუმილის დარღვევის მიზეზად კი კონკრეტული ფაქტი იქცა. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა, ცხელ ხაზზე შემოსული ინფორმაციის საფუძველზე, თბილისის N 1 საპყრობილეში, პატიმარი იაგო წიქვაძე მოინახულეს. ომბუდსმენის წარმომადგენლის ინფორმაციით, პატიმარს სახისა და ზურგის არეში ძლიერი ფიზიკური დაზიანებები აღენიშნებოდა.

"პატიმარი იმდენად ცუდად გრძნობდა თავს, რომ მისი გადაადგილება ვერ მოხერხდა და იგი საკანში მოვინახულეთ. ძლიერი თავის ტკივილების გამო, წიქვაძემ ვერც ახსნა-განმარტების დაწერა შეძლო. შესაბამისად, ახსნა-განმარტების დაწერა სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებს მოუხდათ და პატიმარმა მხოლოდ ხელი მოაწერა", - განაცხადეს საპყრობილედან გამოსულმა სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა.

როგორც პატიმარმა იაგო წიქვაძემ ადამიანის უფლებების დამცველებს უამბო, სიტყვიერი შეკამათების შემდეგ, საპყრობილის ადმინისტრაციის თანამშრომლებმა, მათ შორის - ციხის უფროსმა თემურ ტაბაღუამ, მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. პატიმრის განცხადებით, მიუხედავად მისი მძიმე ფიზიკური მდგომარეობისა, მასთან ექიმი არ მისულა.

გაგრძელება A4 გვერდზე

მოკლედ

ბელარუსში დაპატიმრებული ქართველები გაათავისუფლეს

ბელორუსიის უშიშროების სამსახურის მიერ დაკავებული საქართველოს სამი მოქალაქე გაათავისუფლეს.

ბელორუსიის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, 21 მარტს, ღამით დეკანოზ ბასილ კობახიძის, ბაპტისტთა გაერთიანების ხელმძღვანელის მალხაზ სონღულაშვილის და რელიგიურ საკითხთა შესწავლის ცენტრის დირექტორი ლადო გოგიაშვილის უკრაინაში დეპორტაცია განხორციელდა. ისინი აიძულეს მატარებლით კიევში გამგზავრებულიყვნენ, საიდანაც სავარაუდოდ საქართველოში ხვალ დაბრუნდებიან.

სამი ქართველი ბელორუსიის ხელისუფლებამ პერსონა ნონ-გრატად გამოაცხადა და ხუთი წლის განმავლობაში ბელორუსიის ტერიტორიაზე შესვლა აუკრძალა. ბასილ კობახიძის თქმით, დაკავებისას, ისინი ბელორუსმა სამართლდამცავებმა სამჯერ დაკითხეს და ოთხმუხლიანი ბრალდება წაუყენეს.

20 მარტს, ბელორუსიის უშიშროების სამსახურმა მინსკში სამი ქართველი დააკავა. დეკანოზი ბასილ კობახიძე, ბაპტისტთა გაერთიანების ხელმძღვანელი მალხაზ სონღულაშვილი და რელიგიურ საკითხთა შესწავლის ცენტრის დირექტორი ლადო გოგიაშვილი ბელორუსიის დედაქალაქში გამართულ საპროტესტო აქციაზე იმყოფებოდნენ. უშიშროების სამსახურის წარმომადგენლებმა ისინი დასკითხად უშიშროების კომიტეტში გადაიყვანეს. **ინტერპრესნიუსი**

ოპოზიციური პარტიების საკოორდინაციო საბჭოს მოწოდება

ოპოზიციური პარტიების საკოორდინაციო საბჭო მოსახლეობას პარლამენტის შენობასთან 30 მარტს, 15.00 საათზე დაგეგმილ საპროტესტო აქციაზე მისვლისკენ მოუწოდებს.

როგორც გუშინ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე "ლეიბორისტული პარტიის" ერთერთმა ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ განაცხადა, ხელისუფლებამ სპეციალური საინფორმაციო ჯგუფები შექმნა, რომლებიც მოსახლეობაში 30 მარტს დაგეგმილი საპროტესტო აქციის გადადების შესახებ ცრუ ინფორმაციას ავრცელებენ.

ბაღათურია მოქალაქეებს მოუწოდებს, არ დაიჯერონ აქციის გადადების შესახებ ინფორმაცია და პარლამენტის შენობასთან, დანიშნულ დროს აუცილებლად მივიდნენ. მისი განცხადებით, აქციის მთავარი მოთხოვნა ამჯერადაც მოვაჭრეებისთვის ფიქსირებული გადასახადის შემოღება იქნება. ამ მოთხოვნას ასევე დაემატება იმ ჩინოვნიკთა პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება, რომლებიც ბაზრობების უშუალო მფლობელები არიან.

ჯონდი ბაღათურიას მონაცემებით, ლილოს ბაზრობის ძირითადი მფლობელი შსს-ს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის უფროსის, ირაკლი კოდუას ოჯახია. "ლეიბორისტები" გენერალურ პროკურატურას მოუწოდებენ დაადგინოს, თუ რა წილს ფლობს კოდუების ოჯახი ლილოს ბაზრობაზე.

რაც შეეხება საკოორდინაციო საბჭოს წევრს, "კონსერვატიული პარტიის" ერთერთ ლიდერს, კობა დავითაშვილს, მან აქციაზე მისვლისკენ არა მხოლოდ მოვაჭრეებს, არამედ საზოგადოების ყველა ფენას მოუწოდა. მისი განცხადებით, აღნიშნული აქციის ერთერთი მიზანი ხელისუფლებისთვის ხალხის ძალის დემონსტრირება უნდა იყოს.

საპროტესტო აქციაზე სალარო აპარატების საკითხის გარდა, მიწისძვრით დაზარალებულთა და საბინაო კოოპერატივების წარმომადგენელთა პრობლემებიც გაჟღერდება. ოპოზიციის ლიდერები მოითხოვენ ასევე, რომ ჩამორთმეული დაუსაბუთებელი ქონება ხალხს გადაეცეს. კობა დავითაშვილის განცხადებით, საპროტესტო აქციის ერთერთი უმთავრესი მოთხოვნა იქნება აგრეთვე "შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩამოყალიბებული "მკვლელების ბრიგადების" გაუქმება, რომელსაც პირადად პრეზიდენტი მფარველობს". **ინტერპრესნიუსი**

კოკო გამსახურდია გამოძიებას მოითხოვს

პოლიტიკური მოძრაობა "თავისუფლების" ლიდერი 1993 წლის ბოლოს და 1994 წლის დასაწყისში, საქართველოში ადმირალ ბალტინის მეთაურობით, რუსეთიდან სამხედრო ფორმირების შემოსვლის და შემდეგ ქართულ მხარესთან გამართული შეტაკებების ამსახველი ფაქტების გამოძიებას მოითხოვს.

როგორც კოკო გამსახურდია აცხადებს, იურიდიულად ეს საკითხი უკვე შესწავლილია და არსებობს ფაქტობრივი მონაცემები, რის საფუძველზეც შესაძლოა გამოძიების დაწყება.

გამსახურდიას თქმით, ის არავის დასჯას არ მოითხოვს, თუმცა არსებობს იმის დამადასტურებელი ფაქტები, რომ ადმირალ ბალტინის საქართველოში შემოსვლა კონსტიტუციის გვერდის ავლით, ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ნებართვით განხორციელდა.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე ბალტინის ჯარის შემოსვლისა და მასთან ქართული მხარის შეტაკებების დეტალები თავად ერთ-ერთმა მაშინდელმა სამხედრო პირმა ფრიდონ ჩუბინიძემ გაიხსენა.

მისი თქმით, ბალტინის ჯართან შეტაკებისას, არა ერთი ქართველი დაიღუპა. გამსახურდიას ამ მოთხოვნას "კონსერვატორი" კობა დავითაშვილიც შეუერთდა და განცხადა, რომ შევარდნაძე აუცილებლად უნდა დაისაჯოს.

როგორც ადვოკატი იოსებ ბარათაშვილი აცხადებს, დღევანდელი პრეს-კონფერენციის შემდეგ, გენერალური პროკურატურა ვალდებულია სისხლის სამართლის საქმე აღძრას და გამოძიება დაიწყოს, რადგან აღნიშნულ პერიოდში მოხდა ორგანიზებული მკვლელობა, სამშობლოს ღალატი, რომელიც გამოიხატა კონსტიტუციის გვერდის ავლით, რუსეთის ჯარის შემოყვანაში. **ინტერპრესნიუსი**

პრაღაში საქართველოს საელჩო ოფიციალურად გაიხსნა

საქართველოს საელჩომ პრაღაში დღეიდან ოფიციალურად დაიწყო მუშაობა.

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ჩეხეთის რესპუბლიკაში კახა სიხარულიძემ ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ვაცლავ კლაუსს რწმუნებათა სიგელები უკვე გადასცა.

პრეზიდენტთან საუბარი შეეხო კონფლიქტების მოგვარებასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების სამშვიდობო გეგმას, ნატოსა და ევროკავშირთან ურთიერთობების დინამიკას, საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობებს და ძირითად საგარეო პრიორიტეტებს.

გერმანიის ბუნდესტაგი IPP-ში მონაწილეობის მისაღებად ახალგაზრდების შერჩევას იწყებს

გერმანიის ბუნდესტაგი, პროგრამაში "საერთაშორისო საპარლამენტო პრაქტიკა (IPP)" მონაწილეობის მისაღებად ახალგაზრდების შერჩევას იწყებს. მსოფლიოში ერთადერთი IPP-პროგრამა ხუთ კვალიფიციურ, პოლიტიკით დაინტერესებულ და უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდა ქართველს აძლევს შესაძლებლობას, რამოდენიმე თვის განმავლობაში ადგილზე გაეცნონ გერმანიის საპარლამენტო მმართველობის სისტემას. საპარლამენტო საქმიანობაში პრაქტიკული გამოცდილებისა და პარალელურად, ბერლინის ერთ-ერთ უნივერსიტეტში სწავლის შედეგად, მსმენელმა შემდგომში უნდა შეძლოს თავისი ქვეყნის მომავლის მოწყობაში აქტიური წვლილის შეტანა.

საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2006 წლის 31 მაისი. განცხადება მიიღება თბილისში, გერმანიის საელჩოში. 2006 წლის დეკემბრის დასაწყისში, საუკეთესო კანდიდატებს საელჩოში ზეპირ გასაუბრებაზე მიიწვევენ. შესაბამისი საინფორმაციო მასალა და საგანაცხადო ანკეტები უახლოეს დღეებში დარიგდება საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. მათი მიღება ასევე შესაძლებელია გერმანიის პოლიტიკურ ფონდებსა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურში (DAAD). პრაქტიკას ქართველი სტუდენტები 2007 წლის 1 მარტიდან 2007 წლის 31 ივლისამდე გაივლიან. **ინტერპრესნიუსი**

ქარის დამთესავ უმრავლესობას ოპოზიცია ქარიშხლით ემუქრება

ჰირველი გვერდიდან

ესენი არიან: პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი არველაძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი კახა ლომაია, თბილისის მერი გიგი უგულავა, 84-ე საშუალო სკოლის დირექტორი, ფინანსური დეკლარაციების ბიურო, აგრეთვე დეპუტატები რატი სამყურაშვილი, გიგა ბოკერია და ბიძინა ბრეგაძე.

მას შემდეგ, რაც ზემოთ დასახელებული სამსახურები და პიროვნებები საპროცედურო საკითხთა კომიტეტს ვალერი გელაშვილის საქმიანობასთან დაკავშირებულ მასალებს მიაწვდიან, ხათუნა გოგორიშვილის კომიტეტი გადაწყვეტს, რომელი დოკუმენტი უნდა იქნას მიჩნეული საქმის შესწავლის საფუძვლად და რომელი, - არა.

საპარლამენტო უმრავლესობის მიერ ვალერი გელაშვილის საწინააღმდეგო ტალღის აგორებას ოპოზიცია კატეგორიულად აპროტესტებს და ამას "პოლიტიკურ დაკვეთას" უწოდებს.

"რატი სამყურაშვილის ინიციატივას სამართლებრივი საფუძველი არ აქვს და ოპოზიციის დევნას ემსახურება. ღიმილის მომგვრელია, რომ დეპუტატის სამეწარმეო საქმიანობის შესწავლის თაობაზე ბიუროს დავალებას ჯემალ ინაიშვილი აწერს ხელს. ადგილი აქვს პოზიციის პოლიტიკურ დევნას და საზოგადოებისთვის საინტერესო საკითხების გადაფარვის მცდელობას", - აცხადებს "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელი მამუკა კაციტაძე. მან ვალერი გელაშვილის წინააღმდეგ გაჩაღებული კამპანია "ბოკერია-უგულავას უნიჭო სცენარით დადგმულ სპექტაკლად" მონათლა და პროტესტის ნიშნად, საკომიტეტო მოსმენა დატოვა.

კიდევ უფრო მძაფრი რეაქცია აქვს ვალერი გელაშვილის თანაფრაქციელ კახა კუკავას. "დემოკრატიული ფრონტის" მდივანი პირობას იძლევა, რომ საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის მომავალ სხდომაზე საპარლამენტო უმრავლესობის იმ წევრთა სიას წარადგენს, ვისაც საკუთარი ბიზნესი აქვს და მის ლობირებას ეწევა. კუკავა ამტკიცებს, რომ უმრავლესობის ნახევარზე მეტი ბიზნესმენია და ამის დამადასტურებელი ფაქტების მოძიებას დიდი წვალება არ ჭირდება.

"ამის შესახებ საქმის კურსშია პრეზიდენტიც, პარლამენტის თავმჯდომარეც და უმრავლესობის ლიდერიც. ყველამ კარგად იცის, რომელი დეპუტატი რა ბიზნესს ლობირებს. საპარლამენტო უმრავლესობამ ქართული ბიზნესის სრულიად სხვადასხვა სფეროები აითვისა. მათი საქმიანობა საკმაოდ მრავალფეროვანი და მრავალდარგოვანია", -აცხადებს კუკავა. იგი კონკრეტული გვარების დასახელებისგან, ჯერჯერობით, თავს იკავებს, თუმცა, აღნიშნავს, რომ უმრავლესობის წევრ ბიზნესმენთა შორის ერთი პამპერსების დისტრიბუტორია, მეორე, - ლუდის მწარმოებელი და ა.შ.

კომიტეტის სხდომაზე "დემოკრატიული ფრონტის" წარმომადგენლის გამოსვლამ საკმაოდ დამთრგუნველად იმოქმედა საპარლამენტო უმრავლესობის წევრებზე. გუშინ მათ ჩვეული აქტიურობა არ გამოუჩენიათ და კახა კუკავასთან შეკამათება არც კი უცდიათ.

უმრავლესობის წარმომადგენელთა ასეთი განწყობა კუკავამაც "დაიჭირა" და ისინი "დააშანტაჟა": **"მომდევნო სხდომამდე შეგიძლიათ იმარჩიელოთ, ვინ იქნებით ამ სიაში და ვინ, -არა. ვნახოთ, ბოლოს ვინ დარჩება მოგებული".**

ერთი სიტყვით, ოპოზიცია იმედოვნებს, რომ ვალერი გელაშვილის წინააღმდეგ მიმართული ქმედებებით უმრავლესობა უფრო დაზარალდება და ქარის დამთესავი სახელისუფლებო ფრაქცია ქარიშხალს მოიმკის. ცხადია, ოპოზიციას იმის ილუზია სულაც არ აქვს, რომ ბიზნესმენობაში მხილებული საპარლამენტო უმრავლესობის წევრები მკაცრად დაისჯებიან, მაგრამ იმას მიღწევას მაინც იმედოვნებს, რომ სახელისუფლებო გუნდის იმიჯი საგრძნობლად შეილახება.

მორიგი უტოპია კოკოითისაგან

ჰირველი გვერდიდან

საქართველიოს სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების დარეგულირების საკითებში გიორგი ხაინდრავამ განაცხადა, რომ კოკოითის მიმართვა რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოსათვის ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს და ურთიერთობას მოსკოვსა და თბილისს შორის. მან თვითგამოცხდებული რესპუბლიკის ლიდერის განცხადებას არასერიოზული უწოდა. **"არ მგონია, მისკოვში ეს საკითხი ოფიციალურ დონეზე განიხილონ"**, - მიაჩნია ხაინდრავას.

როგორც ჩანს, ედუარდ კოკოითის ახალი ინიციატივა გათვლილია მხოლოდ შიდა მოხმარებაზე - კოკოითი თავის მოსახლეობას უახლოეს მომავალში რუსეთის შემადგენლობაში შეხვლას დაპირდა, და ამ მიმართულებით რაღაც მოქმედების ილუზია მაინც უნდა შექმნას. ეს კი იმის გასამართლებლად სჭირდება, თუ რატომ არ აპირებს მოლაპარაკებებს წარმოებას თბილისთან სამხრეთ ოსეთის სტატუსის შესახებ. კოკოითი ჯერჯერობით ახერხებს საკუთარი მოსახლეობა ამგვარი ტყუილებით კვებოს.

24 საათი

რუსეთ-ჩინეთის ეკონომიკური ფორუმი

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერეგი ლავროვის თქმით, ჩინეთში აღმოსავლეთ ციმბირის ნავთობსადენის შტოს მშენებლობა უახლოეს თვეებში დაიწყება.

პეკინში ვიზიტით მყოფმა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ჩინეთის ლიდერთან ჰუ ძინტაოსთან ერთად, დღეს რუსეთ-ჩინეთის ეკონომიკური ფორუმი გახსნა, რომლის მიზანია ორ მეზობელ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობების გააქტიურება. თანამშრომლობის მთავარი სფეროებია - ენერგეტიკა, ფინანსები და საინფორმაციო ტექნოლოგიები.

ფორუმის გახსნისას პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთმა გადაწყვიტა, აღმოსავლეთ ციმბირიდან წყნარი ოკეანის სანაპიროსკენ ნავთობსადენი გაიყვანოს. მთავარი მილიდან ჩინეთის მიმართულებით განშტოების შენებლობის შესახებ შეთანხმებას რუსულმა კომპანიამ "ტრანსნეფტმა" და ჩინურმა ნავთობკორპორაციამ უკვე მოაწერეს ხელი.

რუსეთის მრეწველობისა და ენერგეტიკის მინისტრის ვიქტორ ხრისტენკოს თქმით, ნავთობსადენის მშენებლობა 2008 წლის ბოლოსთვის დასრულდება.

"თუ პროექტი განხორციელდება - ამაში კი ეჭვი არ მეპარება - ის საშუალებას მოგვცემს, რუსეთის მიერ ჩინეთისთვის მიწოდებული ნავთობის მოცულობა არსებითად გავზარდოთ," - განაცხადა პუტინმა და ფორუმის მონაწილეებს შეახსენა, რომ ამჟამად, რუსეთს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისთვის ნედლეულის ძირითად მიმწოდებელთა სიაში რუსეთს მეხუთე ადგილი უკავია.

რუსეთის პრეზიდენტმა ისიც აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში ჩინეთს განზრახული აქვს, რუსეთის ეკონომიკაში 2 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი ინვესტიცია ჩადოს. ჩინეთში ინვესტირებული რუსული კაპიტალის მოცულობა კი, პუტინის თქმით, 500 მილიონ აშშ დოლარს აღემატება.

პუტინის თქმით, გასულ წელს რუსეთმა ჩინეთს 8 მილიონ ტონა ნავთობზე მეტი მიჰყიდა. თუმცა, დაგეგმილი იყო დაახლოებით 10 ტონა ნავთობის მიწოდება.

ამჟამად ჩინეთი რუსეთისაგან ნავთობს სარკინიგზო ტრანსპორტის საშუალებით იღებს და ეს მანამდე გაგრძელდება, ვიდრე ნავთობსადენის მშენებლობა დასრულდება. ჩინეთის ნავთობკორპორაციის გენერალური დირექტორის ჩენ გენის განცხადებით, ორგანიზაცია მზადაა, წლის განმავლობაში 15 მილიონი ტონა ნავთობიც მიიღოს. როგორც "როსნეფტის" ხელმძღვანელმა სერგეი ბოგდანჩიკოვმა აღნიშნა, რუსეთი და ჩინეთი წელს 2 ერთობლივ ნავთობსაწარმოს ჩამოაყალიბებენ.

"ერთ-ერთი მათგანი რეგისტრირებული იქნება რუსეთში, ხოლო მეორე - ჩინეთში. ნავთობსაწარმოები პარიტეტულ საფუძველზე ჩამოყალიბდება. ამ ინიციატივის უმთავრესი იდეა შემდეგში მდგომარეობს: ჩვენ დაინტერესებულნი ვართ, ჩინეთში ბენზინგასამართი სადგურების გარკვეულ რაოდენობას "როსნეფტის" აბრა ჰქონდეს," - თქვა "როსნეფტის" მეთაურმა.

თუმცა, რუსეთი ჩინეთს, ნავთობის გარდა, ბუნებრივ გაზსაც მიაწვდის. პუტინის თქმით, ჩინეთი გაზს დასავლეთ ციმბირიდან ახალი გაზსადენის მეშვეობით მიიღებს. ახალ სატრანსპორტო სისტემას მხარეებმა პირობითად "ალტაი" უწოდეს. რუსული მხარის განცხადებით, ის ბუნებრივი გაზის მიწოდებას ოფიციალური პეკინისთვის 2011 წელს დაიწყებს. პეკინში "გაზპრომის" წარმომადგენლის ალექსეი მილერის თქმით, საუბარია წლის განმავლობაში 60-80 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი გაზის მიწოდებაზე.

24 საათი

საფრანგეთში მასობრივი პროტესტი გრძელდება

ჰირველი გვერდიდან

ხელშეკრულება" ითვალისწინებს. თუმცა, ეს, სავარაუდოდ, ერთადერთი დათმობა იქნება მთავრობის მხრიდან, რადგან ახალი კანონის გაუქმებას შირაკის გუნდი არ აპირებს.

საფრანგეთის ხელისუფლება ამბობს, რომ ახალი კანონი ხელს შეუწყობს უმუშევრობის დონის მკვეთრ კლებას, რასაც არ ეთანხმებიან პროფკავშირების წარმომადგენლები და სტუდენტები. მასობრივი დემონსტრაციები, რომლებიც კარგა ხანია, უკვე რაც სამართალდამცველებსა და მომიტინგეებს შორის ხელჩართულ ბრძოლებში გადაიზარდა, კვლავ გაგრძელდება. სტუდენტები კიდევ უფრო მასშტაბური აქციის გამართვას 28 მარტს გეგმავენ.

დასაქმების ნიადაგზე საკმაოდ სახიფათო გამოსვლების ფონზე ხელისუფლება იძულებულია, უმოკლეს ვადებში შეიმუშავოს კომპრომისული ვარიანტი, რაც მისაღები იქნება როგორც მათთვის, ასევე ახალი კანონის მოწინააღმდეგეებისთვის.

თუმცა, ფრანგი სტუდენტები ასე იოლად პოზიციების დათმობას სულაც არ აპიერებენ და აცხადებენ, რომ მათთვის მისაღები არ იქნება კომპრომისული ვარიანტიც - ხელისუფლებამ უნდა აღიაროს საკუთარი შეცდომა და გააუქმოს კანონი, რომელიც ახალგაზრდობით ექსპლუატაციის საშუალებას იძლევა.

კვირაზე მეტია, ფრანგული ქალაქების ქუჩებში ისმის მოწოდება: "ხელისუფლება ქუჩებს", შირაკის მთავრობა კი "მანევრირებისთვის არსებულ თავისუფალ სივრცეზე" საუბრობს, რაშიც მხოლოდ გამოსაცდელი ვადის შემცირებას გულისხმობს.

24 საათი

ამერიკელი კოლეგები მესაზღვრეებს სწავლებებს უტარებენ

"საზღვრის დაცვისა და კანონგანმტკიცების" პროგრამის ფარგლებში, ამერიკელი კოლეგები საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სანაპირო დაცვის ბათუმისა და ფოთის ბაზის მესაზღვრეებს სწავლებებს უტარებენ.

როგორც სასაზღვრო უწყების პრესსამსახურში განაცხადეს, აღნიშნული სწავლება ნავსადგურის ფიზიკური უსაფრთხოების კურსს მოიცავს. ტრეინინგები ბათუმში დაიწყო და 24 მარტს დასრულდება. სწავლების მეორე ეტაპი კი ფოთში, 27-31 მარტს ჩატარდება.

აღნიშნულ სწავლებებში, რომელსაც აშშ-ს სანაპირო დაცვის საერთაშორისო წვრთნის დივიზიონის ინსტრუქტორები ხელმძღვანელობენ, სანაპირო დაცვის ბათუმისა და ფოთის დივიზიონების 26 მესაზღვრე მონაწილეობს. სწავლებაში ჩართული არიან ასევე რეგიონული საბაჟო სამსახურების, სახედრო-საზღვაო ძალების, ნავსადგურის უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები. სწავლების მიზანს ნავსადგურებში კრიზისული სიტუაციების დროს სხვადასხვა სამსახურების კოორდინირებული მუშაობა წარმოადგენს.

დღეს, საქართველოში აშშ-ის ელჩი ჯონ ტეფტი და საელჩოს წარმომადგენლები "სარფის" საკონტროლო-გამტარ პუნქტს და ბათუმის პორტს მოინახულებენ. 24 მარტს, ჯონ ტეფტი ბათუმში აღნიშნული სწავლების პირველი ეტაპის დასრულებისადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიას დაესწრება. ღონისძიებას დაესწრებიან ასევე "საზღვრის დაცვისა და კანონგამტკიცების" პროგრამის ხელმძღვანელი, ჯონათან თრამბლი, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე, გენერალ-ლეიტენანტი ბადრი ბინაძე და უწყების სხვა ხელმძღვანელი პირები. აშშ-ის მხარე დახმარების პროგრამის ფარგლებში, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სანაპირო დაცვის ბალანსზე არსებული ერთ-ერთი მცურავი საშუალების სრულ მოდიფიცირებასაც განახორციელებს.

ინტერპრესნიუსი

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხაძირიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

"მზიურის" ტერიტორია იჯარით გაიცემა

პირველი გვერდიდან

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ ტერიტორიაზე მშენებლობების დაწყება ნებადართულად გამოცხადდა. ჩვენი ინფორმაციით, "მზიურის" ტერიტორიაზე რამდენიმე სამშენებლო კომპანია მართლაც ფლობს მიწის ნაკვეთს, რაც გარკვეული ეჭვის საფუძველს იძლევა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თბილისის მთავრობა კარგა ხანს დუმდა. თუმცა, ამ ბოლო დროს საზოგადოებაში ატეხილი აჟიოტაჟის შემდეგ, ქალაქის ხელმძღვანელობამ დუმილი დაარღვია და ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ "მზიურში" საცხოვრებელი სახლები აღარ აშენდება.

შეგახსენებთ, რომ 1978 წლის შემდეგ "მზიურის" საზღვრების დადგენა არ მომხდარა. მაშინდელი დოკუმენტაციით, მზიურის ტერიტორია გმირთა მოედნიდან დაწყებული, ბეთანიამდე გრძელდებოდა. დღეს, როდესაც თბილისის ხელძღვანელობამ "მზიურის" ტერიტორიის გარკვეული ნაწილი კონკურსის წესით, იჯარით უნდა გასცეს, მერიის ურბანულ სამსახურს ამ ტერიტორიისთვის წითელი ხაზების გაკეთება და საჯარო რეესტრში რეგისტრაცია დაევალა.

მშენებლობები "მზიურის" ტერიტორიაზე

ფოტო: ლევან ხარებავა/ფოტოკლუბი

სპეციალისტების თქმით, "მზიურის" ტერიტორია მეწყერული ზონაა. აქ ყველაზე დიდ პრობლემას საინჟინრო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება წარმოადგენს და სანამ ხელისუფლება სხვა ღონისძიებებს გაატარებს, ჯერ ამ პრობლემის მოგვარებაზე უნდა იფიქროს.

"მზიურის" ეკოლოგიურ მდგომარეობაზე არავინ საუბრობს. მდინარე ვერეს დაბინძურება მაქსიმუმს აღწევს. მე, როგორც ავტორი, ვაცხადებ, რომ ამ ტერიტორიაზე თუ სერიოზული საინჟინრო სამუშაოები არ ჩატარდა, მზიური განწირულია - ან მეწყერი წალეკავს ყველაფერს, ან ნაგავი წაიღებს. ატენის ქუჩაზე მაღალსართულიანი სახლის საკანალიზაციო მილიდან ფეკალური მასები უკვე ხუთი წელიწადია რაც პირდაპირ მზიურში ჩაედინება," - აღნიშნა "მზიურის" გენერალური გეგმის საავტორო ჯგუფის ხელმძღვანელმა ირაკლი მასხარაშვილმა.

უსინათლოების პროტესტი

2006 წლისთვის პენსიების მატების შესახებ მთავრობამ ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში, 2006 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისთანავე გვამცნო. იმთავითვე ითქვა, რომ სოციალური პენსია მარტიდან 5 ლარით, ხოლო სექტემბრიდან კიდევ 5 ლარით გაიზრდებოდა.

თამარ მაისურაძე

რამდენიმე დღის წინ სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალურმა დირექტორმა ზაზა სოფრომაძემაც აღნიშნა, რომ 800 ათასამდე პენსიონერი მარტის თვიდან 28 ლარის ნაცვლად 33-ლარიან პენსიას მიიღებდა. ამ მიზნით, წინა თვეებისაგან განსხვავებით, ფონდმა 4 მილიონი ლარით მეტი თანხა გაიღო. **"პენსიონერები გაზრდილ თანხასაც ისევე თვითვეში მიიღებენ, როგორ ეს დღემდე ხდებოდა",**- განაცხადა სოფრომაძემ.

მოსახლეობისთვის არასწორად მიწოდებულმა ინფორმაციამ პირველი ჯგუფის უსინათლო ინვალიდებს პროტესტი გამოიწვია. **"საინფორმაციო საშუალებებით გამოაცხადეს, რომ მარტის თვიდან ყველა პენსიონერი დამატებით 5 ლარს მიიღებს. ეს სიახლე ჩვენს პენსიაზე რატომ არ აისახა?"** - პასუხს ამ კითხვაზე უსინათლოები შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს ლადო ჭიპაშვილს სთხოვდნენ.

"საქართველოს უსინათლოთა კავშირის" თავმჯდომარე რეზო მაისურაძე აცხადებს, რომ ეს გაუგებრობა არასწორად გავრცელებული ინფორმაციის ბრალია. **"პირველი ჯგუფის უსინათლო ინვალიდებს პენსია მიმდინარე წლის იანვრის თვეში 7 ლარით გაეზარდათ. მაშინვე ითქვა, რომ პენსია სექტემბერშიც გაიზრდებოდა. თუმცა არავის დაუგეგმავს მარტში პენსიის 5 ლარით გაზრდა. დღეს უსინათლოები 35 ლარს იღებენ, სექტემბრიდან კი მათი პენსია 40 ლარი იქნება,"** - აღნიშნა რეზო მაისურაძემ.

ცნობისთვის, ქვეყანაში დაახლოებით 25 ათასი პირველი ჯგუფის უსინათლო ინვალიდია.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ვახტანგ სურგულაძე აცხადებს, რომ პენსია მხოლოდ სოციალური დახმარების მიმღებ (28 ლარიან) პენსიონრებს ემატება. **"ცნობილია, რომ საქართველოში პენსიონერები დიფერენცირებულად, კატეგორიების მიხედვით იღებენ პენსიას. ომის მონაწილეების პენსია სოციალური პენსიის მიმღებთა თანხაზე მაღალია. სექტემბერში სოციალური პენსია ომის მონაწილეებისას გაუტოლდება. ამდენად, დიფერენციაციის შესანარჩუნებლად, სექტემბერში ომის მონაწილეების პენსიაც გაიზრდება და იგი 43 ლარს შეადგენს,"** - აღნიშნა სურგულაძემ.

გადატვირთული თბილისი უცხოელი ურბანისტების მოლოდინშია

თამარ დვალი

გასული წლის ზაფხულში თბილისის მერიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, ქალაქის ცენტრალურ უბნებში სამარშუტო ტაქსებით მოძრაობა აიკრძალა. გარკვეულ უბნებზე სამარშუტო ტაქსების აკრძალვამ სხვა, ცენტრალური მაგისტრალების დატვირთვა გამოიწვია. ფეხით მოსიარულეებს კი გადაადგილების პრობლემა შეექმნათ. სპეციალისტების აზრით, სატრანსპორტო სქემის განტვირთვისთვის, ასე ცალკეული და ქაოტური გადაწყვეტილებების მიღება სწორი არ არის. პრობლემის მოსაგვარებლად თბილისში სატრანსპორტო კვანძის განვითარების გენერალური გეგმა უნდა გაკეთდეს.

ასეთი სურათი თბილისის ქუჩებში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

ფოტო: ლევან ხარებავა/ფოტოკლუბი

თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის სამსახურში არსებობს სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურის კვლევის განყოფილება. წესით, ქალაქში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ახალი გადაწყვეტილებების მიღებაში სწორედ ეს სამსახური უნდა იღებდეს მონაწილეობას.

მაშინ, როდესაც თბილისის მერმა ქალაქის ცენტრალური უბნებიდან სამარშუტო ტაქსების ამოღების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო, აღნიშნული განყოფილებისთვის არ მიუმართავთ და მათთვის არც კვლევის ჩატარება დაუვალებიათ.

როგორც სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურის კვლევის სექტორის მთავარმა სპეციალისტმა ირაკლი მურღულიამ აღნიშნა, ამ საკითხთან დაკავშირებით მათ კვლევა თავად ჩაატარეს და დაადგინეს, რომ ცენტრალურ უბნებში სამარშუტო ტაქსების რიცხვი მართლაც გაზრდილი იყო და მათი მოძრაობა უნდა აკრძალულიყო, მაგრამ ეს ისე უნდა განხორციელებულიყო, რომ არ სხვა უბნები არ გადატვირთულიყო.

"რუსთაველზე სამარშუტო ტაქსების მოძრაობის აკრძალვამ საგრძნობლად გააუარესა მდგომარეობა აღმაშენებლის გამზირზე. ის სამარშუტო ტაქსები, რომლებიც აღმაშენებელზე მოძრაობდნენ, იგივე ოდენობის დარჩა, ამას კიდევ დაემატა ის ავტობუსებიც, რომლებიც რუსთაველს და ჭავჭავაძის გამზირს ემსახურებიან. ამ ქუჩების განტვირთვის შემდეგ, ტრანსპორტის ნაკადმა იმატა ასევე გამსახურდიას გამზირზეც. ისედაც მძიმე მდგომარეობას ახლახანს დაემატა სასტუმრო "აჭარის" წინ დაწყებული მშენებლობაც," - აღნიშნა ირაკლი მურღულიამ.

წესით, ნებისმიერი ახალი მშენებლობის დაწყებისას, უნდა გაკეთდეს შესაბამისი კვლევა, თუ როგორ იმოქმედებს ეს ქალაქის სატრანსპორტო სქემაზე. მსგავსი დასკვნები, მინიმუმ, 10 წელზე უნდა იყოს გათვლილი. სასტუმრო "აჭარის" მიმდებარე ტერიტორიაზე მშენებლობა ჯერ არ დაწყებულა და ჯერ არც სამშენებლო ტექნიკა დგას, მოძრაობა კი უკვე საგრძნობლად შეფერხებულია. 33 სართულიანი ცათამბჯენის აშენების შემთხვევაში, ამ მიმართულებით ტრანსპორტის ნაკადი უფრო მოიმატებს, რაც სიტუაციას გაართულებს.

"ჩვენი გათვლებით, ამ მიმართულებით 200, 300 მანქანით მეტი იმოძრავებს. მოედანზე არსებული რეზერვი გამოყენებული უნდა ყოფილიყო დოლიძის ქუჩიდან ვაკის დამაკავშირებელი გზის გაკეთებისთვის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ როდესაც აკადემ-ქალაქის ტერიტორიაზე მშენებლობები დასრულდება და ხალხი შესახლდება, მათ ამ მოედნიდან ექნებათ შესასვლელი. შესაბამისად მანქანების ნაკადიც მოიმატებს. დიდი ობიექტების აშენებისას ასეთი ფაქტორები ყოველთვის გასათვალისწინებელია. იგივე შეიძლება ითქვას ქალაქის სხვა ცენტრალურ უბნებზეც, სადაც სიმჭიდროვეა და მსგავსი მშენებლობების დაწყება იგეგმება," - განაცხადა მურღულიამ.

როგორ უნდა განიტვირთოს სატრანსპორტო მოძრაობა

თენგიზ სუდაძე, ექსპერტი: ტრანსპორტის მოძრაობის განვითარებისთვის, პირველ რიგში, გენერალური გეგმის შემუშავებაა საჭირო. ახალი გადაწყვეტილებების მიღება ყოველგვარი კვლევების გარეშე ხდება, რაც შემდგომში პრობლემებს ქმნის. დარწმუნებული ვარ, რომ სანაპიროზე საფეხმავლო გზის გაკეთების შემთხვევაში, ამ სქემას ახალი მმართველობა ისევ შეცვლის, როგორც რუსთაველზე სეირნობის ცერემონიალი შეცვალეს. ახლახანს, რიყესთან დაკავშირებით გამოცხადდა კონკურსი, რაც სამანქანო გზის გადატანას გულისხმობს. დღეს რიყეზე, დაახლოებით, რვა სატრანსპორტო მიმართულება იყრის თავს. აქედან გამომდინარე, დაუფიქრებელი გადაწყვეტილების მიღებამ შესაძლოა, სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანოს. რიყის ზემოთ მიმავალი გზა, ისევე როგორც ბევრი სხვა, აღარ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. საჭიროა მისი გაგანიერება. ანუ ტრანსპორტის მატებასთან ერთად იზრდება მოთხოვნები, ჩვენ კი გზებს ვავიწროებთ, რაც გაუმართლებელია.

თავის დროზე ტრამვაის ხაზების აყრა დიდი შეცდომა იყო. ევროპის არც ერთ ქალაქში ასეთი რამ არ გაუკეთებიათ. ეს არის ყველაზე იაფი და ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტი. ტრამვაის, ტროლეიბუსის და მეტროს მოძრაობა ქალაქში კომპლექსურად უნდა იყოს გადაწყვეტილი. ეს გარკვეულწილად მოხსნის საცობების პრობლემას.

მეტროსადგურების აშენება ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ამ პრობლემის მოსაგვარებლად. არსებობდა სქემა, რომლის მიხედვითაც, საბურთალოს ხაზი უნდა გადასულიყო უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსამდე. იდეაში მისი ვაკემდე გაგრძელებაც იდო. საბურთალოს ხაზი აშენებულია, დარჩენილია მხოლოდ მოსაპირკეთებელი სამუშაოები. ასევე იგეგმებოდა ვაზისუბანში მეტროსადგურის გახსნაც. ამისთვის სამუშაოებიც დაწყებული იყო, ახლა კი პრობლემას ქმნის გათხრილი გვირაბი, რომელიც უნდა დაკონსერვედეს. აგრეთვე დამუშავებული იყო პროექტი, რომლის მიხედვითაც, თბილისის გარშემო სარკინიგზო გზა უნდა გაკეთებულიყო.

რევაზ სიგუა, ექსპერტი: სხვა ბევრ პრობლემასთან ერთად, თბილისში სატრასპორტო მოძრაობის შეფერხებას ქალაქში ტრანზიტული მოძრაობაც იწვევს. საჭიროა თბილისის შემოვლითი გზის მოდერნიზაცია და ინფრასტრუქტურის განვითარება. სომხეთში, აზერბაიჯანში, თურქეთში მიმავალი მანქანები ძირითადად ცენტრალური, სანაპიროს გზით გადადგილდებიან, ეს კი ქალაქის გადატვირთვას იწვევს.

თუკი სატრანზიტო გზაზე ინფრასტრუქტურა არ განვითარდა, მაშინ ეს გზა ვერ იმუშავებს. იქ უნდა იყოს სასტუმროები, სასადილოები, სადაც მძღოლები დაისვენებენ. თანაც, ის უფრო გრძელი გზაა და ეკონომიის მიზნით მძღოლები ქალაქიდან სიარულს ამჯობინებენ.

ექსპერტების აზრით, ტექდათვალიერების შემოღებით, თბილისში მანქანების ოდენობა განახევრდება. დღეს ქალაქში უამრავი ტექნიკურად გაუმართავი მანქანა დადის.

იმისთვის, რომ ქალაქში სატრანსპორტო სისტემა მოწესრიგდეს, უნდა დარეგულირდეს ავტოსადგომების პრობლემაც. რამდენიმე ხნის წინ, მერიამ გამოაცხადა ტენდერი და იჯარით გასცა ავტოსადგომები. გამარჯვებულ კომპანიას უნდა დაეყენებინა საგზაო ნიშნები, დაეხაზა ქუჩები და დაენიშნა თანაშრომლები, რომლებიც მოძრაობას დაარეგულირებდნენ. ავტოსადგომებზე კონტროლი სპატრულო პოლიციას უნდა ეწარმოებინა. ამის მიუხედავად, ჯერ ქალაქში მსგავსი ავტოსადგომები არ შეინიშნება. მეორე ალტერნატიული გზა მიწისქვეშა პარკინგების მშენებლობაა. თუმცა, ინვესტორებს ამ მხრივ ნაკლები დაინტერესება აქვთ, რადგან ეს გრძელვადიანი პროგრამაა და ფულის სწრაფად ამოღების საშუალებას არ იძლევა.

საზოგადოებრივი ტრასპორტის პრობლემები

მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური უბნები სამარშუტო ტაქსებისგან გათავისუფლდა, სატრანსპორტო პრობლემა მაინც ვერ მოიხსნა. მძღოლებზე უფრო რთულ ვითარებაში მგზავრები აღმოჩნდნენ. საღამოს 9 საათის შემდეგ ქალაქის გარკვეულ უბნებში საზოგადოებრივი ტრასპორტით გადაადგილება თითქმის შეუძლებელია. დღეისთვის ქალაქში 376 ავტობუსი მოძრაობს, რაც, როგორც ჩანს, საკმარისი არ არის, რადგან ისინი ყოველთვის გადატვირთულია.

პრობლემებს ქმნის დისპეტჩერიზაციის მოუწესრიგებლობაც. საბჭოთა პერიოდში თბილისის მასშტაბით 600 დისპეტჩერი იყო, ამჟამად, ოფიციალურად მხოლოდ 30 დისპეტჩერი მუშაობს. აქედან გამომდინარე, არ არის დაცული მკაცრი გრაფიკი, რომლის მიხედვითაც საზოგადოებრივმა ტრანსპორტმა უნდა იმოძრაოს. შეფერხებას იწვევს ისიც, რომ ავტობუსებს არ ჰყავთ თავიანთი კონდუქტორი და ფულის აგროვება მძღოლებს უწევთ.

მგზავრებს, ყველაზე მეტად, გაზაფხულის მოსვლასთან ერთად, ავტობუსებში კონდიციონერის უქონლობა აწუხებთ.

აღსანიშნავია ისიც, რომ დღეს თბილისში ავტობუსები საბჭოთა პერიოდში დაწესებული სქემის მიხედვით მოძრაობენ, რადგან ახალი ჯერ არ შეუდგენიათ.

როგორც მერიის სატრანსპორტო სამსახურში აცხადებენ, ცოტა ხანში ყველა ჩამოთვლილი პრობლემა მოიხსნება. ამაში კი "ევრობანკიდან" გრანტის სახით გამოყოფილი 2 მილიონი ლარი დაგვეხმარება. უცხოელ ექსპერტებთან ერთად, თორმეტი თვის განმავლობაში, შემუშავდება ახალი სატრანსპორტო სქემა, სადაც ყველაფერი დეტალურად იქნება გაწერილი.

"ამჟამად ქალაქში დროებითი სატრანსპორტო სქემა მოქმედებს, რომლის მიხედვითაც, 89 მარშუტი გვაქვს. აქედან მხოლოდ 44 ფუნქციონირებს, აპრილის ბოლომდე კი მისი რიცხვი 49-მდე გაიზრდება. გარდა ამისა, დამატებით, 600 ახალ ავტობუსს ველოდებით. ახალი სქემა მოგვცემს შესაძლებლობას, ზუსტად ვიცოდეთ, რამდენი ავტობუსი უნდა იყოს ქალაქში, რამდენი სამარშუტო ტაქსი და ა.შ. აქვე იქნება მითითებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ჩავატაროთ ტენდერები და სხვა," - განაცხადა მერიის სატრასპორტო სამსახურის უფროსმა ზურაბ ჩიკვილაძემ. მისივე თქმით, კარგი იქნება, თუკი მუნიციპალიტეტი მთელს სატრანსპორტო სისტემას, როგორც ბიზნესს, გაყიდის და უცხოელ ინვესტორებს შემოიყვანს. ასეთ შემთხვევაში, უცხოელი ინვესტორები ქალაქს მოემსახურებიან და მუნიციპალიტეტს აღარ ექნება ფინანსური პრობლემები. ასეთ შემთხვევაში ტარიფი შენარჩუნებული იქნება.

ჩიკვილაძის განმარტებით, უცხოელი ექსპერტები მხოლოდ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოწყობაზე არ იმუშავებენ. ისინი აგრეთვე შესწავლიან, თუ რომელი ქუჩა უნდა იყოს ცალმხრივი, სად უნდა იდგეს შუქნიშანი, როგორ უნდა იყოს დახაზული საგზაო ნიშნები და სხვა.

მალე გამოცხადდება ტენდერი და ავტობუსებში ძველებურად ბილეთები გაიყიდება. ასევე იგეგმება დისპეტჩერიზაციაც. მერიის ავტოსანტრასპორტო საწარმოს უფროსის, გია მაისურაძის განმარტებით, ჰოლანდიურ ავტობუსებში გვერდითი ფანჯრები ჩამონტაჟდება. ამის თაობაზე ტენდერი უკვე გამოცხადდა.

საქართველოში ნიკოტინის ჩანაცვლების სამკურნალო პროგრამა ამოქმედდა

როგორც პრაიმ-ნიუსს თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრიდან აცნობეს, აღნიშნულ პროგრამას ცენტრის ბაზაზე მოქმედი სპეციალიზებული კლინიკა - "პროფესიონალი" ახორციელებს, რომელიც პაციენტებს სამედიცინო-პროფილაქტიკურ და ფსიქოლოგიურ დახმარებას უწევს. თამბაქოს კვამლში შემავალი ნიკოტინური ალკალოიდების ჩანაცვლება ხდება ალკალოიდი ციტიზინით, რომელიც ცენტრალურ ნერვიულ სისტემაზე ისეთივე მასტიმულირებელ ეფექტს ახდენს, როგორც ნიკოტინი.

პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ 18-დან 55 წლამდე ასაკის მწეველებს, რომელთა მიღება 20 აპრილამდე გაგრძელდება. პროგრამაში ჩართვისთვის თითოეულმა მწეველმა 18 ლარი უნდა გადაიხადოს.

საქართველოში პროგრამის მხარდამჭერია Sopharma JSC-ის წარმომადგენლობა, რომელიც ცენტრს ციტიზინის შემცვლელი პრეპარატით ამარაგებს.

თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრი ნიკოტინის ჩანაცვლების სამკურნალო პროგრამის ხელმისაწვდომობის მიზნით საუბნო პრინციპით კაბინეტების ამოქმედებასაც გეგმავს.

პრაიმ-ნიუსი

ზუგდიდის საავადმყოფოში მოთავსებული ბავშვის მდგომარეობა ძალიან მძიმეა

ზუგდიდის ცენტრალურ საავადმყოფოში გუშინ, დილით უმძიმეს მდგომარეობაში მიიყვანეს 2 წლის ლუკა გადიშვილი, რომელსაც ორივე ფილტვის ანთების დიაგნოზი დაუსვეს.

ლუკა გადიშვილი რამდენიმე დღის წინ თბილისიდან ზუგდიდის რაიონის სოფელ ნარაზენში ჩაიყვანეს. მანამდე თბილისში იგი ფილტვების ანთების გამო საავადმყოფოში მკურნალობდა, თუმცა გამოჯანმრთელების შემდეგ მშობლებმა ჩათვალეს, რომ მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა და ზუგდიდიში გადმოიყვანეს.

გუშინ, საღამოს ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა გართულდა. მშობლებმა მისი თბილისში გადაყვანა გადაწყვიტეს, თუმცა ექიმების რჩევით, იმის გამო, რომ ბავშვის ტრანსპორტირება თითქმის შეუძლებელია, იგი ზუგდიდის ცენტრალურ საავადმყოფოში მოათავსეს.

თბილისში კატასტროფის ცენტრის ექიმები ორი წლის ლუკა გადიშვილის მდგომარეობას უიმედოდ აფასებენ. დედის განცხადებით, ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა დაბადებიდანვე რთული იყო. იგი 1,700 კილო დაიბადა და ჰქონდა მთელი რიგი დაავადებები დაკავშირებული ფილტვებთან.

ექიმები გამორიცხავენ "ფრინველის ვირუსთან" დაკავშირებულ პანიკას და აცხადებენ, რომ ეს არის ჩვეულებრივი გართულებული ფილტვების ანთება, რომელსაც შესაძლოა სავალალო შედეგები მოყვეს.

ინტერპრესნიუსი

სიახლე "პატიმრობის შესახებ" კანონში

უახლოეს მომავალში პატიმრებს ტელევიზორებითა და რადიოაპარატურით სარგებლობის უფლება კანონით მიენიჭებათ. ციხის ადმინისტრაციას კი ამ ნივთების ჩამორთმევა მხოლოდ პატიმრისთვის ადმინისტრაციული სასჯელის დადების შემთხვევაში მიეცემა. კანონით დარეგულირდება, აგრეთვე, ადმინისტრაციის კონტროლით პატიმრის სატელეფონო საუბრების განხორციელება და მიმონერის საშუალებაც.

პარლამენტის იურიდიულმა კომიტეტმა პატიმრობის შესახებ კანონში შესაბამისი ცვლილებები გუშინ განიხილა და მას მხარიც დაუჭირა.

დეპუტატის განცხადებით, პატიმრობაში მყოფ პირს უფლება აქვს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია მედიის ნებისმიერი საშუალებით.

"კანონის შემუშავება განპირობებულია იმით, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში მიმდინარეობს სერიოზული რეფორმები და ამ რეფორმების პროცესში გამოვლინდა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოთავსებულ პირთაგან დიდ ნაწილს საკნებში მასობრივი ინფორმაციის ელექტრონული საშუალებები აქვს. კანონის 26-ე მუხლში, იმ ჩამონათვალში, სადაც საუბარია უფლებებზე, რითიც პატიმრები სარგებლობენ, ამის თაობაზე კონკრეტული მითითება არ არის. ამიტომ ადმინისტრაციების მიერ ასეთი ტიპის ტექნიკის ამოღება ხშირად ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ხდება. კანონში ამ უფლების ცალსახად დაფიქსირება სწორედ ამით არის განპირობებული", - აცხადებს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წევრი ნაზი არონია, რომლის ინიცირებულიცაა კანონში ზემოთნახსენები ცვლილებების შეტანა.

ცვლილებების მიხედვით, პატიმარს ტელევიზორით ან რადიოთი სარგებლობის უფლება მხოლოდ ციხის განაწესის დარღვევის შემთხვევაში შეიძლება აეკრძალოს და ისიც მხოლოდ ერთი თვით.

არონიას განმარტებით, ამ ცვლილებების მიღებით პატიმარი უზრუნველყოფილი იქნება საერთაშორისო სტანდარტებით მინიჭებული უფლებებით.

24 საათი

ფსიქიატრიული კლინიკის ნაცვლად - სასამართლოში

ხვალ ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში განახლდება სასამართლო პროცესი, სადაც განსასჯელის სკამზე მჯდომი დავით ჯაში, წესით და რიგით, სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ფოთის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უნდა იმყოფებოდეს.

ამ სამართლებრივი ნონსენსის მოკლე პრეისტორია ასეთი გახლავთ: წელს, 20 იანვარს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ნ. სარიამ იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N5 საპყრობილის და შპს "ფოთის ფსიქიატრიული საავადმყოფოს" დირექტორებს დაუგაზვნა სასამართლოს გამწესრიგებელი სხდომის დადგენილება, რომელშიც ერთმნიშვნელოვნად იყო მითითებული, რომ დავით ჯაში სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარებისა და სტაციონარული გამოკვლევის მიზნით, ერთი თვით უნდა მოთავსდეს შპს "ფოთის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში" და მისი ბრალდების საქმის განხილვა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის მიღების შემდეგ უნდა დაინიშნოს. მოსამართლის ამ გადაწყვეტილებას საფუძვლად ედო ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტის ექიმ-ფსიქიატრების დასკვნა.

მოსამართლის მიერ დადგენილების გამოტანისა და ამ დადგენილების აღსასრულებლად დაგზავნის შემდეგ, დავით ჯაში ორჯერ მოამზადეს მე-5 საპყრობილიდან ფოთის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ეტაპირებისთვის და ორჯერვე გადადეს.

მოსამართლის გადაწყვეტილების აღსრულების გაჭიანურების გამო ბრალდებულის ადვოკატმა სახალხო დამცველს სოზარ სუბარს მიმართა და დახმარება სთხოვა. ვითარებაში გარკვევისთანავე ომბუდსმენმა სასამართლოს დადგენილების სასწრაფოდ აღსრულება მოითხოვა და საქმეც თითქოს დაიძრა: 9 მარტს, დღის 3 საათზე განსასჯელი სასწრაფოდ წაიყვანეს დასავლეთის მიმართულებით, მაგრამ... ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლეს ნოდარ ცალანს მიჰგვარეს, პროკურორი დავით ჩხენკელიც იქ დახვდათ, საღამოს 7 საათზე საქმის განხილვაც დაიწყეს და სასამართლო სხდომამ ღამის 11 საათამდე გასტანა. მომდევნო სხდომას განსასჯელი ბოლომდე ვერ დაესწრო და სასამართლო საქმის განხილვას ხვალ გააგრძელებს. მოსამართლე ნოდარ ცალანი, რომლისთვისაც ცნობილია მისივე კოლეგის - მოსამართლე სარიას დადგენილება პატიმარ ჯაშის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ეტაპირების შესახებ, მიიჩნევს, რომ საქმის განხილვის დაწყებას წინ არაფერი უდგას. არგუმენტი კი ასეთი გახლავთ - თურმე მოსამართლე სარიას დადგენილებაში, ისევე, როგორც ექიმ-ფსიქიატრთა დასკვნაში, ის კი არ წერია, რომ დავით ჯაში ფსიქიკურად დაავადებულია, არამედ ის, რომ იგი ფსიქიატრიულ კლინიკაში სტაციონარულ გამოკვლევას საჭიროებს(?!).

24 საათი

კიდევ ერთი მოგებული პროცესი მიხეილ ქარელის წინააღმდეგ

არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" შიდა ქართლის რწმუნებულს მიხეილ ქარელს სასამართლო პროცესი კიდევ ერთხელ მოუგო.

როგორც "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენლები აცხადებენ, სასამართლოს გადაწყვეტილება შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის ადმინისტრაციას "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" სასარგებლოდ საჯარო ინფორმაციის გაცემას ავალდებულებს. აღნიშნული ინფორმაცია ორგანიზაციამ ჯერ კიდევ 2005 წლის ივნის-ივლისის თვეში გამოითხოვა, რასაც რწმუნებულის ადმინისტრაციისგან რეაგირება არ მოჰყოლია.

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წევრებს მიუღებლად მიაჩნიათ შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის მიხეილ ქარელის ადმინისტრაციის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში საჯარო ინფორმაციის გაუცემლობა, რაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა უხეში დარღვევაა. აღნიშნულის გამო, "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" გორის რაიონულ სასამართლოში სარჩელი ჯერ კიდევ შარშან შეიტანა. არასამთავრობო ორგანიზაციამ პროცესი მოიგო, რაც, თავის მხრივ, მოპასუხე მხარემ - შიდა ქართლში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის წარმომადგენელმა თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. სააპელაციო სასამართლომ გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე შეტანილი სარჩელი არ დააკმაყოფილა.

"არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, შიდა ქართლის რწმუნებულის ადმინისტრაციამ რწმუნებულის ფონდის ხარჯვითი ნაწილის შესახებ ინფორმაცია არ მოგვაწოდა. ამის შესახებ პრეზიდენტის ადმინისტრაციასაც მივმართეთ, მაგრამ აღნიშნული ინფორმაცია მაინც ვერ მივიღეთ. აქედან გამომდინარე, ჩნდება ეჭვი, რომ რწმუნებულის ფონდის ხარჯვით ნაწილში გარღვევებია", - აცხადებენ "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში". ორგანიზაციას შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატისგან შემდეგი სახის საჯარო ინფორმაციის მიღება სურდა:

შიდა ქართლში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის მიერ ევროპის რეგიონულ ასამბლეაში არის თუ არა გადახდილი საწევრო გადასახადი; გადახდის ქვითრის ასლი, რომელიც ადასტურებს ზემოხსენებული საწევრო გადასახადის გადახდას;

2005 წლის 1 იანვრიდან დღემდე შიდა ქართლში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტების და 2004-2005 წლებში რწმუნებულის საბჭოს სხდომის ოქმების ასლები;

2004-2005 წლების განმავლობაში აპარატის მიერ გაწეული ხარჯების ამსახველი ფინანსური დოკუმენტების ასლები;

შიდა ქართლში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ფონდის სადამფუძნებლო დოკუმენტაცია და მის მიერ 2004 წლის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტაციის ასლები;

სწორედ ეს ინფორმაცია დამალა შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატმა და ამას, შესაბამისად, სასამართლო დავაც მოჰყვა.

24 საათი

მოკლედ

ფარული აუდიოჩანაწერი ექსპრეზიდენტის წინააღმდეგ

"კონსერვატიული პარტიის" ლიდერებმა - კობა დავითაშვილმა და ზვიად ძიძიგურმა გუშინ საქართველოს ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძისა და აჭარის ყოფილი ლიდერის ასლან აბაშიძის სატელეფონო საუბრის აუდიოჩანაწერი გენერალურ პროკურატურას გადასცეს. "საქართველოს კონსერვატიული პარტია" სამშობლოს ღალატის ბრალდებით ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის დაპატიმრებას და გასამართლებას მოითხოვს. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ "კონსერვატიულმა პარტიამ" გამოაქვეყნა ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძისა და აჭარის ყოფილი ლიდერის ასლან აბაშიძის სატელეფონო საუბრის აუდიოჩანაწერი, რომელიც, სავარაუდოდ, 2003 წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში შედგა. ჩანაწერში შევარდნაძე აბაშიძეს ურჩევს, სიტუაციის გამწვავებისას განაცხადოს, რომ, ოპოზიციის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, აჭარა დანარჩენ საქართველოს გამოეყოფა. იქვე ექსპრეზიდენტი აღნიშნავს, რომ იგი, რა თქმა უნდა, ამას არ დაუშვებს და მათი საერთო ლოზუნგები საქართველოს ერთიანობისკენ და გაძლიერებისკენ უნდა იყოს მიმართული, "რაზეც ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია", - მიმართავს ედუარდ შევარდნაძე აბაშიძეს. სახალხო დამცველი სოზარ სუბარი მიუღებლად მიიჩნევს უმაღლესი თანამდებობის პირების პირადი საუბრების მოსმენას უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. როგორც ომბუდსმენის აპარატში აცხადებენ, აღნიშნული ქმედება ლახავს საქართველოს კონსტიტუციას, კერძოდ, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას. ამასთანავე, თუ აღნიშნული მტკიცებულება კანონდარღვევით არის მოპოვებული, იგი ვერ გახდება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველი. **"საქართველოს ყველა მოქალაქე, განურჩევლად მისი ამჟამინდელი თუ ყოფილი თანამდებობისა, თანაბრად უნდა იყოს დაცული კანონის მიერ და სარგებლობდეს იმ უფლებებით და თავისუფლებებით, რომელიც მას მინიჭებული აქვს საქართველოს კონსტიტუციით. შესაბამისად, დაუშვებელია მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ხელყოფა და, არაკანონიერი გზით მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე, მათი თავისუფლების შეზღუდვა თუ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა",** - აცხადებს სოზარ სუბარი.

24 საათი

შსს არასრულწლოვანთა გათავისუფლებას ითხოვს

ნოდარ ჭუმბურიძისა და სანდრო წინწკალაძის თანაკლასელებმა საპროტესტო აქცია გამართეს.

დანაშაულის დაფარვისა და ხულიგნობის ბრალდებით დაკავებული ორი მოზარდის -სანდრო წინწკალაძისა და ნოდან ჭუმბურიძის ადვოკატმა იასონ ბესელიამ დაკავებულების წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლების მოთხოვნით, სარჩელი სააპელაციო სასამართლოში შეიტანა. თბილისის სააპელაციო სასამართლოში პროცესი 72 საათის განმავლობაში დაინიშნება.

იასონ ბესელიას განცხადებით, მოზარდების დაპატიმრების შესახებ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ბრძანება უსაფუძვლოა, რადგან დაკავებულების ქმედებაში დანაშაულის ნიშნები არ იკვეთება. ბრალდებულების წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლების სანაცვლოდ, იასონ ბესელია სააპელაციო სასამართლოს გირაოს შესთავაზებს. მართალია, დაცვის მხარემ საქალაქო სასამართლოს გირაოს სახით 3 ათასი ლარის გადახდა შესთავაზა, თუმცა, მოსამართლემ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

იასონ ბესელიას თქმით, ჭუმბურიძესა და წინწკალაძეს გამოძიება ხულიგნობაში არაობიექტურად ადანაშაულებს, რადგან უნდა არსებობდეს დაზარალებული პირი, რომელსაც საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევით ზიანი მიადგა. არადა, ასეთი პირი საქმეში არ არსებობს.

რაც შეეხება დანაშაულის დაფარვას, ადვოკატის განცხადებით, კანონით, დანაშაული დაფარულად ითვლება მაშინ, თუ მომხდარის შესახებ გარკვეული პერიოდის განმავლობაში არავინ გაიგებს. **"არადა, ამ შემთხვევაში დანაშაულის დაფარვა არ მომხდარა, საქმე ისაა, რომ შეტყობინება შევიდა სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სამსახურში და 10 წუთში საქმეში უკვე საგამოძიებო ჯგუფი ჩაერთო. თანაც, არც ჭუმბურიძე და არც წინწკალაძე გასროლის მომენტში შემთხვევის ადგილზე არ ყოფილან, ამას ადასტურებენ მოწმეებიც. ამიტომ წინწკალაძისა და ჭუმბურიძისთვის დანაშაულის დაფარვაში ბრალის წაყენება არ შეიძლება,** " - აცხადებს იასონ ბესელია, რომლის თქმითაც, გარდა ამ არგუმენტებისა, ორივე ბრალდებული არასრულწლოვანია, არ დამალვიან გამოძიებას და მათი დაპატიმრების საფუძველი არ არსებობდა.

ნოდარ ჭუმბურიძე და სანდრო წინწკალაძე რამდენიმე დღის წინ დააკავეს. მათ ბრალი ედებათ, 2005 წლის 3 დეკემბერს მომხდარი ფაქტის - 16 წლის ირაკლი გურაბანიძის მკვლელობის დაფარვაში. გამოძიებას ჯერჯერობით არ დაუდგენია მკვლელობაში ეჭვმიტანილის ვინაობა. თუმცა, ირაკლი გურაბანიძის მკვლელობის საქმე გაერთიანდა 15 მარტს საბურთალოს ქუჩაზე მოკლულ თეიმურაზ კეშელავას საქმესთან. გამოძიების ინფორმაციით, ამ მკვლელობების საქმეში ერთი და იგივე პირის გვარი გამოიკვეთა.

გუშინ, N61 საშუალო სკოლასთან, ნოდარ ჭუმბურიძისა და სანდრო წინწკალაძის თანაკლასელებმა საპროტესტო აქცია გამართეს.

"ძირს უსამართლობა", "დაგვიბრუნეთ უდანაშაულო მეგობრები", "სანდრო და ბაჩო თქვენთანაა 61-ე სკოლა", "თავისუფლება უდანაშაულო ბიჭებს", "გაათავისუფლეთ უდანაშაულო პატიმრები," - ამ შინაარსის პლაკატებით სკოლის მოსწავლეები დაპატიმრებულ მეგობართა გათავისუფლებას მოითხოვდნენ.

"სამართალდამცველ ორგანოებს ვთხოვთ, ეს ბავშვები ახლა არ ჩამოაყალიბონ დამნაშავეებად და სასწრაფოდ გაათავისუფლონ წინასწარი დაკავების საკნებიდან, ორივე არაჩვეულებრივი მოსწავლე გახლდათ და წარმოუდგენელია, მათ დანაშაული ჩაედინოთ", - განაცხადეს აქციაზე გამოსულმა მასწავლებლებმა.

გუშინვე შსს-მ პროკურატურას შუამდგომლობით მიმართა და დაკავებული მოზარდების წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლება სთხოვა. ვინაიდან ნოდარ ჭუმბურიძე და სანდრო წინწკალაძე გამოძიებასთან თანამშრომლობას დათანხმდნენ და ისინი ამავდროულად არასრულწლოვნები არიან, შსს-ს პროკურატურას მიმართავს შუამდგომლობით, არასრულწლოვანებისთვის შეფარდებული აღკვეთი ღონისძიება შეიცვალოს მსუბუქი სანქციით - გირაოთი.

24 საათი

სახალხო დამცველი ყოფილი კოლეგის მუშაობით უკმაყოფილოა

პირველი გვერდიდან

იაგო წიქვაძის მონახულებისთანავე, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა საპყრობილის ადმინისტრაციას პატიმართან ექიმის შეყვანა მოსთხოვა. ომბუდსმენმა სოზარ სუბარმა კი მომხდარზე რეაგირება მაშინვე მოახდინა და რეკომენდაციით მიმართა პროკურატურის შესაბამის სამსახურს, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყოს. ამასთან, სოზარ სუბარმა რეკომენდაციით მიმართა იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის უფროსს ბაჩო ახალაიასაც თემურ ტაბაღუასთვის უფლებამოსილების შეჩერების თაობაზე.

სახალხო დამცველის ამ მოთხოვნის საპასუხოდ, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ ადამიანის უფლებების დამცველთა წარმომადგენლების მიერ დასახელებული ნაცემი პატიმარი ერთი დღის შემდეგ მოინახულა. თუმცა, როგორც თავად ახალაიამ განაცხადა, ფიზიკური დაზიანებების კვალი პატიმარს, რატომღაც, ვერ აღმოუჩინა. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე სუბარს არც ტაბაღუასთვის უფლებამოსილების შეჩერების თაობაზე ეთანხმება. მისი აზრით, ჯერ გამოძიებამ უნდა გაარკვიოს, რა მოხდა საპყრობილეში და ამის შემდეგ უნდა მიიღონ ციხის უფროსის თანამდებობაზე დატოვება-არდატოვების გადაწყვეტილებაც.

სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა კი თბილისის მე-7 საპყრობილის პატიმრებიც მოინახულეს. ომბუდსმენის აპარატში შესული პატიმართა ახლობლების განცხადებების თანახმად, მათ არ ეძლევათ მსჯავრდებულებთან ხანმოკლე პაემნის საშუალება. ასევე, პატიმართა განცხადებით, ირღვევა კანონით მათთვის მინიჭებული უფლება - თვეების განმავლობაში არ ხდება მათი გასეირნება (კანონი სასჯელაღსრულების დაწესებულებში მყოფ პირთა ყოველდღიურად ერთი საათის განმავლობაში გასეირნებას ითვალისწინებს). საპყრობილეში საუბრობენ სამედიცინო მომსახურების პრობლემაზეც: პატიმართა თქმით, მათი სამედიცინო შემოწმება იშვიათად და ისიც ზერელედ მიმდინარეობს, მედიკამენტები ხშირად არასაკმარისია. გარდა ამისა, როგორც ისინი ირწმუნებიან, მათ თვეების განმავლობაში არ ეძლევათ დაბანის საშუალება, არ აქვთ პირადი ჰიგიენის ნივთები.

მოკლედ, ეს ის პრობლემებია, რის გამოც პატიმრები წლების მანძილზე ჩივიან, მათ მოგვარებას ადამიანის უფლებების დამცველნი წლების მანძილზე ხმამაღლა ითხოვენ, მაგრამ მათი დაძლევა დღემდე შეუძლებელი აღმოჩნდა.

მეშვიდე საპყრობილის ადმინისტრაციის ხელმძღვანელებთან შეხვედრის შემდეგ კი სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ამჟამად მიმდინარეობს ხანმოკლე პაემნისათვის განკუთვნილი საკნების რემონტი, რომელიც, სავარაუდოდ, ათი დღის ვადაში დასრულდება და მსჯავრდებულებს კვლავ მიეცემათ ახლობლებთან და ოჯახის წევრებთან შეხვედრის საშუალება.

ომბუდსმენმა პატიმრებს კიდევ ერთი პრობლემა მოუგვარა - ისინი საპყრობილეში მართლმადიდებელი მღვდლის შეშვებას მოითხოვდნენ.

საქართველოს სახალხო დამცველმა, პატიმრების თხოვნით, წერილით მიმართა საქართველოს პატრიარქს ილია II-ს და გადასცა პატიმრების თხოვნა - გამოუყონ მღვდელი. სოზარ სუბარმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსს ბაჩო ახალაიასაც, რომ მან უზრუნველყოს სასულიერო პირის პატიმრებთან შეხვედრა.

24 საათი

"საბანკო სფეროს წლის საუკეთესო მენეჯერი"

"სახალხო ბანკის" გენერალური დირექტორი კონკურსის პირველი ქართველი გამარჯვებული აღმოჩნდა

ნინო ნარჩემაშვილი

მენეჯმენტის საერთაშორისო აკადემიამ, რუსეთის თავისუფალი ეკონომიკის საზოგადოებამ, ფინანსური ინფორმაციის ანალიტიკურმა ცენტრმა, რუსეთის საბანკო ასოციაციის მხარდაჭერით, რუსეთის საბანკო ასოციაციამ და "საბანკო ანალიტიკურმა ჟურნალმა" საბანკო სფეროში წლის საუკეთესო მენეჯერი გამოავლინა. კონკურსში, სახელწოდებით "წლის მენეჯერი საბანკო სფეროში", რომელშიც დსთ-ს მასშტაბით 700-მდე კომერციული ბანკის სხვადასხვა თანამდებობისა და კატეგორიის საბანკო მენეჯმენტის წარმომადგენელი მონაწილეობდა, ნომინაციაში - "ნდობა და საიმედოობა", რომელიც პროფესიონალიზმის, ორგანიზებულობის, მიზანდასახულობის, შორსმჭვრეტელობისა და მომხმარებელზე ფოკუსირებული - გუნდური მუშაობის პრინციპის კრიტერიუმებით განისაზღვრება, გამარჯვებულად "სახალხო ბანკის" გენერალური დირექტორი გიორგი გოგუაძე დასახელდა. გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალი მოსკოვში, ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერეაში გაიმართება.

კონკურსის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით "სახალხო ბანკის" გენერალურ დირექტორს ასევე საცალო საბანკო მომსახურების სფეროში "წლის საუკეთესო მენეჯერის" წოდება მიენიჭა და ეს, კონკურსის ორგანიზატორების შეფასებით, იმ შთამბეჭდავი შედეგებით არის განპირობებული, რომელსაც "სახალხო ბანკმა" გიორგი გოგუაძის ხელმძღვანელობის პერიოდში მიაღწია. მათივე განცხადებით, 2005 წელს "სახალხო ბანკს" მიენიჭა საერთაშორისო სადასახადო სისტემა VISA International-ის ძირითადი წევრის სტატუსი. დღეისათვის კი ბანკს საქართველოში ყველაზე ფართო საფილიალო ქსელი გააჩნია - 160 ფილიალი ქვეყნისა და მთლიანად ამიერკავკასიის მასშტაბით. ამასთანავე "სახალხო ბანკი" საქართველოში ყველაზე მსხვილი დამსაქმებელია და მნიშვნელოვანია ისიც, რომ იგი ქვეყნის ყველა რეგიონში ფუნქციონირებს.

რაც შეეხება კონკურსის მნიშვნელობას, სახალხო ბანკის გენერალური დირექტორის გიორგი გოგუაძის განცხადებით, **"ძალზე პრესტიჟულია მასში მონაწილეობა და მითუმეტეს, გამარჯვება. კონკურსზე წარმოდგენილი იყო ცხრა ნომინაცია და ნამდვილად საამაყოა, რომ ისეთ ცნობილ ბანკებთან ერთად, როგორიცაა "დოიჩე ბანკი", "სისიეტე ჟენერალ" და სხვა, გამარჯვება ქართულმა ბანკმა მოიპოვა. ეს წარმატება "სახალხო ბანკისათვის" დიდი სტიმულია, რათა სამომავლო საქმიანობა უფრო წარმატებული იყოს".**

თვითონ კონკურსი "წლის მენეჯერი" კი რუსეთში უკვე ხუთი წელია რეგულარულად იმართება და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისათვის სერიოზულ ინსტრუმენტს წარმოადგენს. მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის საბანკო სექტორის ეფექტური მუშაობის პროგრესირებისა და პერსპექტიული ხელმძღვანელების გამოვლენის თვალსაზრისით. აღსანიშნავია ისიც, რომ კონკურსის არსებობის ხუთწლიანი პერიოდის განმავლობაში ეს ქართული ბანკის წარმატების პირველი პრეცედენტი გახლავთ.

1

იურიდიული ოფისი **„გაპი"** და გაზეთი **"24 საათი"**

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც ნარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

2

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში. (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქეროასლები არ განიხილება.) უფასო შეკითხვის ქვითრები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე ხოლო ამომწურავ პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, ავსებს უფასო შეკითხვის ქვითრის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. ამავდროულად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

3

ყუთები განთავსებული არიან ძალაქ თბილისში მეტროს ძველთითქმის ოთხმოცდაათ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური ,,ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური ,,მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური ,,თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური ,,წერეთელი";
5. მეტროს სადგური ,,სამგორი II";
6. მეტროს სადგური ,,ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური ,,გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური ,,დელისი");
8. მეტროს სადგური ,,ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური ,,დიდუბე";
10. ვაჟაფშაველას 45 "სოფმშენის" I სართული.
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი „გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".

უფასო იურიდიული კონსულტაცია

"24 საათის" მკითხველისთვის

ბახვა ბარბაქაძე

ვარ საქართველოს წიგნის ვაჭრობის შპს "საქწიგნის" "დიდგორის" მაღაზიის დირექტორი. 1996 წლის 1-ლი მარტიდან 2004 წლის თებერვლის თვემდე, ჩვენ შორის არსებული კონტრაქტის საფუძველზე, "საქწიგნის" ყოველთვიურად ვუხდიდი 40,8 დოლარის ექვივალენტს საიჯარო ქირას. მას შემდეგ კი, რაც საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ს.ს.ი.პ. "საწარმოთა მართვის სააგენტოს" წერილით, შემდგომში პრივატიზების მიზნით, "საქწიგნის" ხუთ სხვა ობიექტთან ერთად მოითხოვა ჩემდამიქვემდებარე მაღაზია "დიდგორის" "საქწიგნის" საწესდებო კაპიტალიდან ამოღება და საოცრად შემიმცირდა მაღაზიის შემოსავლები, იძულებული გავხდი, შემეწყვიტა საიჯარო ქირის გადახდა. მაინტერესებს, შპს "საქწიგნის" აქვს თუ არა იმის სამართლებრივი უფლება, რომ საპრივატიზაციო ობიექტზე ახორციელებდეს ზეწოლას და აიძულებდეს იჯარის გადახდას?

ბატონო ბახვა,

საიჯარო ქირა გადახდილ უნდა იქნეს იმ პირისათვის, ვისი საკუთრებაცაა მითითებული ობიექტი, ან იმისთვის, ვისაც ამ ობიექტის იჯარით გაცემის უფლება აქვს. არაუფლებამოსილ პირს არა აქვს უფლება, მოითხოვოს საიჯარო ქირის მისთვის გადახდა. საერთოდ, იჯარის ხელშეკრულებით განისაზღვრება ხელშეკრულების მხარეები და უფლება-მოვალეობები. თუ მხარეებს შორის არსებობს დავა, მათ საკითხის გადაწყვეტა შეუძლიათ სასამართლო გზით. სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლის თანახმად:

მუხლი 581. ცნება

1. იჯარის ხელშეკრულებით მეიჯარე მოვალეა გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძღოლის შედეგად შემოსავლის სახით. მოიჯარე მოვალეა გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. საიჯარო ქირა შეიძლება განისაზღვროს როგორც ფულით, ისე ნატურით. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საიჯარო ქირის განსაზღვრის სხვა საშუალებებზედაც.

2. იჯარის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების წესები, თუ 581-606-ე მუხლებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

ილამაზ მიწიშვილი

პრესაში გამოქვეყნდა ჟურნალისტური გამოძიების შედეგები, რომელთა მიხედვითაც მტკიცდება, რომ სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან ადგილი ჰქონდა დანაშაულებრივ ქმედებას. ამასთან დაკავშირებით მაინტერესებს:

1. ვალდებულია თუ არა პროკურატურა გამოქვეყნებული მასალების საფუძველზე აღძრას საქმე?

2. ვინ უნდა დააყენოს პროკურატურის პასუხისმგებლობის საკითხი, თუ არის ეჭვი, რომ იგი შეგნებულად არიდებს თავს საქმის აღძვრას?

პატივცემულო ილამაზ,

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 261-ე, 263-ე, 279-ე და 62-ე მუხლების თანახმად:

მუხლი 261. წინასწარი გამოძიების დაწყების მოვალეობა

დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორი, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებულნი არიან დაიწყონ წინასწარი გამოძიება. გამომძიებლის მიერ წინასწარი გამოძიების დაწყების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროკურორს.

მუხლი 263. ცნობები დანაშაულის ჩადენის შესახებ

1. წინასწარი გამოძიების დაწყების საფუძველია ცნობები დანაშაულის ჩადენის შესახებ, რომლებიც გამომძიებელს ან პროკურორს მიაწოდეს ფიზიკურმა ანდა იურიდიულმა პირმა, სახელმწიფო ან თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებმა, თანამდებობის პირმა, ოპერატიულ-სამძებრო ორგანომ, ბრალის აღიარებით გამოცხადებულმა პირმა, ანდა ისინი მოძიებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, აგრეთვე უშუალოდ სისხლის სამართლის პროცესის ორგანოს მიერ საქმის გამოძიებისას აღმოჩენილი ცნობები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ ორგანოს წარმომადგენელი დანაშაულის თვითმხილველი ან დაზარალებულია, სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას გამოვლენილი ცნობები.

2. ანონიმური ცნობების საფუძველზე გამომძიებელი ან პროკურორი უფლებამოსილია დაიწყოს წინასწარი გამოძიება. დაუშვებელია პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება მხოლოდ ანონიმური ცნობის საფუძველზე.

მუხლი 279. გამომძიებლისა და პროკურორის მოქმედებისა და გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. გამომძიებლის მოქმედებისა და გადაწყვეტილების გამო საჩივარი წარედგინება შესაბამის პროკურორს.

2. პროკურორის მოქმედება და გადაწყვეტილება საჩივრდება ზემდგომ პროკურორთან ან სასამართლოში ამ კოდექსით დადგენილ შემთხვევებში და წესით.

მუხლი 62. უწყებრივი და პერსონალური საგამოძიებო ქვემდებარეობა

2. პროკურატურის გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობაშია საქმეები: საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის წევრის, საქართველოს მთავრობის წევრის, საქართველოს მოსამართლის, სახალხო დამცველის, კონტროლის პალატის თავმჯდომარის, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩისა და დესპანის, პროკურორის, გამომძიებლის, პროკურატურის მრჩევლის, პოლიციელის, თანამდებობაზე მყოფი უმაღლესი სამხედრო ან უმაღლესი სპეციალური წოდების მქონე ოფიცრის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილ, აგრეთვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე და 332-ე-342-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა თაობაზე.

თუ გამომძიებელი ან პროკურორი დაარღვევს კანონს და ამით ჩაიდენს დანაშაულს, მათი ეს ქმედება უნდა ეცნობოს პროკურატურას და პროკურატურამ ამ პირთა ქმედების მიმართ უნდა დაიწყოს წინასწარი გამოძიება.

ნაილი თოთლაძე

რამდენი პროცენტი აქციონერთა ხმაა საჭირო სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ასარჩევად?

ქალბატონო ნაილი,

"მეწარმეთა შესახებ" კანონის 54-ე მუხლის მე-5 ნაწილის, მე-6 ნაწილის "ე" ქვეპუნქტის, მე-7 და მე-8 ნაწილების მიხედვით:

მუხლი 54. საერთო კრება

54.5. საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე საწესდებო კაპიტალის ნახევრის მფლობელები მაინც. თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში იგივე დღის წესრიგით, 54.2 მუხლით გათვალისწინებული პროცედურის თანახმად, მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე კაპიტალის არანაკლებ 25%-ის მფლობელებისა. თუ კრება კვლავ არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში იგივე დღის წესრიგით, 54.2 მუხლით გათვალისწინებული პროცედურის თანახმად, მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია გამოცხადებული ან წარმოდგენილი ხმის უფლების მქონე კაპიტალის მფლობელთა მიუხედავად.

54.6. საერთო კრება უფლებამოსილია:

ე) აირჩიოს აქციონერთა წარმომადგენლობა სამეთვალყურეო საბჭოში ან გამოიწვიოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან.

54.7. 54.6 მუხლში გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მისაღებად საჭიროა ხმის უფლების მქონე დამსწრე კაპიტალის 50%-ზე მეტის შესაბამისი აქციების მფლობელთა ხმა, გარდა "ა" და "ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილებებისა, რომელთა მისაღებად საჭიროა ხმის უფლების მქონე დამსწრე კაპიტალის 2/3-ზე მეტის შესაბამისი აქციების მფლობელთა ხმა და "გ" და "დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილებებისა, რომელთა მისაღებად საჭიროა ხმის უფლების მქონე დამსწრე კაპიტალის 3/4-ზე მეტის შესაბამისი აქციების მფლობელთა ხმა.

54.8. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევისას აქციონერები შეიძლება შეთანხმდნენ ხმების აკუმულირების მეთოდის გამოყენებაზე, რაც მდგომარეობს შემდეგში:

ა) ყოველი აქციონერი ანაწილებს მთელ თავის ხმებს წარმოდგენილ კანდიდატთა ნებისმიერ რაოდენობაზე ისე, რომ მის მიერ მიცემულ ხმათა ჯამური რაოდენობა არ აღემატებოდეს მის განკარგულებაში არსებულ აქციათა სრულ რაოდენობას;

ბ) აქციონერს შეუძლია თითოეული თავისი ხმით მხოლოდ მხარი დაუჭიროს სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატს (მის წინააღმდეგ ხმის მიცემა დაუშვებელია);

გ) თუ კანდიდატების რაოდენობა სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დადგენილ რაოდენობაზე ნაკლებია ან ტოლია, მაშინ ყველა კანდიდატი, რომელმაც მიიღო თუნდაც ერთი ხმა, ავტომატურად ხდება სამეთვალყურეო საბჭოს წევრი; ხოლო თუ კანდიდატების რაოდენობა აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დადგენილ რაოდენობას, სამეთვალყურეო საბჭოს წევრად არჩეულად ჩაითვლებიან ის კანდიდატები, რომლებმაც მიიღეს ხმათა უმრავლესობა.

რევაზ ასათიანი

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლომ 2003 წლის 11 დეკემბრის N2482 გადაწყვეტილებით "სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" კანონის 41-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე და 370-ე მუხლების საფუძველზე ჩემს სასარგებლოდ პენსიაზე საპენსიო დანამატის სახით 7 ლარის გადახდა (1941-1945წ.წ. სამამულო ომში გამარჯვების მედლისათვის) დაეკისრა სოც.დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს. პენსიის გაორმაგებასთან დაკავშირებით უნდა მოეცა ყოველთვიურად 14 ლარი, მაგრამ ფონდმა 2006 წელს წერილით უარი განმიცხადა იმ მოტივით, რომ ამავე კანონის 41-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტით დამატებული მაქვს 28 ლარი, რაც ჩემი გაგებით არასწორია, რადგან დანამატი მეკუთვნის 41-ე მუხლით როგორც "ე", ისე "დ" ქვეპუნქტებთ. რამდენად სამართლიანია ფონდის მოქმედება?

ბატონო რევაზ,

2005 წლის 23 დეკემბრის ცვლილებით ამოღებულ იქნა თქვენს მიერ მითითებული მუხლი კანონიდან, რაც 2006 წლის იანვრიდან ამოქმედდა.

მანამდე მოქმედი ნორმა კი ადგენდა შემდეგს:

მუხლი 41.

პენსიონერთა ზოგიერთი კატეგორიისათვის პენსიის მომატება

ამ კანონის შესაბამისად დანიშნული პენსიები (მათ შორის მინიმალური პენსიები) გაუდიდდებათ პენსიონერთა შემდეგ კატეგორიებს:

დ) მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს და სხვა საბრძოლო ოპერაციებში მონაწილე სამშობლოს ინტერესების დამცველ პირებს სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომლებიც მსახურობდნენ მოქმედ არმიასა და სამხედრო ფორმირებებში, მეორე მსოფლიო ომის პარტიზანებს და მონაწილეებს ნებით დაქირავებულ პირთა რიცხვიდან, მოქმედი არმიისა და სამხედრო ფორმირებების აღსაზრდელებს და იუნგებს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვარგარეთის ქვეყნებში საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეებს, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშ როების ორგანოების რიგითი და უფროსი შემადგენლობის პირებს - საქართველოში დადგენილი ასაკის გამო მინიმალური პენსიის 100 პროცენტის ოდენობით;

ე) სამხედრო მოსამსახურეებს, მათ შორის სამხედრო სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილებს (გადამდგარებს), რომლებიც 1941 წლის 22 ივნისიდან 1945 წლის სექტემბრამდე 6 თვის განმავლობაში მაინც მსახურობდნენ იმ სამხედრო ნაწილებში, დაწესებულებებსა და სამხედრო სასწავლებლებში, რომლებიც არ შედიოდნენ მოქმედი არმიის შემადგენლობაში და დაჯილდოებული არიან მედლით (1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გამარჯვებისათვის) ან მედლით (იაპონიაზე გამარჯვებისათვის); აგრეთვე პირებს, რომლებიც ქალაქ ლენინგრადის ბლოკადის პერიოდში 1941 წლის 8 სექტემბრიდან 1944 წლის 27 იანვრამდე 6 თვის განმავლობაში მაინც მუშაობდნენ მის საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში და დაჯილდოებული არიან მედლით (ლენინგრადის დაცვისათვის) ან ნიშნით (ლენინგრადის ბლოკადის მცხოვრები) საქართველოში დადგენილი მინიმალურ ი პენსიის 50 პროცენტის ოდენობით.

ამჟამად მოქმედი "სახელმწიფო პენსიის შესახებ" კანონის 22-ე მუხლის თანახმად:

მუხლი 22. ამ კანონის ამოქმედებამდე მოპოვებული უფლებების შენარჩუნება

1. ამ კანონის ამოქმედებამდე გაცემული პენსიები (პენსიის დანამატებთან ერთად), რომლებიც დანიშნულია ამ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლებითა და ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ნორმატიული აქტებით, ამ კანონის ამოქმედების დღიდან განიხილება, როგორც ამ კანონის თანახმად დანიშნული და გაცემული პენსიები და მათი გაცემა გაგრძელდება მხოლოდ ამ კანონის შესაბამისად.

2. ქვემოთ ჩამოთვლილი საკანონმდებლო აქტებით განისაზღვრება ამავე აქტებით რეგულირებული პენსიების მიმღებ პირთა წრე, მათი მიღების უფლების წარმოშობის საფუძვლები და პენსიების ოდენობები:

დ) "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" და "სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს კანონებით გათვალისწინებული:

დ. ა) ომის I და II ჯგუფის ინვალიდებისათვის - 84 ლარი, ხოლო III ჯგუფის ინვალიდთა და 70 წელს გადაცილებულ II მსოფლიო ომის მონაწილეთათვის - 70 ლარი;

დ. ბ) ომის მონაწილეთათვის - 60 ლარი;

დ. გ) ომის მონაწილეებთან გათანაბრებულთათვის - 45 ლარი;

3. ამ მუხლით გათვალისწინებული პენსიების ოდენობები ამ კანონის ამოქმედების მომენტიდან ავტომატურად ვრცელდება მათ მიმღებ პირებზე, პენსიის დანიშვნის დროის მიუხედავად, თუ დანიშნული პენსია ამ კანონით გათვალისწინებული პენსიის ოდენობაზე ნაკლებია ან მისი ტოლია.

ამირან გურაბანიძე

ვცხოვრობ ქ.თბილისში ვაჟა-ფშაველაზე, მაქვს გარაჟი, მინდა მისი დაკანონება და გთხოვთ, განმიმარტოთ, თუ რა საბუთებია საჭირო მისი პრივატიზებისათვის და ვის მივაკითხო, რომელ უწყებას? აგრეთვე ჩემი სახლი არის 14 სართულიანი, რომლის პირველი სართული მთელ სიგრძეზე ცარიელია-ტერიტორია სახლის ქვეშ ცარიელია. მსურს რაღაც ნაწილის-30კვ.მ. პრივატიზება. გთხოვთ, მიმასწავლოთ ვის მივაკითხო ან რა საბუთებია საჭირო მისი პრივატიზებისთვის?

ბატონო ამირან,

სამოქალაქო კოდექსის შემდეგი მუხლების თანახმად;

მუხლი 208. ცნება

3. მიწის ნაკვეთი, შენობის ნაწილი და ის ნაგებობა-დანადგარები, რომლებიც არ წარმოადგენს ინდივიდუალურ საკუთრებას, ბინის მესაკუთრეთა საერთო საკუთრებაა. საერთო საკუთრებაში წილთა რაოდენობა განისაზღვრება ბინების რაოდენობის შესაბამისად.

მუხლი 214. ბინის საკუთრების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში

1. თითოეულ ბინის საკუთრებაზე ივსება ცალკე ფურცელი საჯარო რეესტრში.

2. საჯარო რეესტრში ბინის საკუთრების რეგისტრაციის მასალებს თან უნდა დაერთოს სამშენებლო უწყების მიერ დადასტურებული სამშენებლო მოწმობა, შენობის პროექტი, აგრეთვე შენობის იმ ნაწილების მდებარეობა და ზომები, რომლებიც საერთო საკუთრებაშია.

მუხლი 224. საერთო საკუთრების მართვა

1. საერთო საკუთრების მართვა ეკისრებათ ბინის მესაკუთრეებს ერთობლივად, თუ ამ კოდექსით ანდა ბინის მესაკუთრეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

ამრიგად, თუ თქვენი გარაჟი განლაგებულია მრავალბინიანი სახლის ტერიტორიაზე, მაშინ თქვენ ადგილი უნდა შეისყიდოთ ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობისაგან, რასაც დაჭირდება სანოტარო ფორმის დაცვა. აღნიშნული ადგილი ეკუთვნის თუ არა ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობას, ეს უნდა გაარკვიოთ საჯარო რეესტრის ამონაწერით, თუ ადგილი არ არის ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის საკუთრებაში, მაშინ უნდა მიმართოთ ქ.თბილისის მერიას, რომელიც ითვლება თბილისში არსებული მიწის ნაკვეთების მესაკუთრედ. თქვენ საკითხის გასარკვევად შეგიძლიათ დაწეროთ განცხადება და მოითხოვოთ ინფორმაცია თუ რა საბუთებია საჭირო აღნიშნული მიწის ნაკვეთის შესაძენად და საერთოდ დღესდღეობით ახდენს თუ არა მერია მათ გაცემას საკუთრებაში, მერია, როგორც ადმინისტრაციული ორგანო, ვალდებულია გაგცეთ პასუხი დასმულ კითხვებზე. რაც შეეხება ბინის ქვეშ მდებარე ტერიტორიას, თუ ის წარმოადგენს ამ ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის საერთო საკუთრებას, რაც შეიძლება ასევე საჯარო რეესტრის ამონაწერით დადგინდეს, უნდა შეისყიდოთ ბინის მესაკურეთა ამხანაგობისაგან, რასაც სჭირდება სანოტარო ფორმის დაცვა. თუ აღნიშნულ ფართზე არ არის განთავსებული იზოლირებული ოთახები ან სათავსოები, საჭირო იქნება მათი აშენება, რასაც თავისთავად დასჭირდება მერის ნებართვა, ამიტომ ამ საკითხის გასარკვევადაც უნდა მიმართოთ მერიას.

თენგიზ გურაბანიძე

ვცხოვრობ ქ.თბილისში საბურთალოზე, ჩემი სახლის ქვეშ გამაჩნია სათავსო (პადვალი), მსურს მისი პრივატიზება. გთხოვთ, განმიმარტოთ, ვის მივაკითხო, რომ ამიხსნას, თუ რა საბუთებია საჭირო (საბუთების დასახელებით) და რომელ უწყებას მივაკითხო. ჩემი გამგეობა უარს მეუბნება, არქიტექტურა მგზავნის გამგეობაში, რა ვქნა, ამიხსენით ან თქვენ მაინც მითხარით, თუ რა საბუთებია საჭირო?

ბატონო თენგიზ,

სამოქალაქო კოდექსის შემდეგი მუხლების თანახმად;

მუხლი 208. ცნება

3. მიწის ნაკვეთი, შენობის ნაწილი და ის ნაგებობა-დანადგარები, რომლებიც არ წარმოადგენს ინდივიდუალურ საკუთრებას, ბინის მესაკუთრეთა საერთო საკუთრებაა. საერთო საკუთრებაში წილთა რაოდენობა განისაზღვრება ბინების რაოდენობის შესაბამისად.

მუხლი 214. ბინის საკუთრების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში

1. თითოეულ ბინის საკუთრებაზე ივსება ცალკე ფურცელი საჯარო რეესტრში.

2. საჯარო რეესტრში ბინის საკუთრების რეგისტრაციის მასალებს თან უნდა დაერთოს სამშენებლო უწყების მიერ დადასტურებული სამშენებლო მოწმობა, შენობის პროექტი, აგრეთვე შენობის იმ ნაწილების მდებარეობა და ზომები, რომლებიც საერთო საკუთრებაშია.

მუხლი 224. საერთო საკუთრების მართვა

1. საერთო საკუთრების მართვა ეკისრებათ ბინის მესაკუთრეებს ერთობლივად, თუ ამ კოდექსით ანდა ბინის მესაკუთრეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

ბინის ქვეშ მდებარე სათავსო, თუ ის წარმოადგენს ამ ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის საერთო საკუთრებას, რაც შეიძლება საჯარო რეესტრის ამონაწერით დადგინდეს, უნდა შეისყიდოთ ბინის მესაკურეთა ამხანაგობისაგან, რასაც სჭირდება სანოტარო ფორმის დაცვა. თუ საჯარო რეესტრში არ არის დარეგისტრირებული აღნიშნული სათავსო, მაშინ უნდა მიმართოთ საჯარო რეესტრს, რათა გაარკვიოთ თუ როგორ შეიძლება აღნიშნული სათავსოს რეგისტრირება საჯარო რეესტრში.

ზურაბ ქვანიშვილი

ვცხოვრობ და ჩაწერილი ვარ ქ.თბილისში. ამბროლაურის რაიონის ერთ-ერთ სოფელში მაქვს საკარმიდამო ნაკვეთი სახლით. სხვა ნაკვეთი არ გამაჩნია. სურვილი მაქვს, რომ მქონდეს კიდევ ნაკვეთი. მეკუთვნის თუ არა აღნიშნული ნაკვეთი და მითხარით ვის მივმართო და რა რაოდენობის მეკუთვნის და შემდეგ სად ავიღო საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა. სულ მაქვს ნაკვეთი თავისი შენობა- ნაგებობით 600კვ.მ. არ მაქვს როგორც სასოფლო, ისე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მეკუთვნის თუ არა დამატებით და რამდენი?

ამირან გოქსაძე

ვცხოვრობ ქ.თბილისში, ჩაწერილიც აქ ვარ. გამაჩნია სოფელი 600კვ.მ. მიწის ნაკვეთი თავისი სახლით. სხვა ნაკვეთი არ მაქვს. მეკუთვნის თუ არა დამატებით სასოფლო-სამეურნეო ან არასასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთი? თუ მეკუთვნის რა რაოდენობის და ვის მივმართო, რაიონში თუ სოფელში მოქმედ ხელისუფლებას, გთხოვთ მომცეთ წერილობითი პასუხი, სოფელი მდებარეობს მაღალმთიან რაიონში.

ბატონო ზურაბ და ბატონო ამირან,

საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 22 მარტის დადგენილების-"სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" კანონის ამოქმედების თაობაზე-თანახმად:

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. (ამოღებულია)

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48, 1992 წლის 6 თებერვლის №128, 10 მარტის №290, 1992 წლის 22 სექტემბრის №949, 1993 წლის 16 იანვრის №39, 1993 წლის 24 თებერვლის №148, 1993 წლის 28 ივნისის №503, 1994 წლის 29 ნოემბრის №815, 1995 წლის 10 მარტის №129 დადგენილებების, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 30 დეკემბრის №249 განკარგულების, 1995 წლის 22 თებერვლის №45 ბრძანებულების, საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 11 თებერვლის №166 ბრძანებულების მოთხოვნების შესაბამისად საქართველოს მოქალაქეთა კომლებისათვის, ოჯახებისათვის გაცემული მიწის ნაკვეთები, აგრეთვე 1992 წლამდე მათ კანონიერ სარგებლობაში არსებული საბაღე, საბოსტნე, სააგარაკო, სამოსახლო, საკრმიდამო ნაკვეთები ცხადდება მათ კერძო საკუთრებად და მათ მიმართ შესაბამისად გამოიყენება კანონი "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ".

3. (ამოღებულია)

4. სოფლად მცხოვრებ მედიცინის, განათლების, კულტურის სფეროს მიკუთვნებული მუშაკების კომლები (ოჯახები) გაუთანაბრდნენ სოფლად მცხოვრებ და სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ კომლებს და შესაძლებლობის შემთხვევაში გამოეყოთ მიწის ნაკვეთი შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში პირველი კატეგორიისათვის განსაზღვრული ნორმის მიხედვით.

5. საკუთრების უფლება არ ვრცელდება იმ კომლთა მიწებზე, რომელთაც მიწის რაიმე ნაკვეთი მიღებული (მითვისებული) აქვთ ზემოაღნიშნული დადგენილების დარღვევით.

6. მეორე პუნქტით გათვალისწინებული ნორმატიული აქტების შესაბამისად მოქალაქეთა საკუთრებაში სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების გადაცემის შემდეგ დარჩენილ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე მიწათსარგებლობა და საკუთრებითი ურთიერთობები რეგულირდება შესაბამისი კანონით. დაევალოს საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტს აღნიშნული კანონპროექტი 1996 წლის 1 აგვისტომდე წაუდგინოს პარლამენტს განსახილველად.

7. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწათსარგებლობის რეჟიმი სასაზღვრო და სანაპირო ზოლში და სასაზღვრო ზონაში განისაზღვრება სპეციალური კანონით.

8. ისტორიის, არქეოლოგიის, ქალაქმშენებლობის და არქიტექტურის, მონუმენტური ხელოვნების ძეგლების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილ ზონებში, აგრეთვე ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისათვის გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწათსარგებლობის რეჟიმს არეგულირებს კანონი.

9. საქართველოს ტერიტორიის ნაწილის დროებით მაკონტროლებელი სეპარატისტული სტრუქტურების მიერ მიღებული მიწის სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებული აქტები ბათილია.

10. საქართველოს მთავრობამ 1996 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყოს ამ კანონის შესასრულებლად აუცილებელი ფინანსური, ორგანიზაციული და მეთოდოლოგიური ღონისძიებების გატარება.

11. (ამოღებულია)

12. აგრარულ საკითხთა კომიტეტმა 1996 წლის 1 ივნისამდე შეიმუშაოს და საქართველოს პარლამენტს განსახილველად წარუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის კანონში "გირავნობის შესახებ" ამ კანონის მიღებასთან დაკავშირებული ცვლილებები და დამატებები.

13. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემა შეიძლება განხორციელდეს როგორც ერთდროულად, ისე ეტაპობრივად, ცალკეული რეგიონების მიხედვით, მიწის მესაკუთრეთა აღრიცხვისა და რეგისტრაციის, კადასტრის სამსახურის მზადყოფნის შესაბამისად. ამასთან, მიწის მესაკუთრეობის დამადასტურებელი დოკუმენტის მისაღებად აუცილებელია მესაკუთრემ ხელი მოაწეროს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საქართველოს მოქალაქის დეკლარაციას, რომ აღიარებს მას.

14. ძალადაკარგულად ჩაითვალოს ყველა ის ნორმატიული აქტი ან ცალკეული ნორმა, რომელიც ეწინააღმდეგება ამ კანონის მოთხოვნებს.

თქვენ მითითებული საკითხის დამატებით გარკვევა შეგიძლიათ ადგილობრივი ორგანოსადმი მიმართვით(სოფელი ან თემი), რომელიც, როგორც ადმინისტრაციული ორგანო, ვალდებულია გაგცეთ პასუხი.

ვალერიან ღვინჯილია

ვარ რუსეთის პერსონალური პენსიონერი სპენსიო წიგნაკის N203607 1988 წლის 16 სექტემბრიდან. გთხოვთ, მაცნობოთ, სად და როგორ შემიძლია მივიღო ეს პენსია, ვცხოვრობ საქართველოში, ქ. თბილისში?

ბატონო ვალერიან,

თქვენ საკითხის გასარკვევად უნდა მიმართოთ სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს, რომელიც, როგორც ადმინისტრაციული ორგანო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ვალდებულია გაგცეთ პასუხი.

ფეხბურთი

ანჩელოტი "როსონერად" დარჩა

ბოლო მოეღო ხმებს მილანელთა მწვრთნელის კარლო ანჩელოტის მიერ "შავ-წითლების" შესაძლო დატოვების თაობაზე. ანჩელოტიმ იტალიურ კლუბთან თანამშრომლობა კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივა - "მილანთან" მისი სამწვრთნელო ვალდებულება 2008 წელს დასრულდება.

ანჩელოტი მილანში კიდევ ერთი წლით რჩება.

46 წლის ანჩელოტი, რომელიც "იუვენტუსიდან" 2001 წელს დაითხოვეს, მილანელებს ჩაუდგა სათავეში და 2003 წელს კლუბს ჩემპიონთა ლიგა და იტალიის თასი მოაგებინა. ერთი სეზონის შემდეგ ანჩელოტის ქვეშევრდომებმა უკვე სერია A-ში იზეიმეს წარმატება. სამწვრთნელო კარიერამდე ანჩელოტიმ ფეხბურთელის რანგშიც მიაღწია წარმატებებს, ამასთან, იმავე "მილანში", რომლის შემადგენლობაში 1989 და 1990 წლებში ევროპის ჩემპიონთა თასს დაეუფლა. თავის დროზე კი "რეჯინასა" და "პარმასაც`" ედგა სათავეში.

ერთი სიტყვით, იტალიელმა სპეციალისტმა გააქარწყლა მოსაზრებები, რომლის მიხედვით ანჩელოტი მადრიდის "რეალში" უნდა გადასულიყო.

ახლა, როცა იტალიელმა მწვრთნელმა "როსონერებთან" ურთიერთობა გაიხანგრძლივა, შეუძლია ოთხშაბათისთვის მშვიდად მოამზადოს "მილანი" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური გასვლითი მატჩისთვის "ლიონთან" ("სან სიროზე" განმეორებითი შეხვედრა 4 აპრილსაა დანიშნული).

"მიხარია, რომ "მილანთან" ხელშეკრულება 2008 წლამდე გაგრძელდა, - კმაყოფილია ანჩელოტი, - რა თქმა უნდა, "რეალის" წინადადება მომნუსხველად ჟღერდა, მაგრამ აქ დარჩენა ვამჯობინე".

სხვათა შორის, იტალიური კლუბის პრეზიდენტი ადრიანო გალიანიც ადასტურებს, რომ ესპანელები დაინტერესებული იყვნენ ანჩელოტის "სამეფო კლუბში" გადაყვანით.

ამასობაში მადრიდის "რეალის" პრეზიდენტის ფერნანდო მარტინის El Mundo-სთან ინტერვიუთი ვიტყობთ, რომ "სამეფო კლუბს" უკვე შერჩეული ჰყავს მწვრთნელი, რომელიც ახალი სეზონიდან "რეალს" ჩაუდგება სათავეში. თუმცა უცნობი რჩება მისი ვინაობა - ამას ჯერ არავის გავანდობო.

"შესაფერი კანდიდატურის ძებნაში მთელი მსოფლიო მოვიარე. ახლა უკვე ვიცი, ვინ და როგორი იქნება "რეალის" დამრიგებელი, - აცხადებს მარტინი, - ის იქნება ძლიერი და გავლენიანი მწვრთნელი, რომელიც საკუთარ ხელში აიღებს გუნდის დაკომპლექტებას".

აქვე შეგახსენებთ, რომ სხვა კანდიდატურებთან ერთად მადრიდელები აქტიურად განიხილავდნენ "იუვენტუსის" მწვრთნელის ფაბიო კაპელოს "სამეფო კლუბში" გადასვლას, მაგრამ მას შემდეგ, რაც "ბებერი ქალბატონის" მწვრთნელმა ესპანელებს მოთხოვნათა მსუყე ვარიანტი წარუდგინა, მათ შორის 20 მილიონ ევროდ შეფასებული სამწლიანი ხელშეკრულება, ამასთან, ისე, რომ "რეალს" საკუთარი ინიციატივით მისი დარღვევა ეკრძალებოდა და კიდევ ის, რომ "რეალში" გადასვლის შემთხვევაში "იუვეს" სპორტული დირექტორიც თან უნდა წაეყვანა, "სამეფო კლუბმა" კაპელოს უარი შეუთვალა.

"ეს იქნება ისლამისტ ტერორისტებთან ბრძოლა"

ნეოფაშისტები ისლამისტებს ემუქრებიან.

ჰაოლო ბერიჩი
გაზეთი "ლა რეპუბლიკა"

შეხვედრა მიმდინარეობს კაფეში, რომელიც ჰიტლერის სახლიდან რამდენიმე ნაბიჯზეა. ფაბრიციო (იგი ამ გამოგონილი სახელით წარუდგა ჟურნალისტს) მომცრო მაგიდას მისჯდომია. იგი ჟურნალისტს ხვდება ფრაზით: "აქ ყველაფერი ისტორიაა". დღეს ამ შენობაში, რომელშიც ოდესღაც საქალაქო ბიბლიოთეკა იყო, განთავსებულია ორგანიზაცია "lebenshilfe". ეს ორგანიზაცია ინვალიდებს ეხმარება. ტროტუარზე, ცენტრალური შესასვლელის წინ, ხალოკოსტის მსხვერპლთადმი მიძღვნილი მემორიალური დაფაა მოთავსებული. ეს ქვა მაუტჰაუზენიდან ჩამოიტანეს. ზედ ასეთი წარწერაა: "მშვიდობის, თავისუფლებისა და დემოკრატიის სახელით არა - ფაშიზმს მომავალში! მილიონობით დაღუპული გაფრთხილებთ ამის თაობაზე".

რომაელ ნეოფაშისტ ფაბრიციოსთვის ამ სიტყვების თარგმნა იგივეა, რომ მასში ალერგია და აგრესია ხელოვნურად გამოიწვიო. ამაზე მიუთითებს მთელი მისი გამომეტყველება და შესახედაობა: აწურული მხრები, მოკუმული პირი, მოწყენილი გამომეტყველება. "ეს ყველაფერი ტყუილია და კომუნისტებმა მოიგონეს, გესმის?" ფაბრიციოზე ბევრი არაფერია ცნობილი. იგი დაახლოებით 30 წლისაა, დაბადებული და გაზრდილია ტრადიციულ "შავ" კვარტალში. მისი თქმით, მუშაობს ერთ-ერთი სუპერმარკეტის საწყობში. ამბობს, რომ საფეხბურთო კლუბ "რომასა" და ნეოფაშისტური შეხედულებებისთვის ყველაფერზე წავა. მაგალითად, იმაზე, რომ ევროპის სხვა რამდენიმე ათეულ "თავგადაპარსულთან" ერთად ბრაუნდაუში ჩავიდეს და მოიფიქროს, როგორ გააჩინოს ხანძარი მსოფლიო ჩემპიონატზე.

- უკაცრავად, რატომ ჩამოხვედით ამ შეკრებაზე?

- იმიტომ, რომ მთელ მსოფლიოში ძალზე ბევრი ქაქაა. თანდათან უნდა დავიწყოთ დასუფთავება. თან, ეს მხოლოდ ლაპარაკით არ უნდა გაკეთდეს, როგორც ამას პოლიტიკოსები შვრებიან.

- თქვენ ეგრეთ წოდებულ საფეხბურთო გულშემატკივრების ნაცისტური ინტერნაციონალის კონგრესში მიიღეთ მონაწილეობა. რა მიზნით იყო ის ორგანიზებული?

- ეს პოლიტიკის ჩემეული გაგებაა - საქმე და არა სიტყვები, თუ, რა თქმა უნდა, იდეალების გჯერა. თუ არ გინდა, რომ კომუნისტებმა, ებრაელებმა, ზანგებმა და მუსლიმანებმა ფეხები მოგამტვრიონ, კისერი მოგიგრიხონ, საქმეს უნდა მიხედო. თუ ასეთი საგნები გაინტერესებს, ესე იგი, სწორად მოიქეცი, რომ ამ შეკრებაზე ჩამოხვედი.

- მივყვეთ თანმიმდევრობით: რა მოხდება მსოფლიო ჩემპიონატზე?

- ჩვენ მოკავშირეები ვართ. პირველად მოხდა, რომ საკითხის გარშემო ერთად ვმსჯელობდით და ერთადაც ვიმოქმედებთ. ჩვენ საერთო მტრები გვყავს.

- ვინ თქვენ?

- ევროპელები - იტალიელები, ესპანელები, ინგლისელები, ჰოლანდიელები. თუ ნაცისტი ხარ, ამით უნდა იამაყო კიდეც. ნაციზმი გერმანიაში გაჩნდა და სწორედ გერმანიაშივე უნდა დაიწყოს მისი აღორძინება.

- და თქვენ გინდათ, რომ ნაციზმი მაინცდამაინც მსოფლიო ჩემპიონატზე აღორძინოთ?

- მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში ყველაზე ხელსაყრელი მიზეზია. თუმცა, სხვა შესაძლებლობებიც არსებობს. აქ, გერმანიაში, ვინ არ ჩამოვა: თურქები, ალჟირელები, ტუნისელები... თურქებს, უბრალოდ, ვერ ვიტანთ. ჩვენთან ისინი ძალზე ბევრნი არიან. ბევრია ალბანელი და აფრიკელიც. ამ ჯურის ხალხით გერმანია სავსეა. ისინი ყველანი ისლამისტური ტერორისტები არიან. მათ სურთ, რომ ჩვენც მუჰამედი ვიწამოთ.

- როგორ აპირებთ ამ ხალხთან ბრძოლას?

- მათზე თავდასხმებს მოვაწყობთ. ისინი ყველანი მტრები არიან, რომლებიც ლიკვიდაციას უნდა დავუქვემდებაროთ. იგივე ხვედრი უნდა გაიზიაროს პოლიციამაც. ამბობენ, რომ პირველივეს, ვინც ფაშისტური მისალმების ნიშნად აწევს ხელს, ციხეში ჩასვამენ. ჰოდა, ერთი ვნახავ, ამას როგორ გააკეთებენ - ჩვენ ათეულათასობით ვიქნებით. მარტო ინგლისელი ფანიც საკმარისია ამათ შესაშინებლად.

- იტალიის ნაკრებს ჯერ არ ჰქონია ულტრარადიკალი გულშემატკივრების ტრადიცია. დამეთანხმეთ, ცნება "ტიფოზი" განსხვავდება "ნეონაცისტისგან"...

- დიახ, ეს ასეა, მაგრამ დრო იცვლება. ყოველდღიურად ნათელი ხდება, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლება. ძალზე მძიმე პერიოდში გვიწევს ცხოვრება - ევროპაში მომრავლდა მეჩეთები, სინაგოგები, იძულებული ვართ შემოვიღოთ უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები. როგორც აქ მცხოვრები ბატონი (ხელს იშვერს ჰიტლერის სახლისკენ) ამბობდა, ახლა ათასობით გულშემატკივარი გადამწყვეტი ბრძოლისთვისაა განწყობილი.

- თქვენ "რომას" ყველგან დაჰყვებით. რომელი დაჯგუფების წევრი ხართ?

- ამას არ გეტყვით. არ მინდა ჩემს დაჯგუფებას პრობლემები შეექმნას. გუშინ საღამოს შემდეგ გვითვალთვალებენ. სახლამდე მოგვყვებიან, სულ ყურადღების ცენტრში ვყავართ და რაღაც სისულელის გამო შეიძლება დაგვიჭირონ კიდეც.

- იციან თუ არა თქვენმა ლიდერებმა, რისთვის ჩამოხვედით ავსტრიაში?

- იციან. თუმცა, პირადად მე არავის გამოვუგზავნივარ. აქ იმიტომ ჩამოვედი, რომ ამის შინაგან მოთხოვნილებას ვგრძნობდი. თუ მამაკაცი ხარ, ასე უნდა მოიქცე.

- აქამდე როგორ მოაღწიე?

- მე და კიდევ ერთი მანქანით ჩამოვედით. ღამღამობით ვმოძრაობთ. ამაღამ რომში დავბრუნდებით და ხვალ დილით სამსახურშიც წავალ.

- "რომა", იტალიის ნაკრები, ფეხბურთი - თქვენთვის არაფერს ნიშნავს?

- "რომა" - კი. თუ ეს გუნდი იგებს, ბედნიერი ვხდები. რაც შეეხება ნაკრებს, "აძურა" დიდად არ მაღელვებს. თუმცა, როგორც ნეოფაშისტი, ნაკრებს გერმანიაში აუცილებლად წავყვები. იქ რასაც ვაპირებ, უკვე გითხარით.

ყველაზე საზიზღარი ინგლისში

"ჩელსი" ინგლისელ გულშემატკივრებს არ უყვართ.

"მანჩესტერ იუნაიტედის" მცველმა ჯონ ო`შიმ განაცხადა, რომ ლონდონის "ჩელსიმ" "წითელი ეშმაკუნების" ადგილი დაიკავა და ინგლისში ყველაზე საძულველი გუნდი გახდა. ირლანდიელი მცველის თქმით, ასეთი დამოკიდებულება ყველაზე ნათლად მიანიშნებს იმ ფაქტზე, თუ რაოდენ დიდ წარმატებებს მიაღწიეს "არისტოკრატებმა", - ნათქვამია ლონდონის "ჩელსის" ოფიციალურ საიტზე.

"სიმართლე რომ ითქვას, "ჩელსიმ" ჩვენი ადგილი დაიკავა და ინგლისის ყველაზე საძულველი გუნდის სახელი დაიმკვიდრა, - განაცხადა ო`შიმ, - როცა რამდენიმე კვირის წინათ მას ჩავარდნა დაეწყო, ყველას ძალიან გაუხარდა ეს ამბავი. ზუსტად ასეთი რამ ხდებოდა ჩვენს თავს დიდი ხნის განმავლობაში და ჩვენ გვსურს ამას დავუბრუნდეთ".

"ეჭვი არ არის, "ჩელსი" ფანტასტიკურად სტაბილურად თამაშობს. მოურინიოს გუნდი თავიდან ბოლომდე იხარჯება და ამისთვის მას პატივი უნდა მივაგოთ. ამასთან, მათ უმაღლესი კლასის რამდენიმე ფეხბურთელი ჰყავთ. ეს ნიშნავს, რომ "ჩელსი" გუნდია, რომლის დამარცხებაც უაღრესად რთული საქმეა", - ამბობს ირლანდიელი.

"ჩვენ ვვარაუდობთ, რომ მომავალ წელს მათთან უფრო ახლოს ვიქნებით. ვფიქრობ, ბევრ გუნდს ეშინია "ჩელსის", თითქოს ისინი მინდორზე გასვლამდე უკვე დამარცხდნენ. ეს კი "ლურჯებს" საქმეს უადვილებს. ასევე იყო თავის დროზე ჩვენს მიმართაც და წელიწადნახევრის წინ "არსენალთან" დაკავშირებითაც".

"გულშემატკივარი "ჩელსის" სათამაშო სტილს აკრიტიკებს და მე მესმის, რატომაც ხდება ასე. ფეხბურთი სანახაობრივი ბიზნესია და ამიტომ შეიძლება მათ ურჩევნიათ "არსენალის" ან "მანჩესტერ იუნაიტედის" თამაშს უყურონ. მე ვიცი, რომ გულშემატკივართა ნაწილი მოითხოვს გუნდმა ნებისმიერი ხერხით მიაღწიოს შედეგს, მაგრამ, ვთქვათ, "მანჩესტერ იუნაიტედს" "ჩელსის" სტილში თამაში რომ დაეწყო, ზოგიერთი გულშემატკივარი ამის გამო აღშფოთდებოდა. მათ გაუჩნდებოდათ კითხვები: რა დაემართა შეტევას, რომელიც მუდმივად იყო "მანჩესტერ იუნაიტედის" თამაშის სტილი. თუმცა, ამის მიუხედავად, ახლა პირველ ადგილზე სწორედ "ჩელსია" და მას ამისთვის პატივი უნდა ვცეთ მას", - დაასკვნა ჯონ ო`შიმ.

კრივი

ტაისონთან გატარებული წუთები

არაპოპულარული ვარო, ვერასდროს დაიჩივლებდა მაიკ ტაისონი, მაგრამ ირკვევა, რომ თურმე ბრიტანეთშიც დიდი პოპულარობით სარგებლობს, იმათ შორისაც კი, რომლებიც თავადაც არ უჩივიან საზოგადოების მხრიდან უყურადღებობას. "მანჩესტერ იუნაიტედის" ვარსკვლავი უეინ რუნი, რომელიც თავადაც სხვათა კერპია, 39 წლის მოკრივის დიდი თაყვანისმცემელი ყოფილა. როდესაც მსოფლიოს ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონი ბრიტანეთში იმყოფებოდა, "მანიუს" თავდამსხმელისთვის რესტორანში ორი საათი დაუთმია.

ცოცხალ ლეგენდასთან გასაუბრების საშუალება ჰქონია როკ-ჯგუფ Babyshambles-ის ლიდერს პიტ დოჰერტისაც.

როკ-ჯგუფის 26 წლის ლიდერმა, რომელიც იმითაცაა ცნობილი, რომ ნარკოტიკებს ეძალება, შემთხვევით შეიტყო ტაისონის ბრიტანეთში ყოფნის ამბავი. მისთვის დიდი სიურპრიზი იყო იმის გაგება, რომ იმავე სასტუმროში იმყოფებოდა, რომელშიც "რკინის მაიკი". გაიგო თუ არა, ტაისონთან ერთად ვარ სასტუმროშიო, უმალ გიტარა მოიმარჯვა და დერეფანში დაუდარაჯდა იმ იმედით, რომ მაიკი გამოჩნდებოდა. მოლოდინი გამართლდა. რამდენიმე საათის შემდეგ ტაისონი გამოჩნდა. მომღერალმა არც აცია, არც აცხელა, მოკრივესთან მიიჭრა და... "შეიძლება რამდენიმე სიმღერა შეგისრულოთ? უარი არ მითხრათ. ეს ჩემი ბავშვობის ოცნებაა", - უმალ ვითარებაში გაარკვია მუსიკოსმა საკუთარი კერპი.

ტაისონი ცოტა დაიბნა, მაგრამ უარი არ უთხრა - იმღერე, რამდენიც გინდაო. დოჰერტიმაც ჩამოჰკრა გიტარის სიმებს... მაიკი იმდენად მოიხიბლა როკ-მომღერლის შემოქმედებით, რომ ტაშით დააჯილდოვა. ამბობენ, მსოფლიოს ჩემპიონი ისეთი მონდომებით უკრავდა ტაშს, რომ მთელ სასტუმროში ისმოდაო.

Babyshambles-ის ბედნიერმა ლიდერმა კი განაცხადა, ტაისონის საზოგადოებაში გატარებული წუთები ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ბედნიერი მომენტი იყოო.

იგივე უთქვამს უეინ რუნისაც.

ფორმულა 1

"სამეფო რბოლები" შესაძლოა, "დიდი პრიზებით" შეიკვეცოს

ფორმულა 1-ის ბრიტანელი იმპრესარიოს ბერნი ეკლსტოუნის თქმით, გამორიცხული არაა, "სამეფო რბოლათა" კალენდრიდან სამი ევროპული "დიდი პრიზი" ამოვარდეს. ბრიტანელის თქმით, ამ მხრივ საფრთხე ელის გერმანიის, საფრანგეთისა და იტალიის "დიდ პრიზებს", რომლებიც დღესდღეობით ორ-ორ ეტაპს მასპინძლობენ. ანუ გეგმის განხორციელების შემთხვევაში სამივე ქვეყანა თითო ეტაპს უმასპინძლებს. აშკარაა, ეკლსტოუნს გეოგრაფიული რუკის გაფართოება სურს.

L'Equipe-თან საუბარში ეკლსტოუნი აღნიშნავს, რომ ბოლო ხანებში "სამეფო რბოლათა" მასპინძლობის სურვილს უფრო მეტი ქვეყნები გამოთქვამენ. მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდარი კი, რომელიც მოიცავს 18 ეტაპს, გადატვირთულია. ერთადერთი საშუალება, რომლის მიხედვითაც შეიძლება გეოგრაფიული არეალის გაფართოება, ამჟამად არსებული რიგი ეტაპების კალენდრიდან ამოგდებაა.

"მოდით, დავითვალოთ: დღესდღეობით იტალიის ორი, ორიც გერმანიის და ორიც საფრანგეთის "დიდი პრიზი" გვაქვს, რა თქმა უნდა, იმის გათვალისწინებით, რომ მონაკო საფრანგეთია... მიმაჩნია, რომ სამ ეტაპს უპრობლემოდ შეველევით", - აღნიშნავს ეკლსტოუნი და იქვე დასძენს, რომ ისეთი ტრასები როგორიცაა მონცასა და მონაკოში, შესაძლოა, ესენიც კი გამოეთხოვონ საკუთარ ადგილს მსოფლიო ჩემპიონატის კალენდრიდან, მიუხედავად იმისა, რომ მდიდარი ტრადიციებით გამორჩევიან.

გარდა ამისა, ფორმულა 1-ის ბოსმა შემდეგი სახის წინადადებაც წამოაყენა, რომლის მიხედვითაც ეტაპები ერთმანეთის მონაცვლეობით უნდა გაიმართოს. ასე, მაგალითად, 2007 წლის მსოფლიო ჩემპიონატის კალენდარს ბელგიის "სპა-ფრანკოშამპის" ტრასა დაუბრუნდება, ხოლო "სან მარინოს დიდი პრიზი" და შესაბამისად "იმოლას" ტრასა ჩემპიონატს გამოტოვებს. მომდევნო სეზონზე კი "იმოლა" კვლავაც ჩაჯდება კალენდარში და უმასპინძლებს მსოფლიოს ჩემპიონატს. აი, "ნიურბურგრინგის" ავტოდრომი კი "დიდი პრიზების" ნუსხიდან ამოვარდება. ამასთან ეკლსტოუნი იმასაც აღიარებს და ეჭვობს, ეტაპების მასპინძლები ასეთ რიგითობას თუ მონაცვლეობას, ალბათ, არ დაეთანხმებიანო.

განცხადება ერთეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ თსსუ გ. ჟვანიას სახ. პედიატრიული კლინიკა, ქ. თბილისი ლუბლიანას №21 საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ერთეტაპიან ტენდერს კლინიკის საჭიროებისათვის მედიკამენტების, შესახვევი მასალისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების შესყიდვაზე დად იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი:

I ლოტი	მედიკამენტები
II ლოტი	სპეცკონტროლს დაქვემდებარებული სამკ. საშუალებები
III ლოტი	გადასასხმელი ხსნარები
IV ლოტი	შესახვევი მასალა
V ლოტი	ერთჯერადი სახ. მასალა
VI ლოტი	ავადმყოფის მოვლის საგნები
VII ლოტი	ანტისეპტიკური საშუალებები
VIII ლოტი	სადეზინფექციო-სასტერილიზაციო საშუალებები
IX ლოტი	საკერავი მასალა
X ლოტი	რენტგენო-დიაგნოსტიკური საშუალებები
XI ლოტი	სისხლის კომპონენტები
XII ლოტი	სამედიცინო ჟანგბადი
XIII ლოტი	ლაბორატორიული მასალები

3. საქონლის მიწოდების პირობები - საქონლის მიწოდება განხორციელდება ყოველთვიურად შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე 2006 წლის აპრილიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

4. მიწოდების ადგილი: სსიპ თსსუ გ. ჟვანიას სახ. პედიატრიული კლინიკა, ქ. თბილისი ლუბლიანას №21.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (დალუქულ პაკეტში), ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 14 აპრილის 15 საათამდე, სსიპ თსსუ გ. ჟვანიას სახ. პედიატრიული კლინიკა, ქ. თბილისი ლუბლიანას №21 ოთახი №3. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 14 აპრილის 15 საათზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრონ სატენდერო წინადადებების გახსნას).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

დ) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ე) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

6.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ინფორმაცია საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი ანგარიშსწორების შესახებ;

გ) ლიცენზია სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობების რეალიზაციაზე;

დ) ლიცენზია მედიკამენტებისა და სამკურნალწამლო საშუალებების საბითუმო რეალიზაციაზე (დაურთეთ საჭიროების შემთხვევაში);

ე) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ).

7. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე მონაწილე პირის სუბკონტრაქტორებისათვის.

8. საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით.

9. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

10. დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს.

11. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშზე: მიმღები - ს/ს თბილბიზნესბანკი, კოდი № 220101761, ანგარიშის № 36020172 (სატენდერო მოსაკრებელი) 2006 წლის 12 აპრილამდე შემდეგ მისამართზე: სსიპ თსსუ გ. ჟვანიას სახ. პედიატრიული კლინიკა, ქ. თბილისი ლუბლიანას №21, ოთახი №3.

12. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა, რომლებსაც მიენიჭებათ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ცალკეული ლოტების შესრულების უფლება.

13. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია სატენდერო წინადადების 1%-ის ოდენობით.

14. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.

15. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

16. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: თამარ ღაღაშვილი, ტელ: 51-71-42, 51-71-33 მისამართზე: სსიპ თსსუ გ. ჟვანიას სახ. პედიატრიული კლინიკა, ქ. თბილისი ლუბლიანას №21.

განცხადება ერთეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "საქართველოს რკინიგზის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო" ჩაჩავას 1 საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ერთეტაპიან ტენდერს კლინიკის საჭიროებისათვის მედიკამენტების, შესახვევი მასალისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი:

ლოტი 1. მედიკამენტი

სორბიფერ დურულესი №50 ტაბ	კოლ	2
სტროფანკინ – K 0,025% 1 მლ №10 ამპ	კოლ	80
სტუგერონი 25 მგ 2 მლ №50 ტაბ	კოლ	35
სულფოკამფოკაინი 10% 2 მლ №10	კოლ	80,00
სუპრასტინი 25 მგ №20 ტაბ	კოლ	15,00
სუპრასტინი 20 მგ 1 მლ №5 ამპ	კოლ	50,00
რექსამენი 20 მგ 2 მლ 1 ფლ	კოლ	10,00
ტრენტალი 2% 5 მლ №5 ამპ	კოლ	10,00
ტრენტალი 100 მგ №60 კაპს	კოლ	5,00
ფესტალი №10 დრაჟე	ფირფ	50,00
ფერუმლეკი კუნთის 2 მლ №5	კოლ	2,00
ფინოპტინი 80 მგ №100 ტაბ	კოლ	2,00
ფურაცილინის ხსნარი 0,02% 100 მლ	ფლ	10,00
ფუროსემიდი 40 მგ №50 ტაბ	კოლ	10
ცერებროლიზინი 1 მლ № 10 ამპ	კოლ	2
ცერუკალი 10 მგ 2 მლ №10 ამპ	კოლ	10
ცერუკალი 10 მგ №50 ტაბ	კოლ	3
ცინარიზინი 25 მგ №50 ტაბ	კოლ	5
ჰიდროკორტიზონი 0,1% 10 გრ მალ	ტუბ	25
ჰაესტერელი 10! 500 მლ	ფლ	10
ჰემოდეზი 200 მლ	ფლ	10
ჰეპამერცი 10 მლ ამპ	ამპ	10
ჰეპარინი 25000 ერთ. 5 მლ №1 ფლ	ფლ	80
ჰიდროპერიტი 1,5 გრ №6 ტაბ	ფირფ	1000

ლოტი 2. ნარკოტიკები და სპეცკონტროლს დაქვემდებარებული მედიკამენტები

მორფინი ჰ/ქლ 1% 1,0 ამპ	ც	2000
ფენტანილი 0,005% 2 მლ	ც	2000
პრომედოლი 2% 1 მლ	ც	300
ნარკოტანი 250 მლ ფლკ	ფლკ	80
დორმიკუმი 15 მგ №5 ამპ	კოლ	10
თიოპენტალ ნატრი 0,5 ფლ	ც	1600
თიოპენტალ ნატრი 1,0 ფლ	ც	200
რელანიუმი 2 მლ ამპ	ც	200
დიაზეპექსი 10 მგ 2 მლ №10 ამპ	კოლ	270
კეტამინის ჰ/ქლ 5% 2 მლ №10 ამპ	ც	180
დროპერიდოლი 25 მგ 10 მლ	ფლკ	150

ლოტი 3. შესახვევი მასალები და ერთჯერადი მოხმარების საგნები

ბამბა 50,0	ც	900
ბინტი არასტერილური 7X14	ც	1600
ბინტი სტერილური 7X14	ც	500
ბინტი თაბაშირის 10X27	ც	48
ბინტი თაბაშირის 20X2,7	ც	96
დოლბანდი 1 მ	ც	20000
ლეიკოპლასტირი 2,5X5	ც	1500
მუშამბა 1 მ	ც	50
დანის პირი 1 ცალი	ც	600
ენდოტრაქეალური მილი 7,5	ც	120
ვენის კათეტერი	ც	800
ერთჯერადი სისტემა ფილტრით	ც	1200
ერთჯერადი სისტემა უფილტრო	ც	1200
სტერილური ხელთათმანი წყ.	ც	1500,00
ფოლეის კათეტერი	ც	300,00
შარდის მიმღები	ც	120,00
შპრიცი 1 მლ	ც	600,00
შპრიცი 2 მლ	ც	900,00
შპრიცი 5 მლ	ც	360,00
შპრიცი 10 მლ	ც	900,00
შპრიცი 20 მლ	ც	800,00
ჰემოსტატური ღრუბელი	ც	40,00
თერმომეტრი	ც	100
სფიგმომანომეტრი	ც	30
ბარიუმის სულფატი 100	ც	500
რენტგენის ფირი 18X24 100 ც	კოლ	3
რენტგენის ფირი 24X30 100 ც	კოლ	3
სკარიფიკატორი	ც	4000
ეპიდულარული კათეტერი	ც	100
რენტგენის გამომსახველი პაკეტი	ც	3
რენტგენის ფიქსატორი	ც	3

ლოტი 4. ანტიბიოტიკები

ამპიცილინის ჯგუფი	ც	600
ცეფაზოლინი 1,0	ც	300
ცეფტრიაქსონ 1,0	ც	600
ცეფტრიაქსონი მესამე თაობის 2,0	ც	100
ამოსქაცილინი 250 მგ №20 კაპ	ც	300
ციპროფლოქსაცინი 500 მგ №14 ტაბ	ც	300

ლოტი 5. საკერავი მასალა

კეტგუტი 2,0; 1,0; 0;	ც	600
ატრვმული ძაფი (სხვ. ზომის)	ც	300
კაპრონის ძაფი (ბაბინა)	ც	216
ვიკრილი 2/0; 4/0;	ც	200
პოლიპროპილენის ძაფი	ც	200

3. საქონლის მიწოდების პირობები - საქონლის მიწოდება განხორციელდება ყოველთვიურად შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე 2006 წლის აპრილიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

4. მიწოდების ადგილი: შპს "საქართველოს რკინიგზის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო" ჩაჩავას 1.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (დალუქულ პაკეტში) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: შპს "საქართველოს რკინიგზის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო" ჩაჩავას 1. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 11 აპრილამდე 17 საათზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრონ სატენდერო წინადადებების გახსნას).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა დად ინფორმაციას:

6.1. იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

დ) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ე) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

6.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ინფორმაცია საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი ანგარიშსწორების შესახებ;

გ) ლიცენზია სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობების რეალიზაციაზე;

დ) ლიცენზია მედიკამენტებისა და სამკურნალწამლო საშუალებების საბითუმო რეალიზაციაზე (დაურთეთ საჭიროების შემთხვევაში);

ე) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ).

7. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე მონაწილე პირის სუბკონტრაქტორებისათვის.

8. საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით.

9. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

10. დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს.

11. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშზე: მიმღები გ.ქ.ბ. №3 დიდუბის ფილიალი ბ/კ 220101665 ა/ა 2763407 ს/კოდი 202050840 (სატენდერო მოსაკრებელი) 2006 წლის 10 აპრილამდე შემდეგ მისამართზე: შპს "საქართველოს რკინიგზის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო" ჩაჩავას 1.

12. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა, რომლებსაც მიენიჭებათ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ცალკეული ლოტების შესრულების უფლება.

13. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია 1%-ის ოდენობით.

14. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.

15. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

16. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ხათუნა ორაგველიძე, ტელ: 529099, მისამართზე: შპს "საქართველოს რკინიგზის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო" ჩაჩავას 1.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი
აცხდებს კოკურსს ვაკანსიაზე

პროექტი ილია ჭავჭავაძე

მრჩეველი პოლიტიკისა და სტრატეგიის საკითხებში
(ადგილობრივი ინდივიდუალური კონსულტანტი)

შესავალი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო) დაწყებითი და საშუალო განათლების რეფორმირების მიზნით მსოფლიო ბანკის კრედიტის ფარგლებში ახორციელებს პროექტს "ილია ჭავჭავაძე" (შემდგომში - პროექტი), რომელიც ფინანსდება მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტიდან.

პროექტის განხორციელებაში სამინისტროს დახმარებას უწევს საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი (შემდგომში - პროექტის საკოორდინაციო ცენტრი), რომელიც უზრუნველყოფს მთელი პროექტის კოორდინაციას.

პოლიტიკისა და სტრატეგიის დეპარტამენტის წარმატებას განსაზღვრავს მიმდინარე საქმიანობის გაუმჯობესება, არსებული საკომუნიკაციო საშუალებების გაძლიერება და ახალი არხების შექმნა და განვითარება, საქმიანობის სინქრონიზაცია და ინტეგრაცია როგორც სამინისტროს დეპარტამენტებს შორის, ასევე რეგიონალურ და რაიონულ დონეზე. დეპარტამენტის საქმიანობის ეფექტური განხორციელება მოითხოვს აქტიურ თანამშრომლობას განათლების სფეროს ხელმძღვანელებს, ადმინისტრატორებსა და რიგით თანამშრომლებს, რაიონულ და რეგიონალურ სამსახურებსა და უმაღლეს სასწავლებლებს შორის. მთავარ ამოცანას წარმოადგენს ორგანიზაციული და ინსტიტუციური სტრუქტურების შექმნა და იმ პროცესების ხელშეწყობა, რომელთა საშუალებითაც დაინერგება მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა.

კონსულტანტის ძირითადი მოვალეობები და პასუხისმგებლობები

კონსულტანტი დაეხმარება პოლიტიკისა და სტრატეგიის დეპარტამენტს უმაღლესი და პროფესიული განათლების პოლიტიკის საკითხებში, კერძოდ:
- არსებული სიტუაციის შეფასება
- პრიორიტეტების განსაზღვრა
- განსაზღვრული პრიორიტეტების მიხედვით სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მომზადება
- უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის დებულებების განხორციელება
- უმაღლესი პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის დებულებების განხორციელება

კონსულტანტს მოეთხოვება:
- სამინისტროსა და სხვა აღმასრულებელ და წარმომადგენლობით სამთავრობო სტრუქტურებთან შეხვედრებისა და განხილვების გამართვა
- სამინისტროსთვის და სხვა აღმასრულებელ და წარმომადგენლობით სამთავრობო სტრუქტურებისთვის, ისევე როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვა ინსტიტუტებისთვის სამუშაო შეხვედრების, სემინარების და პრეზენტაციების მოწყობა
- სამინისტროსა და შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებთან და დეპარტამენტებთან თანამშრომლობა.

ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები
- დოქტორის ხარისხი ჰუმანიტარულ ან სოციალურ მეცნიერებებში
- უმაღლეს აკადემიურ ან პროფესიულ განათლების სფეროში მუშაობის გამოცდილება
- საქართველოს განათლების სისტემის, მიმდინარე რეფორმების და პოლიტიკის საფუძვლიანი ცოდნა
- სამუშაო შეხვედრებისა და სემინარების ორგანიზების გამოცდილება
- სტანდარტული კომპიუტერული პროგრამების ცოდნა
- გუნდური მუშაობის გამოცდილება
- ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის კარგი უნარ-ჩვევები

ანგარიშვალდებულება:

კონსულტანტი ანგარიშებს წარუდგენს პროექტის საკოორდინაციო ცენტრის დირექტორს და პოლიტიკისა და სტრატეგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს.

დასაქმების ხანგძლივობა:

აღნიშნული თანამდებობა სრულ განაკვეთიანია და მოიცავს ერთ წელიწადს.

თქვენთვის საინტერესო ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ წარმოადგინოთ განაცხადები შემდეგ მისამართზე:

საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი
0102 თბილისი, უზნაძის ქ. N52, ოთახი N102.
ტელეფონები: 95-98-37; 95-83-13 F
ელ-ფოსტა: GEP@mes.gov.ge
საკონტაქტო პირი: ქ-ნი **სოფო გორგოძე**

წარმოსადგენი განაცხადების ფორმის ელექტრონული ვერსია განთავსებულია პროექტ "ილია ჭავჭავაძის" ინტერნეტ გვერდზე:
www.reform.edu.ge
ვაკანსიები და განცხადებები
განაცხადის ფორმა

განაცხადების წარმოდგენის საბოლოო ვადაა 2006 წლის 3 აპრილი.

ჰაოლო კოელიოს სვეტი



ფასეულობათა ცვლა

ლაუ ცუ ამბობს, რომ ყურადღება არ უნდა მივაქციოთ დღეებისა და საათების მსვლელობას და უფრო მეტად უნდა მოვახდინოთ კონცენტრირება წუთებზე. თუ ასე მოვიქცევით, შევძლებთ, თავიდან ავიცილოთ იმ პრობლემების უმრავლესობა, რაც გზად გველის.

რა თქმა უნდა, არ მოგიწოდებთ, გამუდმებული დაძაბულობის ქვეშ იყავით-მეთქი. მცირედი წვრილმანების შემჩნევა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ფიქრის დროსაც უნდა დაწვრილმანდეთ. რადგან ყოველთვის ასეა: როცა გაზვიადებული წუხილით ხართ სავსე, ბედნიერებას და ენთუზიაზმს წერტილი ესმება.

ლაო ცუ გულისხმობს იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პატარა დეტალს მთელის ძირფესვიანად გასააზრებლად. როცა ამ მოძღვრებას მივსდევთ, ვხვდებით, რომ სწორედ ასე ცხოვრებისას ვცხოვრობთ იმ ხაზით, რომელზეც გვიამბობდნენ; იმ ხაზით, რომლის გავლაც ჩვენგან მოითხოვეს და არა რომელიც ჩვენ ავირჩიეთ. აი, რამდენიმე მაგალითი იმის გასააზრებლად, თუ როგორ შეიძლება გარკვეული შეხედულებების სხვანაირად გააზრება:

გათავისუფლდი ბოლომდე

წმ. ანტონი უდაბნოში ცხოვრობდა, როცა ერთი ახალგაზრდა კაცი მიუახლოვდა:

"მამაო, გავყიდე ყველაფერი, რაც მებადა და ღარიბებს დავურიგე. მხოლოდ რამდენიმე ნივთი დავიტოვე, თავი რომ გამეტანა. ახლა მოვედი შენთან და ვითხოვ, მასწავლე გზა ხსნისა".

წმ. ანტონმა ახალგაზრდას უთხრა, გაეყიდა ის რამდენიმე ნივთიც, რომელიც დიდძალი ქონებიდან დარჩა, აღებული ფულით ბაზარში ხორცი ეყიდა, ტანზე შემოეკრა და ისე დაბრუნებულიყო უკან.

ბიჭი დამორჩილდა წმინდა მამას და უკან რომ ბრუნდებოდა, ძაღლების ხროვა და რამდენიმე ქორი დააცხრა თავს. ყველა მათგანს უნდოდა ცოტაოდენი ხორცის მოწიწკნა.

როცა წმ. ანტონამდე მიაღწია, უთხრა მას: "აი, მოვედი", - და დაგლეჯილი და დასისხლიანებული სხეული აჩვენა. წმ. ანტონმა კი მიუგო: "ის, ვისაც ახალი ნაბიჯის გადადგმა სურს, მაგრამ ძველ ცხოვრებასთან გამოთხოვებაც უჭირს, ეს ბედი ელის: საკუთარი წარსული დაგლეჯს".

შეხედე მეორე მხარეს

ერთხელ ფან ჩი კონფუცთან ერთად სეირნობდა. ქვევით ახალგაზრდა მოცეკვავეები ახალი ბალეტის ქორეოგრაფიის დეტალებს ხვეწდნენ.

"ნახე, როგორი ჰარმონიულია მათი მოძრაობები", - აღნიშნა მაესტრომ, - "ისინი ქებას ასხამენ სიბრძნეს, ხსნიან ბოროტების საიდუმლოს და თვალებში უყურებენ განსაცდელს".

"რა გითხრათ, მე ცეკვა უფრო ზედაპირული, არაფრისმომცემი აქტი მგონია. აბა, წარმოიდგინეთ, უკეთესი არ იქნებოდა, მოცეკვავეებს ცეკვის ნაცვლად მედიტაციაზე დაეხარჯათ დრო?" - უპასუხა ფან ჩიმ. კონფუცმა კი მიუგო:

"შესანიშნავად დასვით საკითხი! თუ თავს მოვიტყუებთ, რომ სიბრძნისკენ მიმავალი ერთადერთი გზა არსებობს, მალე გამოვიფიტებით და წინსვლისთვის საჭირო ენთუზიაზმსაც დავკარგავთ. შესაბამისად, მედიტაციით, ცეკვით, მებაღეობით, ღვინის დაყენებით - საქმის კეთება სრულყოფის მისაღწევად ყველაფრით შეიძლება. და ამ შინაგანი ზრდის გზაზე თანდათან აღმოვაჩენთ საკუთარ თავში არსებულ ცუდს და გავხსნით ბოროტის საიდუმლოსაც. და როცა, ბოლოს და ბოლოს, პრობლემის წინაშე აღმოვჩნდებით, მის არსებობას მანამ გავიგებთ, სანამ ის ზიანს მოგვაყენებს, მანამ განვაიარაღებთ, სანამ თავს დაგვატყდება. შესაბამისად, ყოველთვის შევძლებთ სასოწარკვეთილების თავიდან აცილებას".

დაძაბულობის სიღრმეში

რობერტ ? Robert Fulghum ("ყველაფერი, რისი ცოდნაც მჭირდებოდა, საბავშვო ბაღში ვისწავლე") ამბობს:

"პასტორად ჩემს მოღვაწეობას სიკვდილი და მიცვალებულები განსაზღვრავს: საავადმყოფოს პალატა, სასაფლაო, წესის აგება. სწორედ ამგვარი დეტალებისგან შედგება ჩემი ცხოვრება და ჩემს ფიქრებსაც განსხვავებულ კალაპოტს სძენს. მე უკვე აღარ ვუკვირდები იმას, ბალახი მწვანეა და დიდი თუ არა; აღარ ვწმენდ ფეხსაცმელს მანამ, სანამ სარკესავით არ გავაპრიალებ. აღარ ვაპიპინებ, როცა შუქნიშანზე ფერი იცვლება, ჩემს წინ კი მანქანა ადგილიდან არ იძვრის. აღარც მაშინ განვიცდი რამეს, როცა ობობებს ვსრეს - ტაძრის კედლებზე ქსელს რომ ქსოვენ. უფრო პირიქით, როცა თავისუფალი დრო მაქვს, მივდივარ ტავერნაში და ვუსმენ ცოცხალ მუსიკას. მერე ინდიელი ითხოვს ხოლმე სიჩუმეს, გვაშტერდება და გვიყვირის: რაღას უცდით? ადექით, ვიცეკვოთ!"

მეც ვდგები, ვცეკვავ და ვერთობი, ისე რომ სინანულის ნატამალსაც არ ვგრძნობ".

"ლუფთჰანსა" ნოვატორია

"ლუფთჰანსამ", როგორც გერმანული ავიაციის ლიდერმა, მორიგი ჯილდო მოიპოვა. მეტად პრესტიჟული პრიზი Best Practice Award კომპანიამ ფრანკფურტის აეროპორტში პირველი კლასის ტერმინალის საუკეთესოდ აღჭურვისთვის მიიღო.

ჯილდოს ყოველწლიურად სამოგზაურო ინდუსტრიის კლუბი გასცემს ხოლმე. სპეციალური ჟიური აღმასრულებელი დირექტორებისგან, ეკონომიკის სფეროს ჟურნალისტებისგან, კონსულტანტებისგან და აკადემიკოსებისგან კომპლექტდება. სწორედ ამ კომპეტენტურმა ადამიანებმა წელს "ლუფთჰანსა" 19 სხვა პრეტენდენტს შორის აირჩიეს.

ჟიურის თავმჯდომარის სტეფან ვაიდერმანის თქმით: "თავისი პირველი კლასის ტერმინალის კონცეფციითა და იმპლემენტაციით "ლუფთჰანსამ" რაღაც სრულიად განსხვავებული და ნოვატორული წარმოგვიდგინა".

მსგავს ქებას სამოგზაურო ინდუსტრიის კლუბისგან აეროპორტებისა და ავიახაზების გარდა, სამოგზაურო სააგენტოები, სასტუმროების ქსელები, კონსულტანტები და ინტერნეტკომპანიებიც ელოდნენ. თუმცა, საუკეთესოთა შორის საუკეთესო "ლუფთჰანსა" გამოდგა.

ნახევარფინალში კი "ლინდნერის" სასტუმროების და დასასვენებელი კომპლექსების ქსელი, "მერიოთ ინთერნეშნლი" და გერმანიის მოგზაურობის სამენეჯმენტო ასოციაცია გავიდა.

რაც შეეხება თავად სამოგზაურო ინდუსტრიის კლუბს, ის დამოუკიდებელი ორგანოა, რომელიც სამოგზაურო ბიზნესში მოღვაწე მაღალჩინიანი პირებისგან არის დაკომპლექტებული. მათი მიზანი ბიზნესის დახვენა და წახალისებაა.

მარადიული ხელოვნება

მზევინარ ხუციშვილი



ვაჟა მელიქიშვილი - ეს სახელი და გვარი ქართველი საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი. მის პიროვნებასა და შემოქმედებაზე ბევრი დაწერილა და თქმულა, დადებითიც და უარყოფითიც. თუმცა მე მხოლოდ იმ ადამიანებს დავესესხები, ვინც კარგად იცნობდა მის შემოქმედებას. ხელოვნებათმცოდნეთა შეფასებით, "იგი გამოირჩეოდა დღევანდელობისთვის თითქოს უჩვეულო აზროვნებით, რომელიც მატერიალურისგან განყენებულის ვიზუალურად წარმოჩენისკენ იყო მიმართული, რაც თავისთავად ხელოვნების მარადიულობის ნიშან-თვისებაა. მისი შემოქმედება გამოირჩევა მუდმივი ძიებით, ორიგინალურობით, ინდივიდუალურობით. ის იყო პრინციპული და მტკიცე, მუდამ იბრძოდა იმის წინააღმდეგ, რაც ჭეშმარიტი მხატვრობის განვითარების შემაფერხებელ მიზეზად და დაბრკოლებად მიაჩნდა."

ასე იგონებდნენ ორი წლის წინ და ასე მოიგონეს 19 მარტს გალერეა TMS-ში, სადაც მისი სამოცდაათი წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნა. გამოფენაზე მისი შემოქმედების მცირე, თუმცა საუკეთესო ნაწილი იყო წარმოდგენილი. "თამარ მეფე", "გოგებაშვილი," "აიეტი", ილუსტრაციები "ქილილა და დამანასთვის", "მემატიანე"... აქვეა ფოტოთი წარმოდგენილი ფრაგმენტი შინმოუსვლელეთა გრანდიოზული მემორიალიდან "დიდების კუბი", რომელიც სენაკში დგას. იგი ავტორს 1976-1984 წლებში შეუსრულებია.

გამოფენა 26 მარტამდე გაგრძელდება.

რა უნდოდათ ჯვაროსნებს

რომის კათოლიკურმა ეკლესიამ მეცნიერთა და სასულიერო მოღვაწეთა საგანგებო კონფერენცია გამართა. მას შემდეგ, რაც მან იუდას რეაბილიტაციის გეგმის განხორციელება დაიწყო, კიდევ ერთი განსაკუთრებული მისიაც იკისრა. საქმე ჯვაროსანთა რეპუტაციის აღდგენას ეხება. მაინც რა მიზნები და ინტერესები ამოძრავებდათ ჯვაროსნებს და რა ურთიერთობები იყო შუასაუკუნეების ქრისტიან მებრძოლებსა და მუსლიმანებს შორის? ამ კითხვებზე საერთო პასუხების პოვნას ლამობს რომის ეკლესია.

იტალიელი ისტორიკოსი რობერტო დე მატეი ჯვაროსნულ ომებს მუსლიმანების მიერ წმინდა ადგილების მიტაცების საპასუხო მოვლენად მოიაზრებს და კონფერენციის წარმომადგენლებს ახსენებს, რომ პაპმა ურბან II-მ ჯვაროსნები სწორედ მაშინ მოიწვია, როცა მუსლიმანებმა, 1009 წელს იერუსალიმის წმინდა ტაძრები შეურაცხყვეს. "ჯვაროსნები იყვნენ მსხვერპლი, რომლებმაც სიცოცხლე გაიღეს რწმენისთვის" - აღნიშნავს რობერტო დე მატეი.

მატეის პოზიცია სრულად გაიზიარა კემბრიჯის უნივერსიტეტის ეკლესიის ისტორიის პროფესორმა ჯონათან რაილი-სმიტმა, თუმცა წინამორბედისგან განსხვავებით, სმიტი ბევრად გულწრფელი აღმოჩნდა და ბოლოსთვის დასძინა, რომ მეომრები ხშირად იქცეოდნენ ისე, როგორც ნამდვილი ბარბაროსები და რომ მათი ქმედებები სამწუხარო ექსცესებითაც სრულდებოდა, სწორედ ისეთით, როგორიც კონსტანტინეპოლზე შეტევა იყო, 1204 წელს და ა.შ. მაგრამ, ამის მიუხედავად, კემბრიჯის პროფესორის აზრით, თანამედროვეობის დანაშაული იქნება, თუ ჯვაროსნებს ისე დავინახავთ, როგორც რიდლი სკოტმა საკუთარ ფილმში "ზეციურ სამეფოში" წარმოადგინა, სადაც მუსლიმანები ბევრად ცივილურნი იყვნენ, ვიდრე ქრისტიანები, რომლებიც ნამდვილ ველურებს ჰგავდნენ. ამგვარი ვარიაციები, მეცნიერის აზრით, დაუშვებელია და ისტორიის გაყალბებას წარმოადგენს. ამგვარი რამ კი, მხოლოდ და მხოლოდ მუსლიმანი ფუნდამენტალისტების წისქვილზე ასხამს წყალს.

იოანე პავლე II, ბენედიქტ XVI-ის წინამორბედი, ცდილობდა რამენაირი გზებით მუსლიმანური და ქრისტიანული სამყაროები შეერიგებინა, კერძოდ 2000 წელს მან მთელი კათოლიკური ეკლესიის სახელით ბოდიში მოუხადა ყველა სხვა, ნებისმიერ რელიგიას, რომელსაც რაიმე პრეტენზია გააჩნდა მათ მიმართ. მაგრამ მისი ასეთი ქცევით კათოლიკური ეკლესიის კონსერვატორული ფრთა კმაყოფილი არ დარჩენილა, მათ შორის, კარდინალი რატცინგერი.

იმის მიუხედავად, რომ ბენედიქტე XVI 2006 წლის ნოემბერში თურქეთის მონახულებას აპირებს, იგი სასტიკი წინააღმდეგია ამ ქვეყნის ევრო-კავშირთან შეერთებისა, და როგორც ჩანს, პაპი საკუთარ პოზიციას არც ისე ფარულად აფიქსირებს. პოზიციას, რომელსაც იმით ხსინის, რომ თურქეთსა და დანარჩენ ევროპას შორის უზარმაზარი განსხვავებაა, კონკრეტულად მათ კულტურასა და საერთო დამოკიდებულებებში.

ეკა და ბელარუსი

FM ცნობა 98.0

ეკა კვესიტაძე: დღეს "დიალოგების" თემაა ბელარუსში მიმდინარე მოვლენები. გადაცემის სტუმარია ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი.

ეკა კვესიტაძე: გამეორდება თუ არა იგივე ბელარუსში, რაც თავის დროზე საქართველოსა და უკრაინაში მოხდა?

ირაკლი მენაღარიშვილი: საკმაოდ ძნელია რაიმე პროგნოზის გაკეთება. მე არც კი გავრისკავდი, რადგან სიტუაცია თვითონ საზოგადოებაში და ქვეყანაში ერთმნიშვნელოვანი არ არის. ფაქტი კი, რაც მოხდა, არის მანიპულირების შედეგი, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობა ბელარუსში ბევრად უფრო რთულია, ვიდრე სხვა ქვეყნებში, რასაც თავისი მიზეზები აქვს.

ეკა კვესიტაძე: რა მიზეზები?

ირაკლი მენაღარიშვილი: პირველი ის არის, რომ ამ ხნის მანძილზე დიქტატორული რეჟიმი სუფევდა და ოპოზიციას არ ჰქონდა საშუალება აეხსნა მოსახლეობისთვის, რა ხდებოდა ქვეყანაში, რომ ისინი უკეთეს ალტერნატივას სთავაზობდნენ. იქ რომ ჩატარებულიყო ღია და სამართლიანი არჩევნები, უკეთესად შევძლებდით სიტუაციის შეფასებას, თუმცა ლუკაშენკომ ყველა დიქტატორზე უკეთ შეძლო სიტუაციის მოთოკვა და გაკონტროლება.

ეკა კვესიტაძე: რა ბერკეტები გამოიყენა რუსეთმა, რითაც იგი ინარჩუნებს ზეგავლენას ბელარუსზე?

ირაკლი მენაღარიშვილი: ჯერჯერობით ასე ვთქვათ: ამ შეჯიბრში რუსეთი იგებს, რადგან მისი მოკავშირე ლუკაშენკოა.

ეკა კვესიტაძე: რა განსხვავებაა რუსეთის გავლენასა და დასავლეთის გავლენას შორის?

ირაკლი მენაღარიშვილი: საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რა თქმა უნდა, რუსეთს სურს დაკარგული ძალაუფლების აღდგენა მოვლენათა ისეთი მხარდაჭერით, როგორიც არის კონფლიქტების გამწვავება. რაც შეეხება ევროპის ინტერესებს, მათი ინტერესები სრულიად გამართლებულია, რადგან ისინი არ ზღუდავენ ამა თუ იმ ქვეყნის კანონებს. მათი ინტერესები მიმართულია ქვეყნების განვითარებისკენ, სტაბილურობის დამკვიდრებისკენ.

ეკა კვესიტაძე: ბელარუსში ჩატარებულ არჩევნებზე ყველა ერთხმად აღნიშნავს მის ფალსიფიცირებაზე.

ირაკლი მენაღარიშვილი: არჩევნები მართლაც ჩატარდა ძალმომრეობის პრინციპით.

მსმენელი: კანონი, რომელიც ჩვენ გვაქვს არჩევნების შესახებ, როგორ ფიქრობთ, ბელარუსზე უკეთესი არჩევნების ჩატარებას გულისხმობს?

ირაკლი მენაღარიშვილი: ამ შემთხვევაში ბელარუსისა და საქართველოს შედარება არ არის მთლად კორექტული. თუმცა, მე, როგორც მოქალაქე, ძალიან კრიტიკულად ვარ განწყობილი ბოლო პერიოდში საარჩევნო კანონში შეტანილი ცვლილებების შესახებ. არა იმიტომ, რომ არადემოკრატიულია, უბრალოდ, იმ პერიოდში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, სრულიად მისაღები იყო ის, რაც გვქონდა. რაც შეეხება ბელარუსს, იქამდე ღმერთმა დაგვიფაროს.

ეკა კვესიტაძე: რა ტიპის სანქციები შეიძლება გატარდეს ლუკაშენკოს რეჟიმის წინააღმდეგ?

ირაკლი მენაღარიშვილი: ბელარუსის წინააღმდეგ სანქციებზე საუბარი არსად არ ყოფილა. საუბარი იყო ბელარუსის გაძლიერებაზე დემოკრატიული პრინციპების გაძლიერების მიზნით.

ეკა კვესიტაძე: რატომ ვაქცევთ ჩვენ ასეთ დიდ ყურადღებას ბელარუსის არჩევნებს და რა გავლენას მოახდენს იქ განვითარებული მოვლენები საქართველოზე?

ირაკლი მენაღარიშვილი: ჩვენ, უბრალოდ, ანალიზს ვაკეთებთ, როგორც ერთ დროს მეგობარი ქვეყნის მიმართ. რაც შეეხება საქართველოს, ჩვენი ბედი მთლიანად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა ხდება ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. ბელარუსი კი მათ შორის ერთ-ერთი ძლიერი ქვეყანაა.

"ფრანკოფონიის დღეები" კინოს სახლში

კინოს სახლში მიმდინარეობს თანამედროვე ფრანგული ფილმების რეტროსპექტივა სახელწოდებით "ქალბატონებო, მე თქვენ მიყვარხართ".

როგორც კინოს სახლის ადმინისტრაციამ განაცხადა, რეტროსპექტივა საფრანგეთის საელჩოს თანამშრომლობისა და კულტურულ ღონისძიებათა სამსახურის ინიციატივით იმართება. მათივე ინფორმაციით, ღონისძიებას უშუალოდ ალექსანდრე დიუმას ცენტრი და საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი უძღვებიან. ფრანგული ფილმების ჩვენება კინოს სახლში 27 მარტამდე გაგრძელდება. საელჩოს მიზანია თანამედროვე ფრანგული კინემატოგრაფიის პოპულარიზაცია საქართველოში.

პრაიმ-ნიუსი

ქალაქ თბილისის მთავრობა

დადგენილება N05.06.123,
14 მარტი 2006

"საქართველოს დიზაინერთა ფონდის ფირმა "დეკორ პლასტიკისათვის" საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე მოსაცდელი პავილიონების განთავსების ნებართვის მიცემის შესახებ" ქ. თბილისის 1999 წლის 15 ივლისის 06.25.136 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" IX თავისა და IV თავის 61-ე მუხლის თანახმად,

ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მთავრობის 1999 წლის 15 ივლისის №06.25.136 დადგენილება "საქართველოს დიზაინერთა ფონდის ფირმა "დეკორ პლასტიკისათვის" საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე მოსაცდელი პავილიონების განთავსების ნებართვის მიცემის შესახებ.

2. აღნიშნული დადგენილება აღსრულდეს, დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში და გაეგზავნოთ დაინტერესებულ მხარეებს.

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1 ა), კანონით დადგენილი წესით, გაცნობის დღიდან.

ქ. თბილისის პრემიერი თემურ ქურხული

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგურის" მიერ 2006 წლის 18 მარტის გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებული ტენდერი "სხვადასხვა სახის სპეც ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შესყიდვაზე", სატენდერო პირობების დაზუსტების გამო ჩაითვალოს გაუქმებულად.

სატენდერო კომისია

გამაჯანსაღებელი ცენტრი ნაუტილუსი

გთავაზობთ:

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26, 23 56 26
E-mail: info@nautilus.ge, reception@nautilus.ge



სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78
ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26
ელ. ფოსტა: info@nautilus.ge

24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

ამერიკა იაპონურ ავტომშენებლობას აღიარებს

B3

ამერიკული საბირჟო ინდექსები კვლავ მცირდება

მსოფლიო სავაჭრო ბირჟებზე სპილენძის ფასი საგრძნობლად იზრდება

ევროპულ საჰაერო სივრცეში ფრენა 90 ავიაკომპანიას აეკრძალა
B3

ვატარკაციშვილი "კომერსანტის" გაყიდვას არ აპირებს

B4

რატომ ფერხდება პრივატიზაცია?

მთავრობა ქონების შესაფასებლად ფულს არ ხარჯავს

- **ეკონომიკური განვითარებისის სამინისტროს მიერ დარგების მიხედვით გაკეთებული კლასიფიკაციით ყველაზე ბევრი 722 ობიექტი, რომელზეც გაყიდვა არ გამოცხადებულა უძრავი ქონების სექტროშია, დანარჩენი სექტორების პოზიციები ასე გადანაწილდა: მრეწველობა 22 ობიექტი, სათბობენერგეტიკა-75, სოფლის მეურნეობა-64, მშენებლობა-43, ვაჭრობა-21, ტურიზმი- 45, ჯანდაცვა-39, კავშირგაბმულობა-6, ტრანსპორტი-29, განათლება-კულტურა 29, სპორტი-4, წყალმომარაგება, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურება-11, სხვა არაკლასიფიცირებული- 124, მოძრავი ქონება-1.**

- **უძრავი ქონების შემფასებელთა ინსტიტუტი საქართველოში ჩამოყალიბების პროცესშია. შეიძლება ითქვას, ეს ნიშა ბაზარზე თავისუფალია. როცა ქონების შეფასება ხდება, შეფასების მექანიზმი საერთაშორისო ნორმებს საერთოდ არ შეესაბამება.**

თინა შავაძე

სახელმწიფოს ფუნქცია არ არის, მთავარი მეწარმე იყოს ქვეყანაში - ასეთ რეკომენდაციას იძლევა ბევრი ცნობილი უცხოელი ეკონომისტი. ბევრმა ქვეყანამ ეკონომიკურ წინსვლას კერძო სექტორის უპირატესობის აღიარებით მიაღწია.

აქართველოში ჯერ კიდევ არსებობს დარგები, სადაც სახელმწიფო მონოპოლიაა და მსხვილი საწარმოები მისი მმართველობის ხელშია, რაც ყველაზე მეტად კონკურენციის განვითარებისთვის არის ხელისშემშლელი. თუმცა მოსალოდნელია, ეს წინააღმდეგობა მიმდინარე პრივატიზაციამ შეასუსტოს. ენერგეტიკისა და კავშირგაბმულობის დარგში უკვე იყიდება მსხვილი სახელმწიფო კომპანიები "საქართველოს ელექტროკავშირი" და "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია".

დადებითი ტენდენციის მიუხედავად, ხელისუფლების დაპირებული დიდი პრივატიზაცია, რომელმაც სტარტი მარათონისთვის ბათუმის ბულვარიდან სასტუმრო "ინტურისტის" წინ აიღო, ფინიშთან დიდხანს ვერ მიაღწევს, რადგან თვალის ერთი გადავლებითაც კარგად ჩანს, რომ ობიექტების გაყიდვის ტემპი დაბალია. 1235 ობიექტზე გაყიდვა ჯერ კიდევ არ გამოცხადებულა. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში აუქციონის წესით 92 ობიექტის გაყიდვა იგეგმება. დადგენილი წესით, კონკურსის შედგები და 92 მესაკუთრის ვინაობა მაისის დასაწყისში გაირკვევა. ბუნებრივია, ობიექტს გაყიდვამდე მომზადება სჭირდება. ამ სამუშაოს შესრულება კი, როგორც ირკვევა, გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული - საწარმოს ბალანსი, ქონების შეფასება და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტაციის მომზადება, რომელიც პოტენციურ მყიდველს აინტერესებს. გაზეთ "24 საათთან" საუბარში, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს პრივატიზაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ილია გოცირიძე განმარტავს: "ის ფაქტი, რომ რიგ ობიექტებზე გაყიდვა არ გამოცხადებულა, რამდენიმე მიზეზით არის გამოწვეული. ხშირად საპრივატიზაციოდ შერჩეულ სახელმწიფო საწარმოების საწესდებო კაპიტალში მიწა არ არის შეტანილი. საჭიროა ამ უძრავი ქონების შეფასება და მისი საწესდებო კაპიტალში შეტანა. ამის გარდა, ერთ-ერთი პირობაა საწარმოების მიერ ბალანსის წარდგენა და საპრივატიზაციო კომისიის შედგენა. ამ ეტაპების გავლას ზოგიერთ საწარმოში სწრაფად ახერხებენ და მათზე, შესაბამისად, ცხადდება გაყიდვა. არსებობს საწარმოები, რომლებიც აღნიშნულ პირობებს მოკლე დროში ვერ ასრულებენ და, ამდენად, ობიექტზე გაყიდვა არ ცხადდება."

B2

სკანდალი "პარმალატის" ირგვლივ

რამ გამოიწვია კორპორაციის მსხვრევა

საქართველოს ეროვნულ ბანკში მუშაობა დაასრულა საერთაშორისო აუდიტორულმა კომპანიამ "დელოით ენდ ტუშმა", რომლის ექსპერტებმაც 2005 წელს ეროვნული ბანკის ფინანსური ანგარიშგების გარე აუდიტი განახორციელეს. ამ ცნობილმა კომპანიამ საქართველოში კიდევ რამდენიმე მსხვილ ორგანიზაციას გაუწია მომსახურება.
"24 საათი-ბიზნესი" გთავაზობთ ახლო წარსულში ბიზნესის სამყაროში მომხდარი "პარმალატის" საქმის" სახელით ცნობილი სკანდალის ისტორიას, რომელშიც "დელოით ენდ ტუშის" სახელი აქტიურად ფიგურირებდა.

ნინო ნარჩემაშვილი

იტალიის სიდიდით მერვე ინდუსტრიული იმპერიის, "პარმალატის" გახმაურებულმა სკანდალმა მსოფლიო მასშტაბით დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. რძის, სასმელებისა და საკონდიტრო ნაწარმის მწარმოებელი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გიგანტი არამარტო თავად ჩაიძირა, არამედ საერთაშორისო ფინანსების სფეროში რამდენიმე უმსხვილესი მოთამაშის რეპუტაციაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. "პარმალატს" 21 თვის განმავლობაში აკრძალული ჰქონდა აქციების განთავსება მილანის ბირჟაზე და ამის მიზეზი სწორედ ის სკანდალი გახლდათ, რომელიც იმით დაიწყო, რომ პარმის პროკურატურამ ფირმის ანგარიშებიდან 14 მილიარდი ევროს უკვალოდ გაქრობა აღმოაჩინა. "პარმალატი" გამოცხადებული იქნა ბანკროტად, ხოლო 40 ათასმა აქციონერმა კუთვნილი ფული დაკარგა.

B3

აბსურდები ქართულ ენერგეტიკაში

დიანა ჩარგეიშვილი

გუშინ პარლამენტშიც და კანცელარიაშიც აქტუალური იყო ენერგეტიკული საკითხები. "საქნავთობის" და გაზისა და ნავთობის საერთაშორისო კორპორაციების გაერთიანების პროცესი, სავარაუდოდ, სამ თვეში დასრულდება. "ენგურჰესის" სარეაბილიტაციოდ გათიშვის თარიღი კი კვლავ უცნობია. ამბობენ, რომ ეს საკითხი მარტის ბოლოს გაირკვევა.

- **"სამი უწყების გაერთიანება ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს, რადგან ტრანსპორტირება, მოპოვება და გაყიდვა ერთი უწყების ფუნქცია იქნება".**

- **"ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის, გაზის საერთაშორისო კორპორაციისა და საქნავთობის გაერთიანება მომავალში გაამარტივებს გაზის მაგისტრალური მილსადენის შესაძლო გაყიდვის პროცედურას".**

B4

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

1 ავსტრალიური დოლარი	AUD	1,3089
1 აზერბაიჯანული მანათი	AZN	2,0074
1 აშშ დოლარი	USD	1,8275
1000 ბელორუსიული მანათი	BYR	0,8502
1 ბულგალური ლევი	BGL	1,1338
1 დანიური კრონი	DKK	0,2972
1 ეგვიპტური ბირვანძა	EGP	0,3184
1 ევრო	EUR	2,2166
10 ესტონური კრონი	EEK	1,4173
1000 თურქმენული მანათი	TMM	0,3514
1 თურქული ლირა	TRY	1,3664
10 იაპონური იენი	JPY	0,1567
1 ინგლისური ბირვანძა ს	GBP	3,1959
1000 ირანული რიალი	IRR	0,2004
10 ისლანდიური კრონი	ISK	0,2623
1 ისრაელის სეკელი	ILS	0,3926
1 კანადური დოლარი	CAD	1,5712
1 ლატვური ლატი	LVL	3,1618
10 ლიტვური ლიტი	LTL	6,4503
10 მოლდოვური ლეი	MDL	1,4025
1 ნორვეგიული კრონი	NOK	0,2789
1 პოლონური ზლოტი	PLZ	0,5708
10000 რუმინული ლეი	ROL	0,6140
1 რუსული რუბლი	RUB	0,0660
1 სინგაპურული დოლარი	SGD	1,1302
100 სომხური დრამი	AMD	0,4062
1 ტაჯიკური რუბლი	TJR	0,5688
1000 უზბეკური სუმი	UZS	1,5161
10 უკრაინული ბრივნა	UAG	3,6115
100 უნგრული ფორინტი	HUF	0,8440
1 ქუვეითური დოლარი	KWD	6,2577
10 ყაზახური ტენგე	KZT	0,1435
10 ყირგიზული სომი	KGS	0,4419
1 შვედური კრონი	SEK	0,2367
1 შვეიცარული ფრანკი	CHF	1,4116
1 ჩეხური კრონი	CZK	0,0779
1 ჩინური იუანი	CNY	0,2277
1 ჰონ-კონგური დოლარი	HKD	0,2355



ამერიკა იაპონურ ავტომშენებლობას აღიარებს

ამერიკულმა ჟურნალმა Consumer Reports გამოაქვეყნა აშშ-ს ბაზარზე წარმოდგენილი ავტომობილების საიმედოობის ახალი რეიტინგი. ჟურნალის ექსპერტებს არ გაუთვალისწინებიათ მარკის რეპუტაცია ან ამა თუ იმ მოდელის პოპულარობა. მათ მხედველობაში, მხოლოდ 3 წლის ექსპლოატაციის შემდეგ, ავტომობილის დაზიანება მიიღეს.

აღნიშნული გამოკვლევა საავტომობილო ბაზრის რვაწლიანი კვლევის შედეგების შეფასება გახლავთ. რეიტინგში შევიდა მოდელები, რომლებიც 1998 წლიდან მოყოლებული, სამი წლის განმავლობაში ამერიკულ ბაზარზეა. სულ შეისწავლეს მილიონზე მეტი ავტომობილის ექსპლოატაციის ისტორია და განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს სამი წლის განმავლობაში ძრავის, ტრანსმისიის და სამუხრუჭე სისტემის დაზიანებაზე.

შედეგად, რეიტინგის სათავეში იაპონური "ტოიოტა" აღმოჩნდა - იმ ავტომობილთა სიაში, რომელთა შეძენას ექსპერტები გვირჩევენ, ამ ფირმის 15 მოდელია. გარდა ამისა, საუკეთესო ხუთეულში შევიდნენ "ჰონდა" (9 მოდელი), "ლექსუსი" (6 მოდელი), "ნისანი" (4 მოდელი) და "მიცუბიში" (3 მოდელი). როგორც ვხედავთ, იაპონელთა წარმატება სახეზეა.

არასიამედო ავტომობილებად კი დაასახელეს "მერსედესის", "ფორდის", "ბმვ"-ს "ფოლკსვაგენის" და "იაგუარის" მოდელები. ანუ, ის ავტომობილები, რომლებიც ჩვენში განსაკუთრებით პრესტიჟულად ითვლება და ძვირად ფასობს. **როიტერი.**

მალე ავტო-ბაზარზე ახალი Lada 2116 გამოჩნდება

ახალ საოჯახო ავტომობილ “Lada”- ს, რომელსაც ახლო მომავალში გამოუშვებენ “ Lada - 2116 “ ერქმევა. “Ladaonline”- ს ინფორმაციით, ავტომობილის მშენებლობას “ნულიდან” იწყებენ. “ავტოვაზის” ინჟინერებმა ავტომობილი სრულიად ახალი, მშენებლობის თანამედროვე პრინციპებით დააპროექტეს. მიმწოდებლები “ავტოვაზს” ცალკეული დეტალების ნაცვლად მთელ მოდულებს მიაწვდიან (ტორმუზი, ძრავა, დაკიდების სისტემა და ა.შ.). ამასთან, გაიზრდება მიმწოდებელი კომპანიის პასუხისმგებლობის საკითხიც.

“Lada-2116”-ის საჩვენებელ ვარიანტს მოსკოვის ავტოსალონები სულ მალე იხილავენ. ამასთან, აღნიშნული მოდელის ბაზაზე დაგეგმილია “cedan”-ის, “xetchbek”-ის და “miniven”- ის გამოშვებაც.

“ავტოვაზის” ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ “B”, “C”, და “D” კლასის სრულიად ახალი, ევროპული სტანდარტების შესაბამისი ავტომობილების ღირებულება 7 - 14 აშშ დოლარი იქნება.

Citigroup ევროპელებს ავიწროვებს

ევროპის საბანკო ბაზარზე შესაძლოა ახალი ლიდერი - ამერიკის ფინანსური კორპორაცია “Citigroup” გამოჩნდეს. მას იმედი აქვს, რომ ფრანგულ ბანკ “Societe Generale’-ს “ჩაყლაპავს”. არაოფიციალური წყაროები ავრცელებენ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ორივე კომპანიის აქციების ფასმა მოიმატა.

“ამერიკის ფინანსური კომპანიის “ მიერ “ერთ-ერთი ფრანგული ბანკის” შეძენის შესახებ ინფორმაცია ჯერ კიდევ მარტის დასაწყისში გაჟღერდა. ამის შემდეგ, პარიზული გაზეთი “Nouvel Observateur” მოარულ ხმებს აზუსტებს და იტყობინება, რომ ერთ-ერთმა ამერიკულმა ბანკმა თხოვნით მიმართა საფრანგეთის ხელისუფლებას ერთ-ერთი ფრანგული ბანკის შესყიდვის თაობაზე. გაზეთი ვარაუდობს, რომ საუბარია ბაზრის საკმაოდ ცნობილ მოთამაშეებზე - ამერიკულ “Citigroup”-სა და ფრანგულ “Societe Generale”-ზე. უნდა აღინიშნოს, რომ “Citigroup” საკუთარი კაპიტალის სიდიდით მსოფლიოში მეორე ადგილზეა.

ინფორმაციის წინასწარ გავრცელებაზე კი რამდენიმე ფაქტორმა იქონია გავლენა. პირველ რიგში, “Citigroup”-ის ხელმძღვანელობის მიერ არაერთგზის გაკეთებულმა განხადებებმა საკუთარი ბიზნესის გლობალური გაფართოების თაობაზე. თავად ბანკები ამ მოარულ ინფორმაციას არ ადასტურებენ. “Citigroup”-ის მეთაური ჩარლზ პრინსი ფრანგული პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, რომ საუბარი ყველა შესაძლო გარიგებაზე ჯერ ნაადრევია”. **როიტერი.**

რატომ ფერხდება პრივატიზაცია?

მთავრობა ქონების შესაფასებლად ფულს არ ხარჯავს

ჰირველი გვერდიდან

უძრავი ქონების შემფასებელთა ინსტიტუტი საქართველოში ჩამოყალიბების პროცესშია. შეიძლება ითქვას, ეს ნიშა ბაზარზე თავისუფალია. როცა ქონების შეფასება ხდება, შეფასების მექანიზმი საერთაშორისო ნორმებს საერთოდ არ შეესაბამება. ქონების შეფასება კი ერთ-ერთი საკვანძო საკითხია პრივატიზაციის დროს. საქართველოს პროფესიონალ შემფასებელთა ასოციაციის გამგეობის წევრი ლაშა ცაგარეიშვილი “24 საათთან” ადასტურებს, რომ გასაყიდ ობიექტზე დამაგრებული მიწის ნაკვეთის შეფასება და საწესდებო კაპიტალში შეტანა მართლაც რთული პროცედურაა. ის ამბობს, რომ “მიწის საბაზრო ფასის თბილისში დადგენა კიდევ შესაძლებელია, რაც რეგიონებში ძალიან ჭირს. მით უმეტეს, ძნელია საწარმო დანიშნულების მიწის შეფასება. არის ობიექტი, რომლის შენობა-ნაგებობები აბსოლუტურად უსარგებლოა, ღირებულება არ აქვს, და ღირებული მხოლოდ მიწაა. თუ სახელმწიფოს სურვილი აქვს, ქონება ზუსტად შეფასდეს, ამისთვის ადგილობრივი ქონების შემფასებელი არც უნდა დაიქირაოს, ღირებულ შეფასებას საქართველოში ვერ აკეთებენ. როცა პოტენციური უცხოელი ინვესტორი გასაყიდი ობიექტის ანკეტაში ჩაიხედავს, ის უნდა დარწმუნდეს, რომ საინვესტიციო ანგარიში სანდოა. სანდო კი მაშინ არის, როცა ქონებას ცნობილი კომპანიის საერთაშორისო ექსპერტები აფასებენ. ასეთი დაკვეთები საქართველოს მთავრობის მხრიდან პრივატიზაციის პროცესში ჯერ კიდევ არ ჩანს. და ეს ყველაფერი, შესაბამისად, პრივატიზაციის პროცესზე აისახება. რადგან ამ ობიექტებით ცნობილი ევროპული კომპანიები არ ინტერესდებიან.”

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ დარგების მიხედვით გაკეთებული კლასიფიკაციით ყველაზე ბევრი - 722 ობიექტი, რომელზეც გაყიდვა არ გამოცხადებულა, უძრავი ქონების სექტორშია.

ცნობილია, რომ საქართველოში წარმატებული ბიზნესსექტორებია - მშენებლობა, მრეწველობა, ვაჭრობა. მიუხედავად ამისა, საპრივატიზაციო ნუსხაში უძრავი ქონება ლიდერობს. გოცირიძე ამბობს, რომ “ინვესტორების მხრიდან უძრავ ქონებაზე უფრო დიდი დაინტერესება, ვიდრე სხვა სექტორებში. გაყიდულ მიწის ნაკვეთებზე სწრაფი ტემპით აშენდა სავაჭრო ცენტრები, ავტო-სალონები, სახლები”. ეს ბუნებრივიცაა, როცა თავისუფალ მიწის ნაკვეთს, ან არასაცხოვრებელ ფართს ინვესტორი ყიდულობს, მას ძველი ვალდებულებები (სასამართლო დავები, კრედიტორული და დებიტორული დავალიანება) არ მოჰყვება, როგორც ეს საწარმოს შემთხვევაშია, და მესაკუთრე ობიექტს საკუთარი ბიზნესინტერესებიდან გამომდინარე აშენებს.

ეროვნული ბანკი ბიუჯეტში 11 მილიონი ლარით მეტს გადარიცხავს

საქართველოს ეროვნულ ბანკში მუშაობა დაასრულა საერთაშორისო აუდიტორულმა კომპანიამ "დელოით ენდ ტუში”, რომლის ექსპერტებმაც 2005 წელს ეროვნული ბანკის ფინანსური ანგარიშგების გარე აუდიტი განახორციელეს.

ეროვნული ბანკის წმინდა მოგებამ 2005 წელს 57 640 000 ლარი შეადგინა. ეროვნული ბანკის საბჭომ იმსჯელა ბანკის მოგების განაწილების თაობაზე და მიიღო გადაწყვეტილება, მთავრობას ბიუჯეტით გათვალისწინებულზე 11 მილიონი ლარით მეტი, ანუ 51 მილიონი ლარი გადაურიცხოს.

გარდა ამისა, ეროვნული ბანკის წმინდა მოგებიდან 2,1 მილიონი ლარი წარიმართება საწესდებო კაპიტალის მოცულობის შესავსებად, 4,54 მილიონი ლარი კი - გადაფასების რეზერვებში. სახელმწიფო ბიუჯეტში თანხები მიმდინარე თვის ბოლოს ჩაირიცხება. **24 საათი**

გუდაურში 4 მილიონიანი, ხოლო კოჯორში 3500 დოლარიანი ქონება იყიდება

თინა შავაძე

ცნობილი სამთო სათხილამურო კურორტის გუდაურის ფეშენებელურ სასტუმრო "მარკო პოლო”-ს მალე შეიძლება კონკურენტი გამოუჩნდეს. ყაზბეგის რაიონის დაბა გუდაურში სს "გერგეთი"-ის სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ აქციათა 75,14 პროცენტი იყიდება. საქმიანობის სფეროა - სასტუმრო მომსახურება. ობიექტის საწესდებო კაპიტალი 10122038 ლარია.

ქონების დახასიათება - ყაზბეგის რაიონში: არასასოფლო-სამეურნეო მიწის ფართი - 9,212 ჰა, შენობა-ნაგებობები - 15 578,13 კვ.მ.; დუშეთის რაიონში: არასასოფლო-სამეურნეო მიწის ფართი - 1,01 ჰა, შენობა-ნაგებობები - 1240,06 კვ.მ.; საწყისი გასაყიდი ფასი 4 000 000 აშშ დოლარია.

ობიექტის დებიტორული დავალიანება 35 048.30 ლარია, კრედიტორული დავალიანება კი - 109 050.67 ლარი. როგორც ირკვევა, სს "გერგეთის" მიერ სასტუმრო-კომპლექსი "გუდაური" (სასტუმრო, დამხმარე შენობა-ნაგებობები და სხვა) იჯარით არის გადაცემულია შპს "ერთობლივი საწარმო გუდაურზე", საიჯარო ვადით 2003 წლიდან 2007 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. საიჯარო ქირა ფიქსირებული ყოველთვიური გადასახადი - 18 750 ლარია, და ცვალებადი გადასახადი ყოველწლიურად ექსპლუატაციით მიღებული წლიური ერთობლივი შემოსავლის ოთხი პროცენტი. აუქციონი 10 მაისს გაიმართება.

გარდაბნის რაიონის დაბა კოჯორში იყიდება თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული, დაბა კოჯორში მდებარე დარაჯის ჯიხური. ჯიხურის ფართია 110.5 კვ.მეტრი, მიწის ფართის სიდიდე კი - 1100 კვ. მ. ობიექტის საწყისი გასაყიდი ფასი 3500 დოლარია. ქონება აუქციონის წესით გაიყიდება, რაც იმას ნიშნავს, რომ საწყისი ფასი, საბოლოოდ, შეიძლება გაიზარდოს.

მიუხედავად ამისა, უძრავი ქონების აგენტების განმარტებით, დაუჯერებელია, რომ კოჯორში ერთი კვ.მ მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი 3 დოლარი იყოს. ამ პრესტიჟულ უბანში მიწის ერთი კვადრატული მეტრი ნაკვეთის საშუალო ფასი 20 დოლარია. ამდენად, საწყისი ფასიდან გამომდინარე, ობიექტს ბევრი მყიდველი უნდა გამოუჩნდეს.

სამხრეთკავკასიური გაზსადენის ნაწილს "ასპორნავთგაზმშენი" ააშენებს

აზერბაიჯანის სახნავთობკომპანიის ტრესტი "კასპორნავთგაზმშენი" კომპანია BP-ს მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად დასახელდა. ტენდერის პირობების თანახმად, გამარჯვებულმა კომპანიამ უნდა ააშენოს ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის 12-კილომეტრიანი მონაკვეთი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე გადის. ამის შესახებ აზერბაიჯანის სახნავთობკომპანიის მიერ გავრცელებულ პრესრელიზშია ნათქვამი.

ტრესტის ხელმძღვანელი რიზვან აბასოვი აცხადებს, რომ პროექტში მონაწილეობას ტრესტის დაახლოებით 200 თანამშრომელი მიიღებს, რომელთაც საერთაშორისო სერტიფიკატი და უცხოურ კომპანიებთან მუშაობის გამოცდილება გააჩნიათ. პროექტის განხორციელებისათვის მოსამზადებელი სამუშაოები და ტექნიკის მობილიზება დასრულების ეტაპზეა. მიმდინარეობს კადრების შემოწმება და ტექნიკის გამოცდა.

ტრესტი ბაქო-სუფსას ნავთობსადენის მშენებლობაში მონაწილეობდა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

აფხაზეთზე რკინიგზის გახსნა შესაძლოა შორეული პერსპექტივა გახდეს

სომხური მხარე რუსეთ-სომხეთის დამაკავშირებელი რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის გახსნის ინტერესის განელებას ხედავს რუსეთის განზრახვაში, რუსეთ-ირანის სარკინიგზო ხაზის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გავლით მშენებლობასთან დაკავშირებით. ამის შესახებ ჟურნალისტებს სომხეთ-რუსეთის საპარლამენტთაშორისო კომისიის თანათავმჯდომარემ სომხური მხრიდან ვაან ოვანესიანმა აცნობა. რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის ექსპლუატაციის განახლების საკითხი სომხეთ-რუსეთის საპარლამენტთაშორისო კომისიის მოსკოვში გამართულ სხდომაზე განიხილეს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

ეკონომიკური ზრდის სამკუთხედი

მშპ-ს ზრდამ 9,3 პროცენტი შეადგინა

ნინო ნატროშვილი

მთლიანი შიდა პროდუქტი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ძირითადი პარამეტრია. ქვეყანაში ინვესტიციების განხორციელებამდე ბიზნესმენები, ძირითადად, ამ მაჩვენებლით ინტერესდებიან, რათა მომავალი ბიზნესის განვითარების პერსპექტივა გათვალონ. თავის მხრივ, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ან კლების მაჩვენებელი ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების კატალიზატორია. მშპ-ს ზრდა ეკონომიკური პროცესების აქტივობაზე მიუთითებს, ხოლო კლება იმის მაჩვენებელია, რომ ადგილობრივი წარმოება სტაგნაციას განიცდის.

საქარველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, 2005 წელს საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელმა 9,3 პროცენტი შეადგინა. სტატისტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარის ზაზა ბროლაძის განმარტებით, მშპ-ს ზრდა, ძირითადად, ფინანსური საშუამავლო სფეროს, სამშენებლო და კავშირგაბმულობის სექტორების განვითარების ხარჯზე მოხდა.

სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, ფინანსური საშუამავლო სფერო ზრდის მაღალი ტემპებით ვითარდება. “2005 წელს ფინანსური სფეროს შუამავლობის ზრდის მაჩვენებელმა, გასულ წელთან შედარებით, 52,2 პროცენტი შეადგინა. ამ სექტორს მასტიმულირებელი დატვირთვა აქვს, რადგან ბიზნესის ყველა მიმართულებას აფინანსებს. 2005 წელს სესხების გაცემა ეკონომიკაზე 80 პროცენტით გაიზარდა. სესხები გაცემულია ვაჭრობის, მშენებლობის და მრეწველობის სექტორზე,” - განუცხადა “24 საათს” სტატისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ზაზა ბროლაძემ.

ექსპერტების შეფასებით, საბანკო სექტორის მაღალი ტემპებით განვითარება, ძირითადად, საზღვარგარეთიდან საკრედიტო ხაზების ზრდამ განაპირობა. წლის განმავლობაში ფინანსური შუამავლობის ხვედრითი წილი მთლიან პროდუქტში 0,7 პუნქტით გაიზარდა. ამის მიუხედავად, ის კვლავ დაბალ დონეზე რჩება და 2 პროცენტს შეადგენს.

სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2005 წელს კერძო სექტორზე გაცემული სესხების რაოდენობა 80 პროცენტით გაიზარდა. კომერციული ბანკების მიერ, ტრადიციულად, ეკონომიკის სამი სექტორი დაფინანსდა: ვაჭრობა (მთლიანი სესხების 37,8 პროცენტი), მრეწველობა (26,2 პროცენტი) და მშენებლობა (11,7 პროცენტი). ექსპერტების შეფასებით, კომერციულმა ბანკებმა სესხები ამ სექტორებისთვის დაუბრკოლებლად გაიღეს, რადგან ამ სფეროებში ეკონომიკური აქტივობის ზრდა შეუქცევადია. “აქედან გამომდინარე, 2005 წელს ადგილი ჰქონდა მშენებლობის სექტორის 22,3-პროცენტიან და დამამუშავებელი მრეწველობის 14,3-პროცენტიან ზრდას, რაც უდავოდ საბანკო კრედიტებით არის მიღწეული,” - განუცხადა “24 საათს” ბროლაძემ.

2005 წელს მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში. ამ სექტორში შექმნილი დამატებითი ღირებულება, 2004 წელთან შედარებით, 29.5 პროცენტით გაიზარდა.

ექსპერტების შეფასებით, კავშირგაბმულობის სექტორში მიღწეული ზრდა სწორი სატარიფო პოლიტიკით იყო განპირობებული. კავშირგაბმულობის სფეროში ეკონომიკური აქტივობა 2006 წელსაც არის მოსალოდნელი, რადგან სს "ელექტროკავშირის" პრივატიზაცია იგეგმება.

2005 წელს სტაბილური განვითარების ტემპი შეინარჩუნა მშენებლობის სექტორმა, სადაც 2004 წელთან შედარებით 22,3 პროცენტით მეტი დამატებითი ღირებულება შეიქმნა. “ამას ხელს უწყობს საბანკო სექტორიდან მშენებლობის გრძელვადიანი დაკრედიტება. 2005 წელს, 2004 წელთან შედარებით, ბანკებმა, მშენებლობის სექტორის დასაფინანსებლად 4,2-ჯერ მეტი კრედიტი გასცეს,” - განუცხადა “24 საათს” ბროლაძემ.

ქვეყნის ეკონომიკაში ყველაზე დიდი ხვედრითი წილი კვლავ სოფლის მეურნეობას უჭირავს. (14,8 პროცენტი). თუმცა ამ სექტორის ხვედრითი წილი ქვეყნის მთლიან ეკონომიკურ აქტივობაში თანდათან მცირდება. 2004 წელს ზრდა 16,4 პროცენტი იყო, 2003 წელს - 19,3 პროცენტი. 2005 წელს კი სოფლის მეურნეობის სექტორში მხოლოდ 12-პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა. სტატისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ზაზა ბროლაძის შეფასებით, მოვლენათა ასეთი განვითარება ლოგიკურია, რადგან სოფლის მეურნეობის სექტორში დამატებითი ღირებულება თვითდასაქმებულთა ხარჯზე იქმნება, რაც დაბალეფექტურია. გასული წლის ჩავარდნა კი, ძირითადად, დაბალმოსავლიანმა წელმა განაპირობა.

"ჰერმესი" 75 ერთეულ ტრაქტორს შემოიყვანს

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2,7 მილიონი ლარის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაძენად გამოცხადებულ ტენდერში კომპანია "ჰერმესმა" გაიმარჯვა.

როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ მირიან დეკანოიძემ განაცხადა, კომპანია აღნიშნული თანხით "ბელორუსის" ტიპის 75 ერთეულ ტრაქტორს სატენდერო კომისიის მიერ დათქმულ ვადაში, 2006 წლის აპრილში შემოიტანს.

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე შესყიდვები თებერვალში გამოაცხადა, სადაც ოთხმა კომპანიამ "ინტეგრამ", "ჰერმესმა", "ვეგა მოტორსმა" და "ტავაზმა" მიიღო ნაწილეობა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

კომპანია PepsiCo Coca-cola -ს ჯრივის

გუშინ, კომპანია "PepsiCo"-მ ჩიკაგოს სასამართლოში მსოფლიოში უმსხვილესი უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელი კომპანია "Coca-cola"-ს წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა. როგორც როიტერი იუწყება, "Pepsi"-ს არ მოეწონა "Coca-cola"- ს ახალი სარეკლამო კამპანია. სპორტული სასმელის "Powerade Option"-ის ახალ რეკლამაში საუბარია იმაზე, რომ მასში კალორიების შემცველობა 5-ჯერ ნაკლებია ვიდრე " Pepsi"-ში. კომპანია მიიჩნევს, რომ ამგვარი შედარებები მომხმარებლებს პროდუქტზე ცრუ წარმოდგენას შეუქმნის და შესაბამისად სერიოზულ ზიანს მიაყენებს კომპანიას. დაზარალებული " Pepsi" სარეკლამო კამპანიის დაუყოვნებლივ შეჩერებას მოითხოვს. უნდა აღინიშნოს, რომ "Coca-cola" თავს დამნაშავედ არ მიიჩნევს. კომპანიის პრეს-მდივანი აცხადებს, რომ სარეკლამო კამპანია აბსოლუტურად სამართლიანია კომპანია იმედოვნებს, რომ სასამართლო პროცესს აუცილებლად მოიგებს.

ერევანი "ფოთი-კავკაზის" საბორნე კავშირის ტარიფის დაწევის მომხრეა

სომხეთის ნაციონალური კრების ვიცე-სპიკერის, სომხურ-რუსული თანამშრომლობის საპარლამენტთაშორისი კომისიის თანათავმჯდომარის ვაან ოვანისიანის განცხადებით, ოფიციალური ერევანი "ფოთი-კავკაზის" საბორნე კავშირის ექსპლუატაციის იდეის წინააღმდეგია, რადგან ეს იდეა აფხაზეთზე გამავალი სარკინიგზო ხაზის აქტუალობას ამცირებს. "მოსკოვში გამართულ სომხურ-რუსული თანამშრომლობის საპარლამენტთაშორისი კომისიის სხდომაზე საბორნე კავშირის საკითხზე მსჯელობის დროს ჩვენ განვაცხადეთ, რომ რუსეთის მიერ დანესებული მაღალი ტარიფების გამო ტვირთის ბორნით გადაზიდვა, ეკონომიკური თვალსაზრისით, გამართლებული არ არის," - აცხადებს ოვანისიანი. მისი თქმით, სხდომაზე საბორნე კავშირის არაეფექტური მუშაობითა და ტვირთის არასაკმარისი რაოდენობის გამო რუსეთის მხარემაც გამოთქვა უკმაყოფილება. "ჩვენმა დელეგაციამ განმარტა, რომ სომხეთმა ბლოკადის 15 წლის განმავლობაში, გადაზიდვების ალტერნატიული გზები გამონახა, ხოლო ფოთი-კავკაზის საბორნე კავშირი უფრო ეფექტურად და სრული დატვირთვით ტარიფების შემცირების შემთხვევაში იმუშავებს," - აცხადებს ოვანისიანი. ის, აგრეთვე, აღნიშნავს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით სომხური და რუსული მხარეების თვალსაზრისი ერთმანეთს ემთხვევა. "რუსული მხარე იზიარებს ჩვენს არგუმენტებს. აღნიშნული საკითხი განსახილველად უახლოეს დღეებში რუსეთის მთავრობას გადაეცემა," - აცხადებს ვაან ოვანისიანი. მედიანიუსი

აზერბაიჯანული ნავთობი გაიაფდა

ერთ ბარელი AZERI LT-ის სახეობის ნავთობი 21 მარტს გაიაფდა და $61,57 შეადგინა, რაც 1,44 დოლარით ნაკლებია, წინა ვაჭრობაზე დაფიქსირებულთან შედარებით. AZERI LT-ის სიმკვრივე API-ის მიხედვით 34,9 გრადუსს შეადგენს, გოგირდის შემცველობა - 0,14 პროცენტია. URAL-ის ფასმა ერთ ბარელზე 54,11 დოლარი შეადგინა. URAL-ის სიმკვრივე API-ის მიხედვით 32 გრადუსს შეადგენს, გოგირდის შემცველობა - 1,3 პროცენტი.

Brent-ის ფასმა ერთ ბარელზე 60,10 დოლარი შეადგინა. Brent-ის სიმკვრივე API-ის მიხედვით 38,3 გრადუსს შეადგენს, გოგირდის შემცველობა - 0,36 პროცენტი. AZERI LT-ის კოტირება ასახავს აზერბაიჯანული ნავთობის ფასს ხმელთაშუა ზღვის პროტებში, სადაც მას აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანია გადაზიდავს სუფსის ტერმინალიდან. URAL-ის კოტირება ნავთობის ნოვოროსიისკის პორტში გადაზიდული ნავთობის ფასს ასახავს. პრაიმ-ნიუს ბიზნესი

სკანდალი "პარმალატის" ირგვლივ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

"პარმალატი", რომლის მთავარი ოფისიც პარმაში მდებარეობდა, სხვა იტალიური ფირმების უმეტესობის მსგავსად, ოჯახური ბიზნესის პირმშოა. ოჯახის თავმა კალისტო ტანზიმ ბიზნესის გაფართოება მამის სიკვდილის შემდეგ, 1961 წელს დაიწყო და პროდუქტების პატარა მაღაზია კვებისა და სასმელების საერთაშორისო კონცერნად აქცია. ამავდროულად, ტანზიმ ახლო ურთიერთობა დაამყარა ქრისტიან დემოკრატებთან, რომლებიც ომისშემდგომი პერიოდიდან მართავდნენ იტალიას. თანდათანობით "პარმალატი" პასტერიზებული რძის, ყველის, იოგურტის, წვენებისა, ცივი ჩაის და საკონდიტრო ნაწარმის ერთ-ერთი მოწინავე მწარმოებელი გახდა.

კალისტო ტანზი.

ფაუსტო ტონა.

ტანზის ბრალად დაედო "პარმალატიდან", სულ ცოტა, 500 მილიონი ევროს საიდუმლოდ გადაქაჩვა ფილიალში, რომელიც მის ოჯახს ეკუთვნოდა. ტანზი "კონფინდუსტრიის" (საკმაოდ მძლავრი, თანამშრომელთა ასოციაციის) წამყვანი თანამდებობიდან გადადგა. აშშ-ს ფასიანი ქაღალდების კომისიამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოში სარჩელი შეიტანა. მოსამართლემ, რომელიც ამ საქმეს უძღვებოდა, ტანზის მოთხოვნა, სპატიმროს დატოვებისა და სასამართლო განხილვამდე შინაპატიმრობის შესახებ, უგულებელყო.

ტანზის არაკეთილსინდისიერი ქმედების მთელ სპექტრში სდებდნენ ბრალს. ზოგიერთი მათგანი "ენრონის" ცნობილ ისტორიას იმდენად წააგავდა, რომ "პარმალატს" "ევროპულ ენრონსაც" კი უწოდებდნენ. ბრალმდებლების თქმით, შეიქმნა მრავალი წვრილი ჰოლდინგური კომპანია, რომელთა საქმიანობის მთავარ მიზანს "პარმალატისა" და მისი ფილიალებისთვის ყალბი მოგების გამომუშავება წარმოადგენდა. ამასთანავე, "პარმალატის" ფინანსურმა დირექტორმა ფაუსტო ტონამ დაკითხვისას განაცხადა, რომ იგი მონაწილეობას იღებდა დოკუმენტების გაყალბებაში, სადაც მოწინავე ამერიკული ბანკის "Bank of America"-ს ბლანკზე დაბეჭდილი დოკუმენტიდან ბანკის ლოგოტიპი იქნა სკანირებული ცრუ საბუთზე, რომლის მიხედვითაც "პარმალატის" დეპოზიტზე 5 მილიარდი აშშ დოლარი აღმოჩნდა.

გლობალური ბიზნესის საკმაოდ მკაცრი წესი კომპანიებს ხშირად აიძულებს იბრძოლონ საერთაშორისო ბაზრებზე "წარმატებულის" იმიჯის შესანარჩუნებლად, რათა ინვესტორების იმედები გაამართლონ. ის დეტალები, რაც "პარმალატის" სკანდალის შედეგად ამოტივტივდა, აჩვენებს, რომ კომპანიის მაქინაციები სწორედ მაშინ დაიწყო, როდესაც კომპანიამ ხელოვნურად საჯარო ემისია მოახდინა.

"პარმალატის" სქემები ორმა მნიშვნელოვანმა ცვლილებამ გასცა

პირველად ფირმამ აუდიტორი შეიცვალა. იტალიური კანონმდებლობის მიხედვით, ეს ყოველ ცხრა წელიწადში ერთხელ უნდა მოხდეს და 1999 წელს "პარმალატმა" პერსპექტიული "გრანტ თორტონი" დიდი ოთხეულის წარმომადგენლით - "დელოით ენდ ტუშით" - შეცვალა. იტალიური კანონმდებლობა არაფერს ამბობს აუდიტორის გამოცვლაზე იმ შემთხვევაში, თუკი სათაო კომპანია თავის შვილობილ კომპანიებს საკუთარი დაქვემდებარებიდან გამოყოფს. "გრანტ თორტონი", გააფთრებით ცდილობდა შეენარჩუნებინა თავისი უმნიშვნელოვანესი კლიენტი. ამიტომაც მან "პარმალატს" შესთავაზა, გამოეყო სამოგზაურო კონცერნი და ზოგიერთი სხვა ბიზნესი, რომლებიც ამ საბუღალტრო ფირმის მეთვალყურეობის ქვეშ დარჩებოდა.

ამ გზით "პარმალატს" შეეძლო დაეცვა თამაშის წესები თავის მთავარ ბიზნესში, რომელსაც მონიტორინგს "დელოით ენდ ტუში უწევდა" და, ამავე დროს, გამოეყენებინა გამოყოფილი კონცერნები არაკანონიერი გადახდებისათვის, სათაო კომპანიის სასარგებლოდ. აღმასრულებელი ორგანოები ხელოვნურად ქმნიდნენ ფილიალებს დავალიანებებს "პარმალატის" მიმართ, ხოლო ფილიალები ქმნიდნენ ცრუ ანგარიშებს, რომლებითაც, თითქოსდა, ვალები უნდა გადაეხადათ. "დელოთ ენდ ტუშის" ბუღალტრები, ამ მაქინაციების უმეტეს ნაწილს უპრობლემოდ ამტკიცებდნენ.

საკმაოდ ბევრი სამხილი არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ "გრანტ თორტონის" ბუღალტრებმა მშვენივრად იცოდნენ ჰოლდინგური თამაშების შესახებ, რომლებსაც "პარმალატის" აღმასრულებელი ორგანოები ეწეოდნენ. ეჭვგარეშეა, რომ გლობალურ ბაზრებზე საუკეთესო შედეგების ჩვენების სურვილით შეპყრობილი ეს ორი აუდიტორული კომპანია ერთმანეთში საეჭვო საქმით გადაჯაჭვული აღმოჩნდა.

ყოველივე ამას დაერთო უფრო ტრადიციული მაქინაციებიც, როგორიცაა რეალიზაციის შესახებ არსებული მონაცემების ფალსიფიკაცია. ერთ-ერთ განსაკუთრებით გახმაურებულ საქმეში, რომელიც "ჩანაწერების შეკმაზვით" არის ცნობილი, კომპანიის ერთი ფილიალი კაიმანის კუნძულებზე ამტკიცებდა, რომ წელიწადის განმავლობაში კუბაში იმდენი რძის ფხვნილი გაყიდა - აღმოჩნდა, რომ ამ პატარა კუნძულის ყოველი მოქალაქე დღეში თურმე 250 ლიტრ რძეს ამზადებდა.

მეორე და, როგორც ჩანს, "პარმალატის" რეალური მდგომარეობის გამოაშკარავების მთავარი მიზეზი, გახდა 2003 წლის დეკემბერში ტანზისა და მისი ვაჟიშვილის შეხვედრა ნიუ-იორკში კერძო კომპანია "ბლექსტოუნ გრუპ"-თან. შეხვედრის მიზანი გახლდათ კვების იმპერიაში 51-პროცენტიანი ოჯახური წილის გაყიდვა. ამ შეხვედრისას, თავისი ბუღალტრული წიგნების გახსნამდე, ტანზებს საუბარში წამოსცდათ, რომ ნაღდი ფული ხელზე რეალურად ნაკლები იყო, ვიდრე ეს კომპანიის წლიურ ანგარიშში ეწერა და იგი "ოდნავ" ჩამორჩებოდა ოფიციალურ მონაცემს - 3 მილიარდ ევროს. საუბრის ბოლოს კი აღიარეს, რომ კომპანიაში უკვე ძნელად მოიპოვებოდა ლიკვიდური სახსრები და კომპანიას 10 მილიარდი ევრო ედო ვალად.

კომპანიის გაკოტრების საქმეს მსვლელობა მიეცა

უცნობია, რა მომენტში ჩაერთო ამ საქმეში აშშ-ს ფასიანი ქაღალდების კომისია, მაგრამ ორ კვირაში კომპანიის გაკოტრების საქმე დაიწყო. ტანზები დააპატიმრეს, ხოლო კომპანიის აქციების ფასი გრაში გახდა. საგულისხმოა, რომ იტალიურ მაკონტროლებელ ორგანოებს "პარმალატის" საქმიანობა უკვე შემოწმებული ჰქონდათ, რის შემდეგაც კომპანიის აუდიტორმა, დელოიტ ენდ ტუშმა, დაუსაბუთებელი შემოსავლის გამო, საგადასახადო დეკლარაცია შეასწორა. თუმცა, იტალიურ მხარეს მაშინ არანაირი ოფიციალური პრეტენზია არ გამოუთქვამს.

უფროსი ტანზისა და მისი ადვოკატის სიტყვები, ალბათ, კორპორაციული მართვის ისტორიაში ჩაიწერება. მათი განცხადებით, ტანზის ფინანსებისა არაფერი გაეგებოდა და მას, როგორც საკუთარი თავის, ასევე საზოგადოების მიმართ მხოლოდ კეთილი სურვილები ამოძრავებდა. ეს განცხადება სწორედ მაშინ გაკეთდა, როდესაც "პარმალატის" 36 000 თანამშრომელი სამსახურის დაკარგვის საშიშროების წინაშე იდგა; რძის მწარმოებელი ბრაზილიელი და ავსტრალიელი ფერმერები მიწოდებული ნედლეულისთვის ამაოდ ელოდნენ საზღაურს, ხოლო ინვესტორებს ხელში გაუფასურებული აქციები შერჩათ. დღეისათვის, ალბათ, არავის ეპარება ეჭვი, რომ პასუხისმგებლობა კომპანიის საქმიანობასა და შედეგებზე მის აღმასრულებელ ორგანოს ეკისრება. და მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა ფინანსური განათლება გენერალურ დირექტორს, იგი ვალდებულია ერკვეოდეს, თუ რა ხდება მის კომპანიაში. ამ საკითხს კომპანიებთან დაკავშირებული კანონმდებლობაც არეგულირებს. ჩვენშიც, ამის შესახებ არსებობს "კანონი მეწარმეთა შესახებ", სადაც დაფიქსირებულია, რომ "პასუხისმგებლობა საზოგადოების ნებისმიერ საქმიანობაზე ეკისრება საზოგადოების აღმასრულებელ ორგანოს."

საინტერესოა ისიც, რომ გარდა აქციებისა, "პარმალატს" ერთნახევარი მილიარდის ობლიგაციები ჰქონდა გამოშვებული. ტანზის ოჯახს საინვესტიციო წრეებში კარგად იცნობდნენ მათი ხშირი ვიზიტების წყალობით. შეხვედრებზე ტანზები "პარმალატის" წარმატებას კიდევ უფრო "ბერავდნენ" და რეკლამას უწევდნენ. რატომღაც, ვიზიტები სწორედ ობლიგაციებისა და თამასუქების გამოშვების წინა პერიოდს ემთხვეოდა. როგორც აღმოჩნდა, ობლიგაციებში გადახდილი თანხები პირდაპირ მაქინაციის ხვრელში მიემართებოდა. ბედის ირონიაა, რომ ერთ-ერთი ასეთი ემისიიდან მიღებული თანხები დაიდო დეპოზიტზე სახელწოდებით "Buconero", რაც იტალიურად შავ ხვრელს ნიშნავს.

ამ ყბადაღებულ საქმეში აქტიურად ჩაერთო იტალიის პრემიერ-მინისტრი და სილვიო ბერლუსკონი, რომელმაც იტალიის ბანკის მენეჯმენტს ბრალი დასდო, რომ ისინი სათანადოდ ვერ ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ, მეთვალყურეობის ფუნქციებს. მან მოინდომა, რომ ბანკის მმართველობის დანიშვნა პრემიერ-მინისტრის, ანუ საკუთარი კომპეტენცია გამხდარიყო. ამასთანავე, იგი აქტიურად იცავდა აუდიტორულ ფირმებს და ცდილობდა, მათთვის დაკისრებული ჯარიმები აეცილებინა.

როგორც ანალიტიკოსები აღნიშნავენ, ეს შემთხვევა გახდა ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ ვერ შეძლო წარმატებულმა კომპანიამ დაენერგა ეფექტიანი კორპორაციული მართვის სისტემა. ოჯახური ბიზნესიდან განვითარებულმა "პარმალატმა" ვერ მოახერხა, კლანურ ინტერესებს გასცდენოდა.

გაკოტრებულმა "პარმალატმა" უკანასკნელ ხანს სარჩელი შეიტანა თავისი ყოფილი აუდიტორების, "დელოიტისა" და "გრანტ თორტონის" წინააღმდეგ. "პარმალატი" 10 მილიარდ დოლარს ითხოვს იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რაც, კომპანიის განცხადებით, აუდიტორულმა კომპანიებმა მიაყენეს.

კომპანიის გაკოტრების მმართველი ენრიკო ბონდი გასული წლის აგვისტოში Bank of America-სთან სასამართლო ბრძოლაში ჩაება. ბანკი "პარმალატს" 195 მილიონ აშშ დოლარს სთხოვდა. ბონდიმ საპასუხო სარჩელი შეიტანა და მიიჩნევს, რომ მას შემდეგ, რაც ბანკმა "პარმალატს" მესამე მხარეებიდან დაფინანსების მიღების ნება დართო, თავადაც მაქინაციების თანამონაწილე გახდა, რადგან მშვენივრად უწყოდა კომპანიაში არსებული კრიზისის შესახებ. ბონდი ამითაც არ დაკმაყოფილდა, მან ანალოგიური ბრალდებით უჩივლა "დოიჩე ბანკს", UBS-სა და "სითიგრუფს".

"პარმალატმა" განაცხადა, რომ მომდევნო 15 წლის განმავლობაში იგი მოგების (იმ თანხების ჩათვლით, რასაც იგი სასამართლოს შედეგად ამოიღებს) 50 პროცენტს თავის აქციონერებზე გადაანაწილებს,.

"პარმალატის" სკანდალს აქტიურად გამოეხმაურა "ეთგო" (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია), რომელმაც კორპორაციული მართვის შესწორებული პრინციპები გამოსცა, სადაც კიდევ უფრო მეტადაა გამახვილებული ყურადღება მცირე აქციონერთა დაცვაზე. "პარმალატის" ისტორია ჯერაც არ დამთავრებულა. უცნობია, მოუბრუნდებათ თუ არა გული ინვესტორებს ერთ დროს წარმატებული კომპანიისკენ, მაგრამ უკანასკნელი საერთაშორისო კორპორაციული სკანდალები მოწმობს, რომ კორპორაციული მართვა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია კომპანიის სიცოცხლისუნარიანობისა თუ სტაბილურობის შენარჩუნებისათვის, ვიდრე მას რეალურად აფასებენ და აღიქვამენ.

P.S. მილანის სასამართლომ განაახლა საქმე "პარმალატის" გაკოტრების შესახებ. მილანის პროკურატურამ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა ექვსი უმსხვილესი საერთაშორისო ბანკი (Ubs, Deutsche Bank AG, Morgan Stanley & Co International Ltd, Citibank N.A, Deutsche Bank spa, Morgan Stanley Bank International Limited Milan Branch) და მათი 13 ხელმძღვანელი, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა ფინანსური კომპანია Nextra Investement Management SGR spa-ს მიმართ. დღეისათვის იტალიური კონცერნი "პარმალატი" კვლავ დაბრუნდა მილანის ბირჟაზე და კონცერნის აქციები ისევ საკმაოდ შედეგიანად იყიდება, რასაც კომპანიის ამჟამინდელი ხელმძღვანელობა ბიზნესის წარმოებისა და წარმატების ძირითადი ფაქტორის - კორპორაციული მართვის პრინციპებისადმი "ერთგულებით" ხსნის.

ამერიკული საბირჟო ინდექსები კვლავ მცირდება

გუშინ აშშ-ს საფონდო ბირჟაზე მიმდინარე კვირაში დაფიქსირებული კლების ტენდენცია შენარჩუნდა. განსაკუთრებით შესამჩნევი ტექნოლოგიურ სექტორში მომხდარი ცვლილება გახლდათ, რაც Microsoft-ის მიერ ახალი ოპერატიული სისტემის Windows Vista-ს გამოშვების გადადებამ განაპირობა.

პროგორმული უზრუნველყოფის მსოფლიო ლიდერს ახალი Wondows Vista ზაფხულში უნდა გამოეშვა, მაგრამ, როგორც ცნობილი გახდა, მისი გაყიდვა მხოლოდ წლის ბოლოს დაიწყება. ამის გამო Microsoft-ის აქციების ფასი ვაჭრობის დაწყებისთანავე 2,3 პროცენტით დაეცა.

თბილისის დროით 18.32-ისათვის Dow Jones Index 0,03 პროცენტით 11.232,18-მდე შემცირდა. Nasdaq Index-მა კი 0,52 პროცენტით დაიკლო და 2.282,38 შეადგინა. **როიტერი.**

Dow jones industrial average



Standard & Poor's



Nasdaq Composite



მსოფლიო სავაჭრო ბირჟებზე სპილენძის ფასი საბრძნობლად იზრდება

გასული დღე - ღამის განმავლობაში, მსოფლიო სავაჭრო ბირჟებზე სპილენძის საგრძნობლად გაზრდილი ფასი დაფიქსირდა. გასულ პარასკევს, ლონდონის უმსხვილესი ფერადი ლითონების ბირჟების დახურვის შემდეგ ერთი ტონა სპილენძის ფასი 5 165 დოლარი გახდა. ეს აბსოლუტურად რეკორდული ფასია.

სპილენძის მსოფლიო ბაზარზე დესტაზაბილიზაცია გასულ პარასკევს დაიწყო , მაშინ როდესაც სავაჭრო სესიაზე ერთი ტონა მეტალი 200 დოლარით გაძვირდა. ბირჟის მრავალი ოპერატორისთვის ფასის ასეთი მომატება მოულოდნელი აღმოჩნდა.

არსებობს ინფორმაცია, რომ აზიის ქვეყნებში სპილენძზე მოთხოვნილება გაიზარდა, რის გამოც , აღნიშნული მეტალის ფასი დღესაც იზრდება. ბირჟის ოპერატორები არ გამორიცხავენ, რომ შესაძლოა ამ ყოველივემ რესურსის დეფიციტიც გამოიწვიოს.

სპილენძის გაძვირებამ სხვა მეტალების ღირებულებაზეც საგრძნობლად იმოქმედა. პიკს მიაღწია თუთიის ფასმაც. **"იტარ-ტასი".**

ევროპულ საჰაერო სივრცეში ფრენა 90 ავიაკომპანიას აეკრძალა

ევროკავშირმა ბლოკში შემავალი 25 ქვეყნის საჰაერო სივრცეში მუშაობა 90 ავიაკომპანიას აუკრძალა. გუშინ მიღებული ამ გადაწყვეტილების მიზეზი ევროპაში საჰაერო გადაადგილების უსაფრთხოების ამაღლებაზე ზრუნვა გახდა.

აკრძალვა ძირითადად აფრიკულ ავიაკომპანიებს შეეხო. კერძოდ, ძშავ" სიაში მოხვდნენ: კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის 59, სიერა-ლეონეს 13, ეკვატორიალური გვინეის 11, სვაზილენდის 6 და ლიბერიის 3 ავიკომპანია.

გარდა ამისა, ევროპის საჰაერო სივრცეში ფრენა აეკრძალათ ტაილანდის, ავღანეთის და ჩრდილოეთ კორეის ავიაკომპანიებს, ყირგიზულ Phoenix Aviation-ს და Reem Air-ს და ყაზახურ BGB Air-ს და GST Aero Air Company-ის.

ევროკავშირის სატრანსპორტო კომისიის თავმჯდომარის ჟაკ ბაროს თქმით, ამგვარად ბევრად ამაღლდება ბებერ კონტინენტზე ფრენის უსაფრთხოება. აკრძალვა ეხება როგორც სამგზავრო, ასევე სატვირთო ავიახაზებს. აღნიშნული სია სამ თვეში ერთხელ გადაიხედება. **როიტერი.**

ქუთაისელებმა შეთანხმებას მიაღწიეს

ელექტროენერგიის გარეშე დარჩენილმა აღშფოთებულმა ქუთაისელებმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებას მიაღწიეს. როგორც გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში განაცხადეს, მომხმარებელთან შეხვედრის დროს გადაწყდა, რომ დავალიანების მქონე აბონენტებისათვის ვალის რესტრუქტურიზაცია განხორციელდება.

"როგორც კი ვალის რესტრუქტურიზაციის შემდეგ მომხმარებლები დავალიანების ნაწილს კომპანიაში გადაიხდიან, მათ ელექტროენერგიის მიწოდება აღუდგებათ," - განაცხადეს კომპანიაში. ამჟამად, დავალიანების გამო, ქუთაისში 18 000 მომხმარებელს ელექტროენერგიის მიწოდება შეწყვეტილი აქვს. **ინტერპრესნიუსი.**

საჯარო მოხელეებს დეკლარაციის შევსების ვალდებულება გადაუვადდებათ

საჯარო მოხელეებს ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციის შევსების ვალდებულება პირველ ივნისამდე გადაუვადდებათ. აღნიშნულ გადაწყვეტილებას პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა მხარი დაუჭირა. "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის შესაბამისად, დეკლარაციების შევსება საჯარო მოხელეებს პირველი აპრილიდან უნდა დაეწყოთ და ეს პროცესი 31 აპრილს უნდა დასრულებულიყო. იმის გამო, რომ დეკლარაციის ფორმების შევსება საჯარო მოხელეებისათვის რთული იყო, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში მისი გამარტივების კუთხით საკანონმდებლო ინიციატივა მომზადდა.

იმის გამო, რომ დეკლარაციების გამარტივებული ფორმების დამტკიცებას საკანონმდებლო ორგანო პირველ აპრილამდე ვერ მოასწრებს, მიზანშეწონილად ჩაითვალა დეკლარაციის შევსების თარიღის გადავადება.

აღნიშნული გადაწყვეტილება საბოლოოდ პარლამენტის პლენარულმა სხდომამ უნდა მიიღოს. **ჯი-ეიჩ-ენი.**

პატარკაციშვილი "კომერსანტის" გაყიდვას არ აპირებს

საგამომცემლო სახლ "კომერსანტის" ახალი მფლობელი ბადრი პატარკაციშვილი კომპანიის გაყიდვის თაობაზე მოლაპარაკებებს არავისთან არ აწარმოებს. აღნიშნული განცხადება რუსული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის გამო გაკეთდა. კერძოდ, მათი ინფორმაციით, "კომერსანტს" "გაზპრომ-მედია" ყიდულობს.

"ამჟამად ჩემი მთავარი მიზანი საგამომცემლო სახლ "კომერსანტის" კაპიტალიზაციის ამაღლებაა. მის გაყიდვასთან დაკავშირებით არავითარ მოლაპარაკებებს არ ვაწარმოებ," - აღნიშნა პატარკაციშვილმა სააგენტო "ინტერფაქს"-თან საუბარში. თუმცა მან ძალიან მომგებიანი წინადადების შემთხვევაში "კომერსანტის" გაყიდვა არ გამორიცხა.

საგამომცემლო სახლ "კომერსანტის" გაყიდვა დაგეგმილია რუსეთში მოსალოდნელი საპარლამენტო არჩევნების წინ, - წერს რუსული მედია. მათივე ინფორმაციით, "კომერსანტის" გაყიდვასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები აქტიურად მიმდინარეობს. გამოცემა "გაზეტა-რუ" სავარაუდო მყიდველად "გაზპრომ-მედიას" და, ასევე, რომან აბრამოვიჩთან დაახლოებულ ბიზნეს-სტრუქტურებს ასახელებს.

თუმცა "გაზეტა-რუ"-სთან საუბარში ბერეზოვსკიმ აღნიშნული ინფორმაცია უარყო. მან განაცხადა: "ჩემი ინფორმაციით, "კომერსანტი" არ იყიდება. მოვლენების ასეთი განვითარების შესახებ ბადრი აუცილებლად შემატყობინებდა. მე საგამომცემლო სახლის აქციების 50 პროცენტის მფლობელი ვარ და მისი გაყიდვის შემთხვევაში ჩემი თანხმობა იქნება საჭირო." "კომერსანტის" გენერალურმა დირექტორმა დემიან კუდრიავცევმა კი, განაცხადა: "გამომცემლობა არ იყიდება. არც მოლაპარაკებები მიმდინარეობს."

24 საათი.

ამინდი

	23/03	24/03	25/03
კიევი	2	1	2
რიგა	-2	1	-3
ვილნიუსი	-4	0	-4
მოსკოვი	-7	-3	-2
მინსკი	-1	-2	-3
პარიზი	4	6	8
რომი	13	13	17
ლონდონი	3	2	5
მადრიდი	6	11	18
ბონი	2	5	10
ვარშავა	3	4	0
ათენა	18	18	18
ბერნი	8	7	10
ამსტერდამი	1	0	3
ოსლო	-1	2	0
ანკარა	20	17	14
ვარნა	13	9	8
დელი	35	33	33
ტოკიო	15	16	20
კოპენჰაგენი	0	-4	-3
ბაქო	18	17	22
ერევანი	20	20	20
ასტანა	-9	3	2
ჰელსინკი	-5	-10	-5
დუბლინი	5	1	3
ლისაბონი	13	11	15
პრაღა	0	-2	1
სოფია	13	3	15
ბუდაპეშტი	-2	12	9
ბუხარესტი	15	11	14

ბათუმს შემოდგომაზე ახალი ტიპის აეროპორტი ექნება

ემზარ დიასამიძე
ბათუმიდან

თბილისის აეროპორტების მშენებლობებთან ერთად, თურქულ კომპანიებს - "ტავსა" და "ურბანს", პარალელურად, ბათუმის აეროპორტის მოდერნიზაცია დაევალათ. მშენებლობის დაწყების პრეზენტაცია მიმდინარე წლის 6 მაისს შედგება. აეროპორტი საერთაშორისო იქნება და თურქეთისა და საქართველოს მოქალაქეებს შეღავათიან ფასებში მოემსახურება. აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე მიიჩნევს, რომ აეროპორტი, საქართველოსთან ერთად, თურქეთის მნიშვნელოვან ნაწილს მოემსახურება. "ჩვენს საზღვართან ერთადერთი აეროპორტი ტრაპიზონშია და ისიც საერთაშორისო არ არის. ჩვენი აეროპორტით ისარგებლებენ ერზრუმის ზამთრის ტურისტულ კომპლექსებში ტურისტების ჩასაყვანადაც. ამით ტურიზმი ჩვენთანაც განვითარდება," - აცხადებს ვარშალომიძე.

აეროპორტის მაკეტი.

ბათუმის აეროპორტის სარეკონსტრუქციო და სამშენებლო სამუშაოები მაისში დაიწყება და შემოდგომაზე დამთავრდება. ამ მშენებლობაზე საუბარი ჯერ კიდევ 2005 წლის სექტემბერში დაიწყო. 6 სექტემბერს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც თბილისის ახალ აეროპორტს თურქული სამშენებლო კომპანიები - "ტავი" და "ურბანი" ერთ წელიწადში ააშენებდნენ. ამ ხელშეკრულებით კომპანიებს, თბილისის აეროპორტის მშენებლობის პარალელურად, ბათუმის აეროპორტის მოდერნიზაციაც უნდა განეხორციელებინათ. ამის გამო, თავიდან დასახელებულ 62 მილიონ ამერიკულ დოლარს (თბილისის აეროპორტის რეკონსტრუქციისათვის საჭირო თანხა) კიდევ 15 მილიონი დაემატა, საექსპლუატაციო ვადა კი 10-დან 15 წლამდე გაიზარდა. ამასთან, თურქულმა კომპანიებმა საექსპლუატაციო ვადის განმავლობაში მიღებული შემოსავლებიდან სახელმწიფოსთვის 10 პროცენტის გადახდის ვალდებულება აიღეს.

ბათუმის ახალი, საერთაშორისო აეროპორტის პროექტის პრეზენტაცია ჯერ არ შემდგარა. მომავალი აეროპორტის მაკეტი "ტავისა" და "ურბანის" ერთობლივმა კომპანიამ საქართველოს მთავრობას, ფინანსთა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროებს გასულ კვირას წარუდგინა. პროექტის მენეჯერი, აჰმეტ ბულგურლუ ამბობს, რომ "პროექტი მოწონებული და შეფასებულია, მაგრამ დამტკიცებული ჯერ არ არის. პროექტი ადგილობრივ ხელისუფლებასთან უნდა შეთანხმდეს და შემდეგ თბილისში დამტკიცდეს. მასში ცვლილებაც შევიდა - ხოფა-ტერმინალსა და ბათუმი-ტერმინალს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომ ორივე ტერმინალი თურქ და ქართველ მგზავრებს შეღავათიან ფასებში მოემსახურება."

შეღავათები თურქეთის ქალაქებსა და ბათუმს შორის ავიარეისებზეც გავრცელდება და ბილეთის ღირებულება საერთაშორისო ტარიფებზე 50 პროცენტით ნაკლები იქნება. ამის შესახებ თავის გამოსვლაში პრეზიდენტმა სააკაშვილმაც განაცხადა: "დღეს თბილისიდან სტამბულში ჩაფრენა-ჩამოფრენა 400-600 დოლარი ჯდება. იმის გამო, რომ მათ შიდა რეისების კოდი მიანიჭეს, ბათუმიდან სტამბულში ჩაფრენა-ჩამოფრენა 120 დოლარამდე ეღირება."

პროექტის დამტკიცებამდე შესაძლოა მასში ცვლილებები შევიდეს: გაიზარდოს დასახარჯი თანხის ოდენობა და ექსპლოატაციის ვადა. ამჟამინდელი პროექტით ბათუმის აეროპორტს ერთდროულად სამი თვითმფრინავის მიღება შეუძლია. შესაძლოა, თვითმფრინავების რაოდენობა ექვსამდეც გაიზარდოს.

თავიდან ბათუმის აეროპორტის რეკონსტრუქცია იყო ნავარაუდევი, თუმცა საქართველოს პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ "ხელახლა შენდება ასაფრენ-დასაფრენი ზოლი და ტერმინალი. აეროპორტის გარემონტებას თავიდან აშენება ვამჯობინეთ". პრეზიდენტისგან განსხვავებით, აჰმეტ ბულგურლუ ამბობს, რომ "მოხდება ასაფრენ-დასაფრენი ზოლის რეკონსტრუქცია და ზედა ფენების დამუშავება, ისინი მთლიანად არ შეიცვლება. თავიდან მხოლოდ ტერმინალი აშენდება. ამჟამად ტერმინალის საბოლოო დიზაინზე ვმუშაობთ."

ბათუმში, თურქული კომპანიების წარმომადგენლობაში ამბობენ, რომ ბათუმის აეროპორტში თბილისის აეროპორტის ტიპის ასაფრენი ბილიკები იქნება. ახალ აეროპორტში ზოგიერთი სახეობის ბოინგსაც მიიღებენ და აერობუსის ტიპის საჰაერო ხომალდებსაც. იმასაც ამბობენ, რომ აეროპორტს სამომავლოდ დიდი პერსპექტივა აქვს, რაც საერთაშორისო დონის ავიასააგენტოების მოზიდვას შეუწყობს ხელს.

მშენებლობის დასრულებას თურქული კომპანიების წარმომადგენლები მიმდინარე წლის ბოლოსთვის ვარაუდობენ: "შეიძლება, ცოტა მეტი დროც დაგვჭირდეს, ეს ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. მაგალითად, თბილისისგან განსხვავებით, აქ ხშირად წვიმს," - ამბობს ბულგურლუ.

ბათუმის აეროპორტის მშენებლობა-რეკონსტრუქციის პროცესში, ძირითადად, ქართველები დასაქმდებიან. აჰმეტ ბულგურლუს თქმით, თბილისის მაგალითს (მშენებლობის პროცესში 60 პროცენტი ქართველია დასაქმებული) ბათუმშიც გამოიყენებენ. რაც შეეხება ამჟამინდელი თანამშრომლების დასაქმებას, ბულგურლუ ასე პასუხობს: "აეროპორტს გამოცდილი კადრები სჭირდება. აქ მომუშავე ადამიანების გადამზადებაზე კომპანია იზრუნებს. ჩვენ წავალთ, ეს აეროპორტი კი თქვენ გრჩებათ. რისკზე მივდივართ. შეიძლება, ისეც მოხდეს, რომ ჩადებული თანხა ვერ ამოვიღოთ, ამიტომ უნდა გავაკეთოთ მაქსიმუმი, რომ იმედები გამართლდეს."

ამჟამად აეროპორტის ბალანსზე არც ერთი თვითმფრინავი არ ირიცხება, აეროპორტს სახელმწიფოს მიმართ დავალიანება აქვს და თანამშრომელთა ხელფასებს ვერ გასცემს. პარალელურად, სასამართლო დავა მიმდინარეობს აეროპორტსა და კომპანია "აირზენას" შორის (2004 წლის 6 ოქტომბერს, პრეზიდენტის ბრძანებულებით, ერთერთ ფირმისათვის 2 მილიონ დოლარად იჯარით გადაცემულ ორ თვითმფრინავ "იაკ-42"-ზე ხელშეკრულება გაუქმდა და ის სიმბოლურ თანხად - 99 ათას ლარად "აირზენას" გადაეცა. ასეთი საჩუქრის სანაცვლოდ, ავიაკომპანიას აეროპორტის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე ზრუნვა და ბათუმი-თბილისის ავიარეისების შეღავათიან ფასებში შესრულება დაეკისრა. "აირზენამ" ვალდებულება არ შეასრულა). "ამჟამად საქმე მეორე ინსტანციაშია. "აირზენა" დანაპირებს კვლავ არ ასრულებს და არც არასდროს შეასრულებს," - ამბობს ბათუმის აეროპორტის დირექტორის მოადგილე ნოდარ კაკაბაძე.

პროექტის მენეჯერისთვის სასამართლო დავის შესახებ არაფერია ცნობილი: "მთავარია, რომ თურქულ და ქართულ მხარეს შორის ხელშეკრულება საერთაშორისო კანონმდებლობის დაცვითაა გაფორმებული და გართულებების შემთხვევაში საკითხს სწორედ ამ ნორმების დაცვით მოვახდენთ."

აეროპორტის მნიშვნელობაზე დიდ იმედებს ამყარებენ აჭარის ხელისუფლებაში. ლევან ვარშალომიძის განცხადებით, ბათუმში ახალი საერთაშორისო აეროპორტი სერიოზულად გაზრდის ტურისტთა ნაკადს. "ჩვენს საზღვართან თურქებს აეროპორტი მარტო ტრაპიზონში აქვთ და, ისიც, საერთაშორისო არ არის. ერზრუმში თურქებს ზამთრის ტურიზმის უდიდესი კომპლექსი აქვთ და იქ ტურისტების მიყვანა სწორედ ბათუმიდან მოხდება. მარტო შარშან, ართვინის მხარეში 270 ათასზე მეტი ტურისტი იყო ჩასული. რადგან საზღვრები გაიხსნა და უვიზო მიმოსვლა გვაქვს, ამიტომ ტურისტთა უმრავლესობა ბათუმსაც მოინახულებს."

უცხოელი ექსპერტი ტურისტების მოსაზიდად გაღიმებას გვირჩევს

ემზარ დიასამიძე
ბათუმიდან

გიიომ ვან ლიეთი.

"საკმარისია, თავიანთ სასტუმროებში ერთი ღამე გაათიონ და მიხვდებიან, რა არის გასაკეთებელი," - სასტუმროს მეპატრონეებს ასეთ რჩევას აჭარაში მყოფი უცხოელი საერთაშორისო ექსპერტები აძლევენ. ისინი ადგილობრივ ბიზნესმენებს ერთი კვირის განმავლობაში ტრენინგ-სემინარებს ჩაუტარებენ.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მოწვევით ბათუმში ჩამოსული ტურიზმის უცხოელი ექსპერტები, ჯონ ინრაითი და გიიომ ვან ლიეთი აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ლევან ვარშალომიძემ მიიღო. მოგვიანებით, კინოთეატრ "თბილისში" გაიმართა სარეკლამო ტურისტული კლიპის პრეზენტაცია, რომელსაც აჭარის მთავრობა სრული შემადგენლობით დაესწრო. "ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარების საქმეში მეც და მთავრობაც ჩართული ვართ. მაქსიმალურად ვცდილობთ, ქვეყანა ტურისტების მიღებისთვის მზად იყოს. ის, რომ აჭარის ტურიზმის სამმართველომ 14 საერთაშორისო გამოფენაში მიიღო მონაწილეობა, ჩვენს მნიშვნელოვან წარმატებაზე მიუთითებს. აჭარა ტურისტებისთვის ერთ-ერთი მიმზიდველი ადგილი ხდება," - განაცხადა ლევან ვარშალომიძემ.

ბათუმური შემოქმედებითი ჯგუფის მიერ გადაღებული კლიპი სანახაობრივად მიმზიდველი აღმოჩნდა. კლიპის მნახველს ბათუმის მონახულების სურვილი მართლაც გაუჩნდება. თუმცა, კლიპში აღბეჭდილი ბევრი სანახაობა წელიწადში ერთხელ თუ იმართება.

პრეზენტაციას ჰოლანდიელი ექსპერტი გიიომ ვან ლიეთიც დაესწრო. იგი ამჟამად პენსიონერია და თავის გამოცდილებას ისეთი ქვეყნების მეწარმეებს უზიარებს, სადაც ტურიზმი აღმავლობის პროცესშია. როგორია ექსპერტის თვალით დანახული რეალობა დღეს აჭარაში?

- აჭარაში ტურიზმის განვითარებისთვის რა პერსპექტივებს ხედავთ?

- ცოტა ხნის განმავლობაში ძალიან ბევრი რამ ვნახე: დავათვალიერე სასტუმროები, შევხვდი მათ მეპატრონეებს, ვიყავი მუზეუმებში, ბოტანიკურ ბაღში, ვნახე სხვადასხვა ეკლესია, შევხვდი ტურისტული სააგენტოების წარმომადგენლებს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ ბათუმს ტურიზმის განვითარების ძალიან დიდი პოტენციალი აქვს.

- პირველი შთაბეჭდილებები როგორია?

- თქვენ საკუთარი ქვეყნით უნდა ამაყობდეთ. ეს იმას ნიშნავს, რომ შენი ქვეყანა ღიმილით და სიხარულით უნდა აჩვენო სხვა ხალხს. მქონდა ინფორმაცია, რომ ქართველი ხალხი ძალიან მეგობრულია, მაგრამ პირისპირ ნანახი ქართველების გამომეტყველება პანაშვიდზე მყოფთა სახეებს ჰგავს. სტუმართან გახსნილი უნდა იყოთ. ღიმილიანი ადამიანი ყოველთვის ბევრ მეგობარს იჩენს. ჩემი აზრით, ესაა მთავარი პრობლემა. სხვადასხვა ქვეყნის ხალხთან ურთიერთობა მშვიდობის მოპოვების მეტი შანსია და ეს ყველაზე მეტად ტურიზმს შეუძლია.

- რას ურჩევდით ადგილობრივ მეწარმეებს ტურისტების მოსაზიდად?

- სასტუმროს მეპატრონეებს ვურჩევდი, რომ როგორც ტურისტებმა, ერთი ღამე თავიანთ სასტუმროში გაატარონ. მაშინ კარგად მიხვდებიან, თუ რა და როგორ სჯობს. ყველა პრობლემას თავადვე დაინახავენ.

აბსურდები ქართულ ენერგეტიკაში

გუშინ პარლამენტშიც და კანცელარიაშიც აქტუალური იყო ენერგეტიკული საკითხები. "საქნავთობის" და გაზისა და ნავთობის საერთაშორისო კორპორაციების გაერთიანების პროცესი, სავარაუდოდ, სამ თვეში დასრულდება. "ენგურჰესის" სარეაბილიტაციოდ გათიშვის თარიღი კი კვლავ უცნობია. ამბობენ, რომ ეს საკითხი მარტის ბოლოს გაირკვევა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა, "ენგურჰესის" რეაბილიტაცია სამ თვეს გაგრძელდება. ამ პერიოდის განმავლობაში, ენერგოსისტემამ გამართულად უნდა იმუშაოს. დღეს პრემიერ-მინისტრი გარდაბანს ეწვევა და თბოელექტროსადგურების მზადყოფნას შეამოწმებს.

როგორც გუშინ ნიკა გილაურმა განაცხადა, გაზის საერთაშორისო კორპორაციის, ნავთობის საერთაშორისო კორპორაციისა და "საქნავთობის" გაერთიანება მიზნად ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების გაძლიერებას ისახავს. "წლების განმავლობაში აღნიშნული სამი სტრუქტურა არაკოორდინირებულად მუშაობდა, რამაც სავალალო შედეგები გამოიღო. აქამდე არ არსებობდა "შაჰდენიზის" გაზსადენის საქართველოს გაზსადენთან მიერთების წერტილი. აგრეთვე, მიტოვებული იყო აზერბაიჯანი-საქართველოს მილსადენი, რადგან "გაზის საერთაშორისო კორპორაცია" გაზსადენის ჩრდილოეთის მიმართულებას აკონტროლებდა," - განაცხადა გილაურმა. ენერგეტიკის მინისტრმა აბსურდული უწოდა ოპოზიციის ბრალდებას, თითქოს აღნიშნული სამი ორგანიზაციის გაერთიანების შემდეგ მთავრობა მაგისტრალური მილსადენის გაყიდვას ფიქრობს. "მთავრობას მაგისტრალური მილსადენის გაყიდვა რომ სურდეს, ამას გაერთიანების გარეშე უფრო ადვილად მოახერხებდა," - განაცხადა გილაურმა.

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ნიკო ლეკიშვილი გაზის სექტორში მიმდინარე სტრუქტურულ ცვლილებებს მართებულს უწოდებს. როგორც პარლამენტის კომიტეტის სხდომაზე ნიკო ლეკიშვილმა განაცხადა, იგი მხარს უჭერს "გაზის საერთაშორისო კორპორაციის", "ნავთობის საერთაშორისო კორპორაციისა" და "საქნავთობის" გაერთიანებას და მიაჩნია, რომ ამ სამი ორგანიზაციის გაერთიანება დაგვიანებულიც კია. "ეს აუცილებელი პროცესია. თავის დროზე "ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია" "საქნავთობის" ბაზაზე შეიქმნა იმიტომ, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს ოპერატორი კომპანია სჭირდებოდა. ასეთივე ისტორია გააჩნია "გაზის საერთაშორისო კორპორაციის" შექმნასაც. კერძოდ, ამ კორპორაციის შექმნა რუსეთ-თურქეთის გაზსადენის პროექტს უკავშირდება. მართალია, ეს პროექტი არ განხორციელდა, მაგრამ კორპორაცია დღემდე მუშაობს," - განაცხადა ლეკიშვილმა. მისივე თქმით, მისთვის მისაღებია "საქნავთობის" ამ ერთიან სტრუქტურაში გაერთიანება, რადგანაც "საქნავთობმა" მასზე დაკისრებული ვალდებულებები უკვე დაკარგა.

კომენტარი რეფორმების კოორდინირების საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემაც გააკეთა. "იმ ქვეყანაში, სადაც არც გაზი და არც ნავთობი არ რის, რა საჭიროა ამ სფეროში ოთხი უწყების არსებობა, სადაც საერთო ჯამში 1 000-მდე ადამიანი მუშაობს?" - კითხულობდა კახა ბენდუქიძე მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ.

ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის, გაზის საერთაშორისო კორპორაციისა და საქნავთობის გაერთიანება მომავალში გაამარტივებს გაზის მაგისტრალური მილსადენის შესაძლო გაყიდვის პროცედურას. ამის შესახებ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის სხდომაზე ფრაქცია "მემარჯვენეების" წევრმა ირაკლი იაშვილმა განაცხადა. იაშვილის თქმით, სამი უწყების გაერთიანება ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს, რადგან ტრანსპორტირება, მოპოვება და გაყიდვა ერთი უწყების ფუნქცია იქნება. იაშვილი ასევე მიიჩნევს, რომ რთული იქნება აქტივების გაკონტროლება, რომელთა შორის სტრატეგიული მაგისტრალური გაზსადენია.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა), აცხადებს ტენდერს ქვემოთ ჩამოთვლილ, ლოტებად დაყოფილ, სახიდე გადასასვლელების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს.

ლოტი N1: თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის 155-ე კმ.-ზე, მდ. შრომისხევზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ლოტი N2: სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის 49-ე კმ.-ზე, მდ. სუფსაზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ლოტი N3: წალკის რაიონის, სოფ. კიარიაკიდან სოფ. ჩივტ კილისამდე მისასვლელი საავტომობილო გზის მე-2 კმ.-ზე არსებული ქვის წყობის თაღოვანი ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ლოტი N4: ქ. ქარელთან მისასვლელი საავტომობილო გზის მე-3 კმ.-ზე, მდ. მტკვარზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ლოტიN5: ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზაზე, სოფ. ჩინთთან, მდ. არაგვზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

2. სამუშაოების შესრულების ვადები - თითოეულ ლოტზე მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად (სავარაუდოდ N1, N2, N3 და N4 და N5 ლოტებზე 2006 წელს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის ივლისამდე).

გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

3. დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციების მიღება (ქართულ ენაზე) შეეძლებათ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ (რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის N200122900, მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302003000), 2006 წლის 27 მარტიდან, მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის შეძენა შეუძლიათ, როგორც ერთ ასევე ხუთივე ლოტზე. "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება ლოტების მიხედვით.

4. დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის 12 აპრილის 9^{00} საათიდან 18^{00} საათამდე და 2006 წლის 13 აპრილის 9^{00} საათიდან 12^{00} საათამდე, ორ ეგზემპლიარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.

მიიღება მხოლოდ იურიდიული სტატუსის მქონე პირების განცხადებები.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ბ) ცნობას სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

გ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

შენიშვნა: იმ ფიზიკური პირებისათვის, რომლებიც 2006 წელს უკვე მონაწილეობდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში და 5.1.2 პუნქტის "ა", "ბ" და "გ" ქვეპუნქტებში მითითებული ცნობები 2006 წელს უკვე აქვთ წარმოდგენილი, მათი ხელმეორედ წარმოდგენა ამ ტენდერისათვის არ არის აუცილებელი.

5.1.3 როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა. შ.) სატენდერო დოკუმენტაციაშია მოცემული მანქანა-მექანიზმები.

შენიშვნა:

ა. ცნობა უნდა წარმოდგეს ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს.

N	მანქანა-მექანიზმების დასახელება	აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი	რაოდენობა	მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული)	საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა
1 2 და ა.შ.					

ბ. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები, ხოლო თუ იმყოფება საკუთრებაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს მონაწილის ბალანსი, სადაც აღრიცხული იქნება შესაბამისი მანქანა-მექანიზმები.

-- ცნობას ქვე-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ქვე-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ.

შენიშვნა:

ა. ცნობა უნდა წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

გასაწევი სამუშაოს სახე	ქვე-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი)	ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება	ქვე-კონტრაქტორის სპეციალიტთა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება	ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემები
1				
2				
და ა.შ.				

ბ. ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების გრაფაში მითითებული უნდა იქნას იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორს გაწეული აქვს ანალოგიური სამუშაოები.

გ. ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების გრაფაში მითითებული უნდა იქნას იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორის თითოეულ სპეციალისტს (ინჟინერ-ტექნიკური) შესრულებული აქვთ ანალოგიური სამუშაოები (წლების ჩვენებით).

დ. ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: ქვე-კონტრაქტორის თითოეული სპეციალისტის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე), დაბადების თარიღი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება წლების მითითებით.

ე. ქვე-კონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება იურიდიული ან/და ფიზიკური პირის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთობლიობაში.

3. ქვე-კონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება იურიდიული ან/და ფიზიკური პირის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად.

-- ცნობას 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების შესახებ. მითითებული იქნას მსხვილი დებიტორ-კრედიტორები და დავალიანების წარმოშობის თარიღი.

5.2. ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით):

-- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებლივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლოს დადგენილება, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან). მიუთითეთ საკონტაქტო ტელეფონები.

-- ინფორმაცია ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალიტთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალისტებს უნდა გააჩნდეს ანალოგიური სამუშაოს შესრულების გამოცდილება.

შენიშვნა:

ა. ინფორმაცია უნდა წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

თანამდებობა, სპეციალობა	გვარი, სახელი	მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი)	ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი)	ბიოგრაფიული მონაცემები
1				
2				
და ა.შ.				

ბ. ანალოგიური სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: თითოეული პერსონალის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე) მიერ შესრულებული ანალოგიური სამუშაოების ჩამონათვალი (კონკრეტული ობიექტების მითითებით), დაკავებული თანამდებობა და ფუნქცია. ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის წლები.

გ. ბიოგრაფიულ მონაცემების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: თითოეული პერსონალის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე), დაბადების თარიღი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება წლების მითითებით დეტალურად.

-- ინფორმაცია, იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) წლის (ცალ-ცალკე 2003, 2004, 2005 წლები) განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების შესახებ. შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენით (ხელშეკრულებების ასლები)

იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს უნდა გააჩნდეს ანალიგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება.

შენიშვნა: ცნობა წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

N	სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით)	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	შენიშვნა
1				წარმოდგენილი იქნას ხელშეკრულებების ასლები
2				
და ა.შ.				

-- განაცხადი კონკრეტული ლოტების მითითებით, რომელზედაც იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს სურს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა.

6. იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

7. იურიდიული ან/და ფიზიკური პირის ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

8. საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

9. იურიდიული ან/და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

10. სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს სატენდერო დოკუმენტაციის მე-9 მუხლის 9.1 პუნქტით და საბაზისო მონაცემებით განსაზღვრულ დოკუმენტებს.

11. გამარჯვებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირმა თითოეულ ლოტზე ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით უნდა წარმოადგინოს ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არა ნაკლებ 5% ოდენობით.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 31.30.34 გია დიასამიძე.

სატენდერო კომისია

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის სატენდერო კომისია გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 16 თებერვალს გაზეთ „24 საათში" საავტომობილო საწვავის შესყიდვასთან დაკავშირებით გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა შპს „კანარგო სტანდარტ ოილ პროდუქტმა".

ცვლილება განცხადებაში ტენდერის ჩატარების შესახებ

სს საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის მირ გამოცხადებულ ტენდერში სატელეკომუნიკაციო კაბელებისა და გამტარების შესასყიდად შეტანილია დამატება.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციას:

იურიდიული პირისათვის:

1. ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან
ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
2. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ,(თი ბი სი ბანკი 220101850 ანგ. .28467066 სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია" ს/კოდი 203837875 სატენდერო მოსაკრებელი)შეეძლებათ არა უგვიანეს 2006 წლის 10 აპრილის 12:00 საათისა, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი წინამძღვრიშვილის N95.

სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთან დასწრებით ზემოთ აღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 10 აპრილს 12 საათზე.

სატენდერო კომისია

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობებზე:

1. ქიმიური ექსპერტიზის სამსახურის ტოქსიკოლოგიურ-ნარკოლოგიურ ლაბორატორიაში:
ა) ექსპერტის თანამდებობაზე (თანამდებობრივი სარგო - 265 ლარი);
2. სამედიცინო ექსპერტიზის სამსახურის ცოცხალ პირთა ექსპერტიზის განყოფილებაში:
ა) ესპერტის თანამდებობაზე (თანამდებობრივი სარგო - 265 ლარი).
3. ხარისხის უზრუნველყოფისა და კონტროლის განყოფილებაში:
ა) განყოფილების უფროსის თანამდებობზე (თანამდებობრივი სარგო - 400 ლარი).
ბ) სპეციალისტის თანამდებობებზე (თანამდებობრივი სარგო - 220 ლარი).
4. ფინანსური, საინჟინრო და სასაქონლო ექსპერტიზის სამსახურის სასაქონლო ექსპერტიზის განყოფილება:
ა) განყოფილების უფროსის თანამდებობაზე (თანამდებობრივი სარგო - 400 ლარი)
ბ) ექსპერტის თანამდებობაზე (თანამდებობრივი სარგო - 265 ლარი)
5. იმერეთის რეგიონალური ექსპერტიზის სამსახურის კრიმინალისტიკური ექსპერტიზის განყოფილებაში:
ა) განყოფილების უფროსის თანამდებობაზე (თანამდებობრივი სარგო - 400 ლარი)
ბ) ექსპერტის თანამდებობაზე (თანამდებობრივი სარგო - 265 ლარი).
6. შიდა ქართლის რეგიონალური ექსპერტიზის განყოფილების სამედიცინო ექსპერტიზის ჯგუფში:
ა) ექსპერტის თანამდებობაზე (თანამდებობრივი სარგო - 265 ლარი).
7. ქვემო ქართლის რეგიონალური ექსპერტიზის განყოფილების სამედიცინო ექსპერტიზის ჯგუფში:
ა) ექსპერტის თანამდებობაზე (თანამდებობრივი სარგო - 265 ლარი).

კონკურსში მონაწილე პირთა წარმოსადგენი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია;
2. განათლების ან შესაბამისი დამადასტურებელი მოწმობა (ასლი);
3. შრომის წიგნაკი (თუ არის გახსნილი);
4. 2 ფოტო სურათი (3/4);
5. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (ასლი).

საბუთების მიღება წარმოებს 2006 წლის 27 მარტიდან 10 აპრილემდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N84. საკონტაქტო ტელეფონი 29-04-98.

კონკურსი ჩატარდება გასაუბრების ფორმით.

განცხადება

წინასაკვალიფიკაციო შერჩევა ტენდერში მონაწილეობისათვის

საქართველოს მთავრობამ მიიღო სესხი KFW გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკიდან, საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ II, საგზაო კომპონენტი) პროექტისათვის და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით

ადიგენის რაიონში არალი-აბასთუმნის გზის და ობსერვატორიის მისასვლელი გზის (22 კმ) სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ამ განცხადებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს ყველა დაინტე-რესებულ პირს, ვისაც გააჩნია საავტომობილო გზების რეაბილიტაციის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის გამოცდილება, მიიღოს მონაწილეობა ტენდერში აღნიშნული გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების საზედამხედველო მომსახურებაზე.

დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს გასაწევი მომსახურების შესახებ ინსტრუქციის და საკვალიფიკაციო ფორმების მიღება შეეძლებათ განაცხადის წარმოდგენის შემდეგ გაზეთში გამოცხადების დღიდან 2006 წლის 29 მარტამდე, 10-დან 17-საათამდე, მისამართზე:

ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა, XIII სართული, სახელმწიფო შესყიდვე-ბის სამმართველო, ჯაბა შუბითიძესთან, , ტელ: 37-65-06; 37-66-04, დამ. 4-44.

საკვალიფიკაციო მონაცემების ჩაბარების ბოლო ვადაა 2006 წლის 12 აპრილი, 12 საათი.

სატენდერო კომისია

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" (საქართველო, 4401 ფოთი, დ. აღმაშენებლის N52, ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48), bjojua@potiseaport.com, საინდ/კოდი 215080999, საბანკო რეკვიზიტები "თი-ბი-სი" ბანკის ფოთის ფილიალი ა/ა 609103, ბ/კ 220101937; ან Bankers Trust Company, New york Ny 10006, Swift BKTRU 33, FED. ABA-021001003, CHIPS UID-090400, Cor. Acc. 04414200. TBS - BANK. CHIPS UID N368655. SWIFT TBCB GE22. for TBC BANK P0ti Branch. acc N10070337. LTD Poti SEA PORT აცხადებს ღია ტენდერს მცურავი საშუალებებისათვის ძრავების შესყიდვაზე.

2. შესასყიდი საქონლის დასახელება და რაოდენობა:

- ძრავი- ცხენის ძალა bhp-420; კვ bkw-313; მეტრი ცხენის ძალა mhp-426; ტურბო ჩარჯერით შემდგომი გაგრილებით, ASP-TA; ბრუნი/წუთში rpm-2800; წვა გალონი/საათში u.s gph-21,8, წვა ლიტრ/საათში L/h-82,6. 3126 (მარჯვენა) - 1 ცალი
- ძრავი დიზელის 3 ე12 -AL (მარცხენა ბრუნი) -2 ც

რედუქტორთან ერთად წინა სვლა - 1:2,95; უკანა სვლა - 1:2,18

2.1 საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ცენტრალურ საწყობში "მიმწოდებლის" ხარჯებითა და სატრანსპორტო საშუალებებით, 3. საქონლის მიწოდების სასურველი ვადაა: 2006 წლის ივნისამდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართველმა "მიმწოდებელმა" - ქართულად, ხოლო უცხოელმა "მიმწოდებელმა", თავისი ქვეყნის კანონით დადგენილი შესაბამისი უწყებებიდან მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტაციული შენობის პირველი სართული, კანცელარია

4.1 წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იქნეს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას;

5.1 იურდიული პირებისათვის;

5.1.1. ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმე;

5.1.2. ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

5.1.3 ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული.

5.2 ფიზიკური პირისათვის:

5.2.1. ცნობა სასამართლოდან, რომ ის ქმედითუნარიანია;

52.2. ცნობა საქ. შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული.

5.2.3 ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

5.3 იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის:

5.3.1. მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლის დართვით) რეგისტრაციის ადგილი, საბანკო რეკვიზიტები, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი (მიუთითეთ საკონტაქტო პირის ტელეფონი-ფაქსი)

5.3.2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

5.3.3. უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდება

N	სამუშაოს დასახელება	შემსყიდველის დასახახელება	ხელშეკრულების ღირებულება
1			
2			

6. ტენდერში მონაწილე ვერ გაივლის (საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება) თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო დოკუმენტაციის (პაკეტის) გატანისათვის პრეტენდენტმა უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

8. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა (სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ) განხორციელდება 2006 წლის 3 აპრილიდან 2006 წლის 7 აპრილის 17[00] საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტრაციული შენობის პირველ სართული. სატენდერო კომისიის აპარატი. საკონტაქტო ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48.

9. დალუქულ კონვერტებში სატენდერო წინადადებისა და საკვალიფიკაციო მონაცემების წამოდგენის ბოლო ვადაა: 2006 წლის 19 აპრილის 17[00] საათამდე განცხადების მე-4 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

10. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია სატენდერო წინადადების მთლიანი ღირებულების 1%-ის ოდენობით.

11. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

12. ტენდერში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით.

13. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების პირობების შესრულების ბოლომდე.

14. სატენდერო კომისიის მიერ მითითებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს, რომლებიც იქნებიან ჩართულნი "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების პროცესში.

15. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გმარჯვებულის გამოვლენა.

16. ტენდერში მონაწილეებმა სატენდერო წინადადებასა და საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა წარმოადგინონ მოსაწოდებელი საქონლის ხარისხისა და შესაბამისობის სერთიფიკატები.

